„სასიამოვნო მოულოდნელობები" A2
საპროცესო შეთანხმება - დაკანონებული უსამართლობა? A8
ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 1 ოქტომბერი, 2004 წელი. №233 (782) | ფასი 50 თეთრი

# ახალი მთავრობაც არ იშლის მეხანძრეობას

### ხელისუფლება მეღვინეებს სუბსიდიებს ჰპირდება, პარალელურად კი, აქციზებს უზრდის

თამარ ხორბალაძე

*ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩენილი გზის ისტორია საქართველოში ახალი არ არის. ამიტომ, პრაქტიკულად, არავის გაჰკვირვებია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ღვინის ქარხნებისთვის სუბსიდიების გამოყოფასა და ამ თანხებით გლეხებისგან თეთრი ყურძნის მეტ-ნაკლებად რეალურ ფასად შესყიდვაზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, როცა კახური ყურძნის დიდი ნაწილი უკვე დამპალია. თუმცა, კიდევ უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ სუბსიდიების გაცემა ამ შემთხვევაში ხანძრის ლოკალიზაციის მცდელობას უფრო ჰგავს, რომელიც საეჭვოა, წარმატებით დასრულდეს.*

ამ ეჭვების საფუძველს ის ქმნის, რომ ხელისუფლება, ერთი მხრივ - გლეხების დახმარების მოტივით, 600 000 თუ თითქმის 1 მილიონამდე ლარის სუბსიდიების გამოყოფაზე საუბრობს, მეორე მხრივ კი - საქართველოში წარმოებულ ღვინოებზე აქციზებს ზრდის (იხილეთ დართული ცხრილი).

გაგრძელება A3 გვერდზე



ზვიად რუაძის ფოტო

*მევენახეებმა სოფლის მეურნეობის მინისტრი საყვედურებით აავსეს და თან თავის ხელით დააკრეფინეს უკვე გაფუჭებული ყურძენი.*

# "დინამო" ევროპაში დაბრუნდა!

### პირველი რუბიკონი გადალახულია

მიხეილ აბაიშვილი

ჩვენ არ გვყავს არც ოტო რეჰაგელი და არც ვისენტე ფეოლა, მაგრამ ჩვენ გვყავს გია გეგუჩაძე. ჩვენი გუნდი არ არის არც "მანჩესტერ იუნაიტედი" და არც "ბარსელონა", მაგრამ ჩვენ გვყავს ჩვენი გუნდი – თბილისის "დინამო" და ჩვენ ეს გვეამაყება. სასწაული, ზღაპარი, ფანტასტიკა – რამდენიც არ უნდა ვეცადო, მაინც ვერ მივაგნებ იმ მოვლენის ეპიტეთს, რაც გუშინ ეროვნულზე, მართლაც, თავმოყვარე და საკუთარი ღირსების ფასის მცოდნე "დინამომ" მოახდინა. "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეა.

30 სექტემბერი, თბილისის ეროვნული სტადიონი, უეფას თასის პირველი რაუნდი, განმეორებითი მატჩი:

**"დინამო" (თბილისი) – "ვისლა" (კრაკოვი, პოლონეთი) 2:1 (0:0) პირველი მატჩი: 3:4**

გაგრძელება B4 გვერდზე



იური ლობოდინის ფოტო

*ზეიმი თბილისის ქუჩებში.*

## პოლიტიკა

### გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი



გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" ორდღიანი საერთაშორისო ფორუმი გაიხსნა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით მიმდინარეობს.

A2

## ეკონომიკა

### „ბრიტანეთის ავიახაზები" საქართველოშია



გუშინ ავიაკომპანიამ ახალი ოფისის პრეზენტაცია მოაწყო, სადაც უამრავ სტუმარს შორის საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენიც იყო მიწვეული.

A4

## საზოგადოება

### პირველმა ლედიმ თავისი სახელობის ყვავილები დარგო



ახლად დარგული ყვავილები პირველმა ლედიმ ქართული შამპანურით მორწყა.

A6

## სამართალი

### დიდი გასეირნება გორის პარკიდან წინასწარი დაკავების საკნამდე

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ჯარისკაცების მიერ დისლოკაციის ადგილის დატოვება და ამა თუ იმ ქალაქში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს.

A7

## ამინდი

| | 1/10 | 2/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 24 |
| ქუთაისი | 33 | 23 |
| ბათუმი | 31 | 20 |
| სოხუმი | 28 | 19 |
| ფოთი | 31 | 21 |
| თელავი | 23 | 21 |
| ზუგდიდი | 30 | 29 |
| გორი | 25 | 22 |
| ახმეტა | 28 | 26 |
| ჭიათურა | 30 | 28 |
| გაგრა | 22 | 20 |
| სამტრედია | 30 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.2484 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2799 |
| რუბლი | 0.0625 |

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

# „სასიამოვნო მოულოდნელობები"

ნინო გომართელი

მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში, გუშინ სტარტი აიღო სამხრეთ ოსეთის საკითხებზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის მორიგმა სხდომამ. მასზე ქართულ მხარეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა წარმოადგენს, რუსულს – საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი, ხოლო სამხრეთ ოსეთის მხარეს – შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე, თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი.

გოგა ხაინდრავა გამგზავრებამდე აცხადებდა, რომ ქართული მხარე სხდომაზე უკომპრომისო იქნებოდა. **“არაკონტროლირებადი ტერიტორიები შერეული კომისიის ჩარჩოებში მანდატით გათვალისწინებულმა ძალებმა უნდა გააკონტროლონ. ტრანსკავკასიური მაგისტრალის კონტროლის საკითხის დაყენებით, პირველ რიგში, საქართველოა დაინტერესებული. ქართულმა მხარემ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა მაგისტრალზე შესაძლებელი იყოს ტვირთების მოძრაობა,"** – ამბობდა იგი.

სხდომის დღის წესრიგში შედის ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან შეირაღებული ფორმირებების გაყვანის შესახებ ადრე მიღწეული შეთანხმების შესრულების, ვითარების შემდგომი სტაბილიზაციის, შერეული საკონტროლო კომისიის მაღალი დონის შეხვედრის ორგანიზების, შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის დამტკიცების საკითხები.

გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი შერეული სამშვიდობო ძალების სარდლად ერთხმად დაამტკიცეს და კომისიის არცერთ თანათავმჯდომარეს ვეტოს უფლება არ გამოუყენებია. საქართველოს სახელმწიფო მინისტრისათვის მის მიერ წარმოდგენილი მოხსენება "სასიამოვნო მოულოდნელობაც" კი აღმოჩნდა.

**"კულახმეტოვმა საკონტროლო კომისიის არსებობის მანძილზე პირველად წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც, პრინციპში, ობიექტურად არის ნაჩვენები როგორც ქართული, ისე ოსური მხარის დარღვევები. ვფიქრობ, მისი ნაბიჯი იმედის მომცემია,"** – აღნიშნა ხაინდრავამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მხარეებმა, ასევე, კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს დამკვირვებელთა რიცხვის გაზრდის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.

განხილულ იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის შეხვედრის საკითხიც.

**"ვფიქრობ, აღნიშნული შეხვედრა ოქტომბრის მეორე ნახევარში ჩატარდება, მისი ადგილი და ზუსტი თარიღი მოგვიანებით შეთანხმდება",** – აღნიშნა გოგა ხაინდრავამ.

ამასობაში თბილისში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კოკოითთან საუბრისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

მისი თქმით, თუ შეხვედრა შედგა, საქართველოს მთავრობის უმთავრესი მოთხოვნა კონფლიქტის ზონის განიარაღება იქნება.

**“საქართველოს მთავრობამ კონფლიქტის ზონიდან შეიარაღების უმნიშვნელოვანესი ნაწილი უკვე გამოიყვანა და მსგავს ნაბიჯებს სეპარატისტებისგანაც ელოდება,"** - განაცხადა ჟვანიამ.

მისივე თქმით, მოლაპარაკებების ძირითადი თემა ასევე სეპარატისტული მთავრობის ქმედებებით შეჩერებული ეკონომიკური, ენერგეტიკული და სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელება იქნება.

**“სეპარატისტების გამო ვერ ხერხდება რკინიგზის აღდგენა და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ეს საკითხები აუცილებლად უნდა გადაწყდეს,"** – ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრემიერმა.

ამასთან, სხდომაზე ცხინვალის მხრიდან კომისიის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა ქართული მხარე დივერსიული აქტების მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულა და ორი დღის წინათ სოფელ კეხვთან აღმოჩენილი 120 კილოგრამი ტროტილი გაიხსენა.

შეგახსენებთ, რომ ეს ბრალდება ოსებმა ადრეც წამოაყენეს, თუმცა ქართულმა მხარემ ბრალდება ოფიციალურად უარყო და მას პროვოკაცია უწოდა.

ჩოჩიევისვე განცხადებით, შერეული საკონტროლო კომისიის მონაწილეებმა ისაუბრეს კონფლიქტის ზონაში უკანონოდ არსებული საგუშაგოების გაუქმების შესახებ.

**"ჩვენ ქართველებს მივუთითეთ, რომ ადრე მიღწეული შეთანხმებების შეუსრულებლობა ვითარებას ძაბავს,"** – თქვა მან.

კულახმეტოვის განცხადებით, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, სოფიაში ჩატარდება შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით.

**"კომისიის სხდომა სამუშაო ვითარებაში მიმდინარეობდა, იყო კონსტრუქციული საუბარი და ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი შეხვედრა რეალურ შედეგებს მოიტანს და ხელს შეუწყობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიან განვითარებას(?!),"** – აღნიშნა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა მუშაობას დღეს განაახლებს და მასზე კონფლიქტური ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებაზე იმსჯელებენ.

# გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი

## საერთაშორისო ფორუმი "შერატონ-მეტეხი პალასში"

გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" ორდღიანი საერთაშორისო ფორუმი გაიხსნა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით მიმდინარეობს.

"გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი" - ასე ეწოდება ამ ფორუმს, რომელშიც მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პოლიტოლოგები, სხვადასხვა მრწამსისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები.



საქართველოს პრეზიდენტი ამაყობს ქართული საზოგადოების მრავალეროვნებითა და მრავალკონფესიურობით.

მოწვეულ სტუმართა შორის არიან ისეთი ცნობილი ექსპერტები, როგორცაა ნატო-ს კვლევათა ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი კორნელი კოდიტა, მონტანას უნივერსიტეტის პრეზიდენტი ჯორჯ მ. ედისონი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი როსტისლავ რიბაკოვი, რომის კლუბის წევრი სერგეი კაპიცა, საემიროების პრეზიდენტთან არსებული სასამართლოს მთავარი მრჩეველი, პოლიტიკურ კვლევათა სერთაშორისო ცენტრის დირექტორი აჰმედ ჯ. ალ თადმორი, მსოფლიო პატრიარქის, მისი უწმინდესობის ბართლომე პირველის წარმომადგენელი, საფრანგეთის მიტროპოლიტი ემანუელი, კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს თავმჯდომარე ალაჰშუქურ ფაშაზადე, რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის წარმომადგენელი ნიკოლაი ბალაშოვი, პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი.

ორი დღის განმავლობაში ფორუმის მონაწილენი იმსჯელებენ ცივილიზაციათა შეჯახების საფრთხესა და მისი აცილების გზებზე, გლობალიზაციაზე და ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებზე და ა.შ.

ფორუმის გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოვსი, საგარეო უწყების პირველი პირი სალომე ზურაბიშვილი და თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი დაესწრნენ.

**"მე ვამაყობ იმით, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა; იმით, რომ მუსლიმანებს საქართველოში პრობლემები არ შექმნიათ, იმით, რომ ყარაბაღის ომის მიმდინარეობის დროს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ და სომეხ მოქალაქეებს შორის მნიშვნელოვანი დაპირისპირება არ ყოფილა",** - განაცხადა ფორუმზე პრეზიდენტმა, რომლის თქმითაც, საქართველოში რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებების არარსებობას ადასტურებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც: მის განცხადებაში საქართველო და თურქეთი მოხსენიებულია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბოლო წლებში რელიგიური ექსტრემიზმი არ გამოვლენილა. **"საქართველოში იყო კონფლიქტები, მაგრამ როგორც მოვლენებმა დაგვანახა, ეს იყო პოლიტიკური და არა ეთნიკური ხასიათის დაპირისპირება. საქართველო არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება არსებობდეს მშვიდობა სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის",**- განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ფორუმის მონაწილეების ყურადღება გაამახვილა თანამედროვე გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველოს როლზე და დასძინა, რომ ჩვენი ქვეყანა ცივილიზაციათა შორის ურთიერთობაში მხოლოდ ხიდის ფუნქციით არ უნდა შემოიფარგლოს. მისი განცხადებით, საქართველომ მსოფლიო პროცესებში უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს. მისივე განცხადებით, დღეს საქართველოს მხოლოდ ერთი "უხერხული მეზობელი" ჰყავს, რომელთანაც, **"ყველაფრის მიუხედავად, საჭიროა ნორმალური ურთიერთობების დამყარება".**

ფორუმი დღესაც გაგრძელდება. სტუმრები საქართველოს დედაქალაქს ოთხ ოქტომბერს დატოვებენ.

*24 საათი*

# ცაავას - სიგელი, ალასანიას - პოსტი

*“აფხაზეთის დაბრუნებას ცივი გონებით და პოლიტიკური გათვლებით ვაპირებ,” -აცხადებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე. გუშინ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიამ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ერთხმად დაამტკიცა პრეზიდენტ სააკაშვილის კანდიდატი ირაკლი ალასანია.*

სესია, რომელსაც 28 დეპუტატიდან 23 ესწრებოდა, პრესისათვის დახურული იყო. სესიის დასრულების შემდეგ ირაკლი ალასანიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა. როგორც ალასანიამ ბრძანა, მან უმაღლესი საბჭოს წევრებს და ასევე პრეზიდენტ სააკაშვილს გააცნო აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მისეული ხედვა. ალასანიას თავისი ხედვის შესახებ ჟურნალისტებისთვის არაფერი უთქვამს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგად განაცხადს: **“ნაბიჯ-ნაბიჯ, სტრატეგიულად, ცივი გონებით და პოლიტიკური გათვლებით დავიბრუნებთ აფხაზეთს.”**

ალასანია საჭიროდ მიიჩნევს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. გუშინდელ ბრიფინგზე ირაკლი ალასანია მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული ოპტიმიზაციის ინიციატივით გამოვიდა. **“სერიოზული ცვლილებები მოხდება,”** - აცხადებს იგი, თუმცა პერსონალიებზე საუბრისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. მინისტრთა კაბინეტის გარდაქმნის კონკრეტულ გეგმას ირაკლი ალასანია უმაღლეს საბჭოს ამ დღეებში წარუდგენს.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიამ გუშინ ფორმალური პროცედურაც შეასრულა - დააკმაყოფილა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ლონდერ ცაავას განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ცაავა, რომელმაც ამ პოსტზე ექვსი წელი იმუშავა, უმაღლესი საბჭოს სიგელით დააჯილდოვეს.

თავის მხრივ, ლონდერ ცაავაც ხაზგასმული დელიკატურობით გამოირჩეოდა. **“ჩემთვის სულერთი არ იყო, ვინ იქნებოდა ჩემი შემცვლელი,”** - განაცხადა ცაავამ. სოხუმის დაცემის დროს დაღუპული მეგობრის ვაჟის, ირაკლი ალასანიას კანდიდატურას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ლონდერ ცაავამ **“საუკეთესო გადაწვეტილება”** უწოდა.

გუშინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო სპეციალური განცხადება, რომელშიც აფხაზეთის 3 ოქტომბრის არჩევნები არალეგიტიმურად არის ცნობილი.

*ვერიკო თევზაძე*

# მევენახეების საპროტესტო აქცია

*„ხელისუფლების დაპირება ერთდღიანი აღმოჩნდა“, - აცხადებდნენ კახელი გლეხები. კახეთის მოსახლეობის საპროტესტო აქციებმა ამჯერად თბილისში გადმოინაცვლა და გუშინ საპროტესტო ლოზუნგები სახელმწიფო კანცელარიის წინ ისმოდა.*

დედოფლისწყაროს რაიონის სოფლების - სამთაწყაროსა და ფიროსმანის დაახლოებით 70-მა მცხოვრებმა სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამართა. მოთხოვნა მთავრობის ყურადღების მიპყრობა და მევენახეების პრობლემების მოგვარება იყო. **"ჯერ კიდევ რთველის დაწყებამდე შეგვპირდნენ ყურძნის ჩასაბარებელი ფასის გაზრდას, თუმცა ფასი არათუ გაიზარდა, არამედ დაეცა,"** - ისმოდა გუშინდელ აქციაზე.

კახეთიდან ჩამოსულ გლეხებთან საუბრისას გაირკვა, რომ ღვინის ქარხნები ყურძენს ისევ არ იბარებენ. **"ჩვენს სოფელში 14 სატვირთო მანქანა სამი დღე იყო გაჩერებული. ბოლოს, ყურძენი სანახევროდ გაფუჭდა და წონაშიც დაიკლო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ეს ყურძენი ზეგანის ღვინის ქარხანას ჩააბარა, თუმცა იმ პირობით, რომ თანხას მოსახლეობას იანვარში დაურიგებდა. რაც შეეხება დანარჩენ ყურძენს, მათი ბედი ისევ გაურკვეველია, რადგან ქარხნები მას კვლავ არ იბარებენ,"** - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

მოსახლეობა აცხადებს, რომ წელს ყურძნის მოყვანა, შარაშანდელთან შედარებით, ძვირი დაუჯდა. ამასთან, კახეთში ამბობენ, რომ ღვინის ქარხნებმა ყურძნის მიღება ერთი დღით, მხოლოდ თვალის ასახვევად აღადგინეს და მეორე დღესვე შეწყვიტეს. ამის მიზეზად კი მოსახლეობას ის ფაქტი დაუსახელეს, რომ მათი ყურძენი, არც მეტი, არც ნაკლები, არავის სჭირდებოდა.

როგორც "24 საათთან" საუბრისას აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ გიორგი გეთიაშვილმა განაცხადა, პრობლემების გადაწყვეტაში მოსახლეობას არც დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ლაერტ ზუბადალაშვილი და არც რაიონის გამგებელი სოსო ხაჩიაშვილი არ ეხმარებიან. გიორგი გეთიაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და თავად რაიონის გამგებელი აქციის მონაწილეებს კანცელარიასთან შეკრებას უკრძალავს, აქციის მონაწილეები დაჟინებით მოითხოვენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციას უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცემა,"** - იმუქრებოდნენ გუშინ კახელი გლეხები.

თუმცა, გუშინ აქციის მონაწილეები მალევე დაიშალნენ - როგორც ჩანს, კახეთში მინისტრის ვიზიტის დასრულებამდე.

**დიანა ჩაჩუა**


## ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში

bp

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენთ, გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოში “BP”-ს მესამე

**ბიომრავალფეროვნების კონკურსში**

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული `BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს თანხას 5,000-20,000 აშშ დოლარის ფარგლებში. საპროექტო წინადადებები უნდა:

- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- შეეძლოთ ორმაგი სარგებლობა მოიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნებისათვის
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- განსაზღვრონ მუშაობისა და წარმატების შეფასების საშუალებები
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოს.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177 ტელ:(995 32) 59 34 00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ა.წ. 4 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის წვეულებათა დარბაზში 11 სთ-ზე.


# მთავარი კვორუმის შეკოწიწებაა, მერე ყველაფერი "ბრიალით" მიდის

გიორგი ასანიშვილი

"წავედით სახლებში!", - გადაულაპარაკა მეგობრებს პარლამენტარმა აკაკი ბობოხიძემ და სავარძლიდან წამოდგა. გუშინ, დღის პირველ ნახევარში, იგივე აზრი სხვა პარლამენტარებსაც დაებადათ, რადგან რამდენჯერმე ჩატარებული რეგისტრაციის შემდეგ სხდომათა დარბაზის ტაბლოზე ერთი და იგივე წარწერა ინთებოდა - "კვორუმი არ არის".

"არსადაც არ წავალთ!", - პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს იმის გაფიქრებაც კი არ სურდა, რომ სხდომა შეიძლებოდა ჩაშლილიყო. დეპუტატების შესაგროვებლად მან ნაცად ხერხს მიმართა - სიის ამოკითხვა დაიწყო.

შედეგი არც ამან გამოიღო, თუმცა, ის მაინც გაირკვა, ვინ რა მიზეზით არ იმყოფებოდა პარლამენტში.

"ჯარშია!", "მივლინებაშია!", "კონფერენციაზეა!", "სომხეთის დელეგაციასთან შეხვედრაზეა!", - გაისმოდა ამა თუ იმ გვარის ამოკითხვის შემდეგ. ერთი სიტყვით, აღმოჩნდა, რომ დეპუტატთა დიდი ნაწილი სხდომას "საპატიო მიზეზით" არ ესწრებოდა. თუმცა, მიხეილ მაჭავარიანისთვის ეს სულაც არ იყო დიდი ნუგეში: პლენარული სხდომა იშლებოდა.

"რეზერვისტები გამოვიძახოთ!" - სამხედრო სამსახურში მყოფი კოლეგები გაახსენდა აკაკი ბობოხიძეს. "გასამხედროებული რაზმის" ხმობა საჭირო არ გახდა. დაახლოებით პირველი საათისთვის კვორუმი, როგორც იქნა, შეკოწიწდა და საკანონმდებლო ორგანო მუშაობას შეუდგა.

"ხელფასს იმაში ვიღებთ, რომ დილის 11 საათიდან საღამოს 7 საათამდე პარლამენტში ვისხდეთ და ვიმუშაოთ", - დამოძღვრა დეპუტატები მიხეილ მაჭავარიანმა, მაგრამ მისი შეგონებები პარლამენტარებს მალევე დაავიწყდათ: დღის მეორე ნახევრისთვის სხდომათა დარბაზს 20-25 დეპუტატიღა შემორჩა.

დიდი წვალებით გახსნილი გუშინდელი სხდომა ელენე თევდორაძის გამოსვლით დაიწყო. მან მიმართა თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტსა და უშიშროების სამინისტროს, სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა ლუსტრაციის კანონზე. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ამ აზრისკენ წინა დღეს რუსული ტელეკომპანიის გადაცემამ უბიძგა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის დამცირებას ემსახურებოდა და რომელშიც რესპონდენტებად ქართველი "პოლიტიკოსები" (ბორის კაკუბავა, იგორ გიორგაძე და შალვა ნათელაშვილი) გამოდიოდნენ.

ლუსტრაციის კანონის მიღება რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად რომ არის აუცილებელი, ამის მიხვედრას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება. ამავე საფრთხეზე (ოღონდ, კიდევ უფრო დიდი მასშტაბის) საუბრობს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა. მისი თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭომ აუცილებლად უნდა მიიღოს დოკუმენტი, რომლითაც, საქართველოს ოკუპაციის შემთხვევაში (თუ ვისგან შეიძლება მომდინარეობდეს ასეთი საფრთხე, ესეც ადვილი მისახვედრია), თითოეულ სტრუქტურას თავისი გეგმა ექნება და ეცოდინება, რა უნდა აკეთოს. რურუას განცხადებით, თავის დროზე ასეთი გეგმები ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანას ჰქონდა.

სხდომაზე განხილული დანარჩენი საკითხები გაცილებით "პაციფისტური" იყო. გუშინ პარლამენტარები პირველი მოსმენით შეუდგნენ პრეზიდენტ სააკაშვილის იმ ინიციატივის "რეალიზებას", რომელიც ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერებისთვის არსებული გადასახადის გაუქმებას გულისხმობს.

როგორც ჩანს, მომავალში ამ გადასახადს მხოლოდ ის ავტომფლობელები გადაიხდიან, რომელთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას სამ ტონაზე მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია. მართალია, კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო, რომ დაბეგვრას კომერციული სამგზავრო გადაყვანებიც დაქვემდებარებოდა, მაგრამ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოთხოვნით, ეს მუხლი გაუქმდა. ვიდრე ასე მოხდებოდა, საკმაოდ აქტიურობდა კობა დავითაშვილი.

**"თუ ტვირთმზიდი და მგზავრების გადამყვანი მანქანის მფლობელები ისევ გადაიხდიან ტექდათვალიერებისთვის დაწესებულ გადასახადს, გამოდის, რომ პრეზიდენტის დაპირებიდან აღარაფერი რჩება",** - აცხადებდა დავითაშვილი, რომლის აზრითაც, ტექნიკური დათვალიერება ყველა სატრანსპორტო საშუალებამ უნდა გაიაროს და ამისთვის საჭირო თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს.

აღსანიშნავია, რომ თავად ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობას პარლამენტში არავინ უარყოფს და დეპუტატები აღნიშნავენ, რომ შესაბამისი გადასახადის გაუქმება მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლის სურვილით არის განპირობებული.

იგივე მიზანს (კორუფციასთან ბრძოლას) ემსახურება ანტიკორუფციული საგამოძიებო დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნა. შესაბამისი კანონპროექტით გუშინ დეპუტატების წინაშე წარდგა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი.

რეგლამენტის თანახმად, დროებითი საგამოძიებო კომისია, მაქსიმუმ, ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება ფუნქციონირებდეს. ახალი კომისიისთვის კი, მისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ, გამონაკლისი გაკეთდება და ის, მაქსიმუმ, ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს.

გუშინ განხილულ საკითხებს პარლამენტში დღეს ეყრება კენჭი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი სოხუმში იმყოფება. რუსი დიპლომატი სოხუმში "აფხაზეთის დამოუკიდებლობის" მორიგი წლისთავის საზეიმო ღონისძიებებზე არაოფიციალური პირის სტატუსით ჩავიდა. აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 3 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ლოშჩინინმა განაცხადა, რომ "არჩევნების ჩატარებას ვერანაირი პროვოკაცია ხელს ვერ შეუშლის". "არჩევნები აფხაზეთში აუცილებლად გაიმართება. როგორი პოზიციაც უნდა დაიკავონ თბილისმა, მოსკოვმა ან ვაშინგტონმა, უნდა შევეგუოთ ამ რეალობას. რუსეთს ამ საკითხში პრაგმატული პოზიცია უკავია", - თქვა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში 3 ოქტომბერს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამოქვეყნებულ საარჩევნო სიებში 115 ათასზე მეტი ამომრჩეველია შეყვანილი. ამის შესახებ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგეი სმირმა განაცხადა. მისი თქმით, აფხაზეთის ცესკო-მ, ფაქტობრივად, დაამთავრა ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა და ისინი საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოქვეყნდა არჩევნებამდე 10 დღით ადრე - 23 სექტემბერს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლემ სანდრა რულოვსმა გუშინ ქართულ-სომხური საქმიანი თანამშრომლობის ასოციაციის პირველ დამფუძნებელ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველომ და სომხეთმა ერთობლივად უნდა მოაგვარონ რეგიონში არსებული როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური პრობლემები. საქართველოსა და სომხეთს, ფაქტობრივად, ერთნაირ პრობლემებთან უწევთ შეჯახება და კარგი იქნება, თუ მათ მოგვარებაში საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლებას ბიზნესმენები და საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც დაეხმარებიან. პრემიერ-მინისტრის თქმით, პირველ რიგში, მოსაგვარებელი და დასარეგულირებელია ურთიერთობები რუსეთთან. ჟვანიას მიუღებლად მიაჩნია რუსეთის მიერ ლარსის სასაზღვრო პუნქტის ჩაკეტვა, რომელმაც პრობლემები შეუქმნა როგორც ქართულ, ასევე სომხურ ეკონომიკას და, შესაბამისად, ქართველ და სომეხ ბიზნესმენებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ახალი მთავრობაც არ იშლის მეხანძრეობას

## ხელისუფლება მეღვინეებს სუბსიდიებს ჰპირდება, პარალელურად კი, აქციზებს უზრდის

პირველი გვერდიდან

ცხადია, ქარხნის მეპატრონე, რომელსაც გადასახადებს უზრდიან, ამასთან ერთად კი პრობლემები სხვა ფრონტზეც არ უმცირდება, პირველ რიგში, საკუთარი მოგების გადასახედიდან მოქმედებს და გლეხსაც ყურძენში სასაცილო ფასს სთავაზობს.

სხვათა შორის, ყურძნის შესასყიდი ფასების შემცირებას, ექსპერტების აზრით, საქართველოს ხელისუფლების მიერ ლართან მიმართებაში განხორციელებულმა პოლიტიკამაც დაატყო ხელი - ლარის გამყარებამ ღვინის მეწარმეებს პროდუქციის წარმოება გაუძვირა და, შესაბამისად, მათაც ყურძნის შესყიდვის ფასები დაწიეს.

გარდა ამისა, ყურძნის დიდი რაოდენობით შესყიდვაზე უარს ღვინის მწარმოებლები, მათი თქმით, ღვინის კატასტროფული ფალსიფიკაციის გამოც ამბობენ, რომლის წინააღმდეგ აქტიურად საბრძოლველად საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ ვერ მოიცალა. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, როგორც მეღვინეები და ექსპერტები ირწმუნებიან, პრობლემას საფუძველსაც კი ვერ ურყევს.

აქციზის განაკვეთები:

| N | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | არსებული განაკვეთი | შემოთავაზებული განაკვეთი |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 1 ლიტრი | 0,50 ლარი | 0,70 ლარი |
| 2 | [illegible] | 1 ლიტრი | 1 ლარი<br>0,50 ლარი | 1,20 ლარი<br>0,70 ლარი |
| 3 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 4 | [illegible] | 1 ლიტრი | 0,20 ლარი<br>0,10 ლარი | 0,40 ლარი<br>0,10 ლარი |
| 5 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 6 | [illegible] | 1 ლიტრი | 0,70 ლარი | 1,20 ლარი |
| 7 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,30 ლარი |
| 8 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 9 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 10 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 11 | [illegible] | 1 ლიტრი | 1 ლარი | 1,50 ლარი |
| 12 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 13 | [illegible] | 1 ლიტრი | 2 ლარი | 2,50 ლარი |
| 14 | [illegible] | 1 ლიტრი | 0,12 ლარი | 0,20 ლარი |

ამას დაუმატეთ რუსეთ-საქართველოს შორის გართულებული სიტუაცია, რამაც, შესაძლოა, ქართულ ღვინოს ტრადიციულ რუსულ ბაზარზე დამატებით შეუქმნას პრობლემები.

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ წინაპირობების, რამაც კახეთში ამ დღეებში გამართულ საპროტესტო გამოსვლებს დაუდო საფუძველი. ამ გამოსვლებზე ხელისუფლების პასუხი მინისტრ შერვაშიძის კახეთში მივლინებაა. ცხადია, ეს მხოლოდ ერთგვარი პიარაქციაა, რომელიც ასე უყვარს დღევანდელ ხელისუფლებას. დღეს, შესაძლოა, ამ აქციამ გაამართლოს, თუმცა პრობლემების რეალურად მოგვარების გარეშე ეს თვალებში ნაცრის შეყრას დაემსგავსება.

## დავით შერვაშიძე: "თუ ეს კოდექსი დამტკიცდა, ღვინის წარმოება შეფერხდება"

ზვიად რუაძე

*კახეთში ყურძნის რეალიზებასთან დაკავშირებით გამოწვეული ვნებათაღელვა არ ცხრება, თუმცა საპროტესტო გამოსვლები, რომელიც მოსახლეობამ ზედიზედ გამართა, დროებით შეწყდა. მევენახეები, სანამ ხელისუფლების წინააღმდეგ "ყველანაირ ბერკეტს აამოქმედებენ", პრეზიდენტთან "თავიაანთ" სათქმელს კახეთში მყოფ სოფლის მეურნეობის მინისტრს აბარებენ: "იცოდეთ, ახლა გაპატიებთ და თუ გაისად ასე მოხდა, მერე ნახავთ რევოლუციასა," - ემუქრებოდნენ ახალ მთავრობას კახელები.*




როგორც კახელები ამბობენ, ისინი არჩევანში შეცდნენ - მათ მიერ არჩეული ხელისუფლება გლეხებს ყურადღებას არ აქცევს. რთვლისთვის გამზადებულ გლეხკაცობას შრომა წყალში ჩაეყარა. ამიტომ ისინი ხელისუფლების მიმართ სალანძღავ სიტყვებს არ იშურებენ და სათქმელს ხმამაღლა ამბობენ. კახელების "კომპლიმენტების" მოსმენა გუშინ მთელი დღის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მინისტრს დავით შერვაშიძეს უწევდა, რის გამოც მინისტრს სახეზე წითელი ფერი ხშირად გადაჰკრავდა.

ერთი კვირით ადრე კი "სიტყვაი საქებარის" მოსმენა გუბერნატორ პეტრე ცისკარიშვილს და რაიონის გამგებლებს უწევდათ. აღელვებულმა კახელებმა ხელისუფლების უყურადღებობის გამო ცენტრალური საგზაო მაგისტრალი რამდენჯერმე გადაკეტეს. ისინი პრეზიდენტთან შეხვედრას კატეგორიულად ითხოვდნენ, მაგრამ სააკაშვილმა მათთან ყოფნას დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა არჩია. ამის შემდეგ კახელ კაცს ავტომაგისტრალის გადაკეტვა აღარც კი უცდია: **"დავიღალეთ. ერთი ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი მოსავალი ნაგვის ფასად მივყიდოთ ქარხნებს,"** - ამბობდა ორი დღის წინ სოფელ ვაზისუბანში უკვე მეორედ გამართულ აქციაზე იმედდაკარგული სოფლის მოსახლეობა.

თუ კახელი კაცი მთავრობას ყოველთვის პურ-ღვინით ხვდებოდა, ამჯერად შერვაშიძეს ისინი სწორედ დაზიანებულ ყურძენს აკრეფინებდნენ, რომელიც გლეხისთვის საარსებო წყაროს წარმოადგენდა: **"ახლა უნდა ვიწყებდეთ რთველს? ეგ არის თქვენი პირობა, რო კახელებს მოგაქცევთ ყურადღებასაო. თქვენ ხალხი ხართ?",** - იძახდა სოფელ ჩუმლაყის მკვიდრი მაია მირიანაშვილი.

ასეთი უხვი მოსავალი კახეთში მრავალი წელია, არ ყოფილა. ამის მიზეზად კი სერტიფიცირებული შხამქიმიკატები სახელდება. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით ქიმიკატების ფალსიფიცირების პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა, მაგრამ ამჯერად, რთველი დაგვიანდა.

ხელისუფლების დანაპირები იმის შესახებ, რომ საინფორმაციო ცენტრები გაიხსნებოდა, ტყუილი აღმოჩნდა. ამას სოფლის მეურნეობის სამინისტრო მთავრობას აბრალებს, რადგან ამ საკითხის მოსაგვარებლად თანხა ბიუჯეტიდან არავინ გამოყო. თუმცა, დავით შერვაშიძე ამ საქმის მოგვარებას დონორი ორგანიზაციების საშუალებით გეგმავს.

სანამ სოფლის მეუნეობის სამინისტრო კიდევ ერთ ახალ ექსპერიმენტს შესთავაზებს მეზვრეს, იგი მას მოწეული და დაზიანებული მოსავლის დაბინავებას ჰპირდება. რთვლის გაჭიანურების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის გამო, როგორც ირკვევა, სახელმწიფომ სუბსიდიის სახით მილიონ ლარზე მეტი გამოყო; აღნიშნული თანხების გადაცემა საწარმოებზე ამ დღეებში მოხდება, მანამდე კი გლეხს ღვინის ქარხნებში მოსავლის ჩაბარება "პოსლეზე" მოუწევს, რაზეც მოსახლეობის უმრავლესობა თანახმაა; თუმცა არიან ისეთებიც, რომლებმაც მოსავლის ასეთი მეთოდით ჩაბარების სიმწარე უკვე იწვნიეს. **"ნუთუ სახელმწიფოს იმის სახსრები არა აქვს, რომ გლეხს თავისი ნაშრომი ხელზე მისცეს, რათა შიმშილით არ მოკვდეს. ის, რასაც ჩვენ გვთავაზობთ, ნაცადი მეთოდია და არ დაგთანხმდებით",** - განუცხადა მინისტრს სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრაზე მისულმა თელაველმა იური მიქელაშვილმა. ამ პრინციპით ყურძნის ჩაბარება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის აღმოჩნდა მისაღები, ვისაც ყურძენი მთლიანად გაუფუჭდა. თუმცა, ცხადია, ქარხანა მას იგივე ფასს არ გადაუხდის, რასაც საღ ყურძენზე იხდის.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მევენახეს მოსავლის დასაბინავებლად კიდევ რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს: **"იმის გარდა, რომ გლეხის ნაშრომს საწარმო ჩაიბარებს, ქარხნები შენახვაზეც იმუშავებენ; კერძოდ - მოსახლეობას შეუძლია ყურძენი ნებისმიერ ქარხანაში დაწუროს და შეინახოს. გარდა ამისა, ჩვენ მათ რეალიზებაშიც დავეხმარებით",** - აცხადებდა მინისტრი გუშინ და იქვე აღნიშნავდა, რომ სულ მალე ჩვენს ქვეყანაშივე ბოლო მოეღება ღვინის ფალსიფიკაციას და საქართველოს რუსეთთან ბაზრის შესახებ სახვეწი არ ექნება.

ეს იმ დროს, როცა პარლამენტში განსჯის საგანი ახალი კოდექსია, რომლის მიხედვითაც, აქციზის განაკვეთი იზრდება. ამან კი, შესაძლოა, ღვინის წარმოების განვითარება სერიოზულად შეაფერხოს და ექსპორტიც შეამციროს. მინისტრი ირწმუნება, რომ აღნიშნული კოდექსი იმ შემთხვევაში დამტკიცდება, როცა მას მეწარმეებიც გაეცნობიან. **"მაგრამ გეტყვით, რომ ამის განხილვა, ჯერჯერობით, შეჩერებულია. აქვე აღვნიშნავ, რომ თუ ეს კოდექსი პარლამენტმა დაამტკიცა, ღვინის წარმოება შეფერხდება და გამორიცხული არ არის, რომ ექსპორტიც შემცირდეს,"** - განაცხადა მინისტრმა.

გუშინ მინისტრმა კახელებს მოსავლის რეალიზებასთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე სიახლე გააცნო. როგორც მან განაცხადა, რამდენიმე დღეში თბილისსა და სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის - აჭარაშიც, გაიხსნება სპეციალური ცენტრები, სადაც გლეხს საშუალება ექნება, მოწეული ყურძენი გაყიდოს. თავად მინისტრი კახეთიდან წამოსვლას მანამდე არ აპირებს, სანამ რთველი არ დასრულდება.

## რატომ ჭირს ქართული ღვინის რეალიზაცია?

*მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საექსპორტო ჩამონათვალში რამდენიმე წელიწადია, ღვინო და ღვინომასალები ლიდერობს, ქართველ მეღვინეებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე მაინც ძალიან უჭირთ. ამის მთავარი მიზეზი, როგორც მეწარმეები ამბობენ, სამომხმარებლო ბაზრებზე ხელისუფლების მიერ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ წარმოებული არაეფექტური*




ეთერ მამულაშვილი

ეს კი, თავის მხრივ, იმ გლეხებსაც უქმნის სერიოზულ პრობლემებს, რომლებიც წლიდან წლამდე ყურძნის მოსავალზე ამყარებენ იმედს. ადგილობრივი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები ძალიან ხშირად უარს ამბობენ გლეხის მიერ მოყვანილი პროდუქციის შესყიდვაზე, იმ მიზეზით, რომ მათ ღვინის რეალიზაცია ძალიან უჭირთ.

"კოტეხის" ღვინის ქარხნის დირექტორი მერაბ ქოროღლიშვილი ამბობს, რომ მას შეუზღუდავი რაოდენობის ყურძნის შესყიდვა და წარმოება შეუძლია, თუკი დარწმუნებული იქნება, რომ საბოლოო პროდუქტის - ღვინის რეალიზაციის დროს პრობლემები არ შეექმნება. **"დღეს მე ღვინის გაყიდვა ძალიან მიჭირს, რადგან ბაზარზე ხშირად ჩნდება ფალსიფიცირებული და დაბალხარისხიანი პროდუქცია, რაც ჩვენს წარმოებას სერიოზულ დარტყმას აყენებს. როცა ეს საკითხი მოგვარდება და ბაზარზე არსებული ვითარება რადიკალურად შეიცვლება, მაშინ ჩვენც გვეშველება და გლეხსაც,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მერაბ ქოროღლიშვილმა.

ღვინის რეალიზაცია ქართველ მეწარმეებს განსაკუთრებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ უჭირთ. ამის მიზეზი კი, როგორც მეღვინეები ამბობენ, ქართული დასახელების, მაგრამ არაქართული წარმოშობის "ხვანჭკარა", "ქინძმარაული", "საფერავი" ყოფილა, რომლებიც, დსთ-ს ქვეყნების გარდა, ევროპულ ბაზარზეც დიდი წარმატებით იყიდება.

**"მოლდოვაში, ბალტიისპირეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში დამზადებულ ღვინოს მწარმოებელი ეტიკეტზე ხშირად ქართულ სახელებს აწერს; "ხვანჭკარა", ქინძმარაული", "ახაშენი", "საფერავი" და სხვა. ეს ღვინოები, როგორც წესი, დაბალი ფასითა და ხარისხით გამოირჩევა. მათი სიიაფის გამო ქართული ღვინო არაკონკურენტუნარიანია,"** - კომპანია GWS-ის გენერალური დირექტორი გიორგი მშვიდობაძე ირწმუნება, რომ მსგავსი პარადოქსები მის პრაქტიკაში ამ ბოლო დროს ძალზე გახშირდა.

"თბილღვინოს" აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ მარგველაშვილის ინფორმაციით, მარტო უკრაინასა და რუმინეთში ქართული ეტიკეტებით ყოველწლიურად ათობით მილიონი ლიტრი ღვინო ისხმება. პროდუქციის გასაღების მსგავს ხერხს, თანაც - არანაკლები წარმატებით, ამ ბოლო დროს ხშირად მიმართავს მოლდოვა და ბულგარეთი; მაგალითად: შარშან ისრაელის ბაზარზე აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ბულგარეთიდან ექსპორტირებული ღვინო "ალაზნის ველის", "ხვანჭკარასა" და "ქინძმარაულის" სავაჭრო ნიშნით. სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ისრაელის ერთ-ერთი საადვოკატო სამსახურის მიერ დამოწმებული ვიზუალური მასალაც გააჩნია. **"მსგავსი ფაქტები სერიოზულად უშლის ხელს საქართველოდან ექსპორტირებული, ნამდვილად ქართული წარმოშობის ალკოჰოლიანი პროდუქციის დამკვიდრებას ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებზე. ფალსიფიცირებული ღვინო სახელს უტეხს ჩვენს პროდუქციას, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველი მეწარმეების მატერიალურ ინტერესებსა და ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების სიმცირეზე,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობა და მეღვინეობის რეგულირების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა მამიაშვილმა.

დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე ამბობს, რომ მისი უწყება, სხვა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, აქტიური და ეფექტური ღონისძიებების გატარებას გეგმავს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხსენებული პრობლემების გამო, საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის შეფასებით, ქვეყნის ბიუჯეტს წლიდან წლამდე მილიონობით ლარი აკლდება.

ცნობისათვის: საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, გასულ წელს საქართველოდან დაახლოებით 36 ათასი ტონა ღვინისა და ღვინო მასალის ექსპორტი მსოფლიოს 32 ქვეყანაში განხორციელდა; აქედან ყველაზე ბევრი, თითქმის 31 ათასი ტონა - რუსეთის ფედერაციაში, ყველაზე ცოტა - 118 ლიტრი - არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. საქართველოდან გატანილი ღვინის საერთო ღირებულებამ შარშან 43 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ექსპორტირებული ქართული ღვინის 80 პროცენტზე მეტი დსთ-ს ბაზრებზე მოდის. ამ ბაზარზე ღვინისა და ღვინო მასალების მიწოდების რაოდენობით საქართველო, მოლდოვას შემდეგ, მეორე ადგილზეა. ევროპულ, ამერიკულ და აზიურ ბაზრებზე საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი პოზიცია უკავია, თუმცა არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აქ ქართულ ღვინოს ნაკლებად იცნობენ. საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოძებნა ქართველ ექსპორტიორებს, მათივე თქმით, ხელისუფლების უხეირობისა და შესაბამისი სტრუქტურების უმოქმედობის გამო უჭირთ.

## დაგვიანებული რეაქცია

*მაშინ, როცა კახეთში რთველი თითქმის დამთავრებულია და გლეხების დიდ ნაწილს ყურძენი ულპება, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყურძნის შესყიდვაზე ტენდერს აცხადებს.*

ტენდერი კახეთის რეგიონის თითქმის ყველა რაიონს მოიცავს. გურჯაანის, თელავის, ყვარლის, სიღნაღისა და საგარეჯოს ღვინის ქარხნებს ტენდერში მონაწილეობის სრული უფლება აქვთ, თუმცა გამარჯვებისთვის, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამბობენ, რამდენიმე მკაცრი პირობაა შესასრულებელი. მინისტრ შერვაშიძის თქმით, უპირატესობა მიენიჭება იმ საწარმოს, რომელსაც მეტი ყურძნის მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობა და გამოცდილება აქვს. შერვაშიძე იმასაც ირწმუნება, რომ ტენდერში გამარჯვებული ქარხნის დირექტორები სამინისტროსგან ფულს (გლეხებისგან ყურძნის შესასყიდად) ტენდერის დასრულებიდან, მაქსიმუმ, ორი კვირის ვადაში მიიღებენ.

წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საამისოდ 1 მილიონ ლარზე ცოტა მეტს გაიღებს. სხვათა შორის - თავდაპირველად 600 ათას ლარზე იყო საუბარი, მოგვიანებით კი, როგორც შერვაშიძე ამბობს, სამინისტრომ დამატებითი რესურსების მობილიზება შეძლო, თუმცა ეს თანხაც რომ საკმარისი არ არის, ამას სამინისტროს ხელმძღვანელი პირებიც აღიარებენ. სამაგიეროდ, თავს იმით იწონებენ, რომ წელს სხვადასხვა კომპლექსური ღონისძიებების გატარება იგეგმება, რაც, პირველ რიგში, ქართველ გლეხს - ყურძნის, მეწარმეებს კი

### ბიზნესმენების მოსაზრება

**ზურა მარგველაშვილი (თბილღვინო):** სიტუაციის ასეთ დონეზე გართულების არანაირი მიზეზები არ არსებობს. ყურძნის ჩაბარების ფასები არ შემცირებულა. ყურძენი ბევრია, ამიტომ როცა გლეხი მაღალ და კოლოსალურ თანხას ითხოვს, ბუნებრივია, ვერ მიიღებს. გლეხი იმაზე არც უკეთესად უვლის და არც იმაზე მეტი უჯდება, როცა ყურძენი 25 თეთრი ღირდა, ამიტომ მეტი ფასიც არ უნდა მოითხოვოს. ეტყობა, ვიღაცები სოფლად ამ სიტუაციას ცუდად იყენებენ.

თუ ავიღებთ 1999-2000 წლის ფასებს, ერთი კილო რქაწითელის ფასი 30 თეთრს არ აღემატებოდა. მოხდა ისე, რომ 2002 წელს ძალიან რთული კლიმატური პირობების გამო ბევრი ვენახი განადგურდა. აქედან გამომდინარე, რქაწითელის მოსავალი 2002 წელს ძალიან მცირე იყო - ფასები 50 თეთრამდე ავარდა.

მართალია, შარშან წლევანდელზე მეტი ყურძენი იყო და რქაწითელის საშუალო ფასი 45 თეთრი იყო. ფასები შარშანაც და წელსაც ინერციით შენარჩუნდა.

საქართველოს მთავრობამ, პირველ რიგში, იმით უნდა შეუწყოს ხელი მეღვინეობას, რომ ქვეყანაშიც და მის გარეთაც მოსპოს ფალსიფიკაცია.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს - თუკი საშემოსავლო გადასახადი ახალ საგადასახადო კოდექსში 12 პროცენტამდე დავა, ეს მეღვინეობას ძალიან დიდ ბიძგს მისცემს. რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილმა პრობლემებმა ტრანსპორტირების პრობლემა შექმნა. იყო სხვა სახის პრობლემებიც, თუმცა არა ისეთი მასშტაბის, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. ბუნებრივია, ლარის კურსის ცვლილებამაც მოახდინა ჩვენს სექტორზე გავლენა. ჩვენნაირი ექსპორტიორების ძირითადი შემოსავლები ხომ დოლარებშია.

**თემურ ციხისთავი (ვაზიანი):** ვფიქრობ, რომ ის ფასი, რომელსაც გლეხები ითხოვენ, არარეალურია. ამ თემას დაემთხვა სხვაობა დოლარსა და ლარს შორის. გაძვირდა და რუსეთში ველარ გადის ძველი მოცულობის პროდუქცია. ფალსიფიკაციას რამე თუ არ მოუხერხდა, ქართული ბაზარი დაკარგულია. რუსეთ-საქართელოს შორის არსებულმა პრობლემებმაც ძალიან შეგვიშალა ხელი. გაძნელდა ტრანსპორტირება, რამაც, ბუნებრივია, ექსპორტი შეამცირა. პირველ რიგში, მთავრობამ, ალბათ, რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს. რაც შეეხება ფასებს, ეს მაინც ბაზარია და თვითონ დაარეგულირებს მას. გლეხებსაც უკვე აგვიანდებათ და რაღაცაზე შეთანხმდებიან.

**გია ზაკაშვილი (ჭანდარი)**: ძალიან რთული სიტუაციაა, რადგან ქართული ღვინის ძირითადი გასაღების ბაზარი რუსეთის ბაზარია, რუსეთთან კი ურთიერთობები გართულებული გვაქვს. თუ ეს საკითხი მოგვარდება, გაიზრდება რეალიზაცია, ამ შემთხვევაში კი მეტი იქნება ყურძნის ჩაბარებაზე მოთხოვნა. ცვლილება არსებულ და ძველ საგადაასახადო კოდექსს შორის უმნიშვნელოა, თუმცა მეღვინეობის სფეროსთვის წლევანდელი შარშანდელზე უკეთესია. მთავარი პრობლემა ფალსიფიცირებაა და, ყველაფერ ამასთან ერთად, დოლარის კურსის ამასწინდელი ცვლილება. აი, ყველა ის მიზეზი რამაც შექმნა პრობლემები. ახალი საგადასახადო კოდექსი ექსპორტს შეუწყობს ხელს და არა ადგილობრივ ბაზარს, რადგან აქ დღგ და აქციზი მოქმედებს.

### ექსპერტების მოსაზრება

**ბესო ჯუღელი:** უნდა აღვნიშნო, ჩვენი მთავრობა ძალიან ლოიალურად იქცევა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ შეიძლება მთავრობამ საკუთარ თავზე აიღოს ვიღაცისთვის შეღავათის დაწესება. ზურაბ ჟვანიამ გულთან ახლოს მიიტანა ხალხის სათხოვარი და მათ საკეთილდღეოდ მიიღო გადაწყვეტილება. თუმცა, ჩვეულებრივ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში ასეთ გადაწყვეტილებას არავინ მიიღებს. ჭარბი მოსავალი არისო - რა ჩემი საქმეა ეს. საბაზრო ეკონომიკის დროს, რომელსაც მთელმა საქართველოს დაუჭირა მხარი, კეთილი ინებონ და როგორც უნდათ ისე გაასაღონ თავისი მოსავალი. საბაზრო ეკონომიკა თვითონ არეგულირებს ფასებს, ხარისხს და ბიზნესმენი დამოუკიდებელია თავის მოქმედებებში. მთავრობის როლს მე იმაში ვხედავ, რომ მაქსიმალურად შეზღუდოს ქვეყანაში ფალსიფიკაცია. ეს იქნება ხელშეწყობა და არა ის, რასაც ახლა აკეთებს.

მე არასოდეს ვიყავი იმის მომხრე, რომ ქართველ კაცს ვენახი გაეჩეხა. მაგრამ ისეთი მარკეტინგი უნდა გაატაროს, რომ იმდენი ყურძენი მოიყვანოს, რამდენსაც ჩაიბარებენ ღვინის მწარმოებლები.

**ზურაბ ტყემალაძე:** მევენახეობა და მეღვინეობა საექსპორტო ბიზნესზეა მიბმული. ლარის კურსის გამყარება და ცვლილება რას უზამდა ამ სფეროს, ნათელი იყო. ღვინის ძირითადი ბაზარი ხომ დსთ-ს ქვეყნებია, რუსეთთან ასეთი დაძაბული ურთიერთობა კი მერყევს ხდის ბიზნესს.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსს ეხება. მასში განსაზღვრულია ღვინოზე აქციზის გაზრდა. ესეც პრობლემას უქმნის მეწარმეს. ყველა ეს პრობლემა კი გროვდება და საწყალ გლეხს ატყდება. ამას კიდევ ემატება თეთრ ყურძენზე გამოყოფილი სუბსიდია. ამ ფულის გლეხამდე მისვლას სამი კვირიდან ერთ თვემდე დასჭირდება, სად ვიყავით აქამდე? ყველა იმ პირობის გათვალისწინებით, რაც მე ჩამოვთვალე, ის ფასი, რომელსაც გლეხები ითხოვენ, მაღალია. ეს კი ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებით არის გამოწვეული.

**მიშა მაჭავარიანი:** მთავრობამ თეთრი ყურძნის შესასყიდად 600 ათასი ლარი გამოყო. ამ თანხის საბოლოო მიზანი გლეხებამდე მისვლაა და იმისთვის არის გამოყოფილი, რომ ფასები გლეხისთვის მისაღები გახდეს. ამ თანხის გამოყოფით თვითონ გზა კარგად იყო შერჩეული, თუ რატომ ვერ გაამართლა - სხვა საკითხია. მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ფალსიფიცირების აღმოფხვრა. რაც შეეხება ახალ საგადასახადო კოდექსს, გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადების რაოდენობა შემცირებულია, პოზიტიურად ვაფასებ მას. ეს ბევრ ქვეყანაში გამოვლილი ამბავია და ჩვენთაც მეღვინეობის დახმარება ფინანსური დახმარების გზით უნდა მოხდეს.

**ნიკო ლეკიშვილი:** ფალსიფიკაციაა ყველაფრის მიზეზი. ფალსიფიკატორებს მთავრობამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს და ამით გადაიჭრება ყველა პრობლემა. საერთოდ, ახალ საგადასახადო კოდექსში მეღვინეობის სფეროსთვის არ არის გათვალისწინებული არანაირი მხარდაჭერა, პირიქით. მაგალითად, დარგული ვენახი მოსავალს დახლოებით შვიდ წელიწადში იძლევა. ამ წლების განმავლობაში პატრონმა თუ გადასახადი იხადა და ტვირთი მიიღო, ის, რა თქმა უნდა, ეცდება ერთწლიანი კულტურა მოაშენოს. ამიტომ თუ გვინდა მევენახეობა განვითარდეს, იმ პერიოდში, როცა ის მოსავალს არ იძლევა, ძალიან სერიოზული შეღავათები უნდა დაწესდეს. რა უნდა გააკეთოს მთავრობამ? მან კარად იცის ეს - ფალსიფიკატორები უნდა მოსპოს. ამას არ აკეთებდა ძველი მთავრობა, იმედია, ახალიც ამ გზას არ დაადგება. საბაჟომ არ უნდა გაატაროს ფალსიფიკატორი, სამტრესტმა და სავაჭრო პალატამ არ უნდა გასცეს ცნობა. დღეს არსებული პრობლემის საფუძველი ის არის, რომ ფალსიფიკატორს არ სჭირდება ღვინის ყიდვა; მას სჭირდება წყალი, სპირტი, ჟელატინები და არა ღვინო. გლეხები კი ასეთ სიტუაციაში ვერაფერს იზამენ.

**ირაკლი იაშვილი:** ფასებს საერთოდ ბაზარი არეგულირებს. დღეს, მაგალითად, ეს პროცესები ხელოვნური მიზეზების გამო ხდება. ლარის კურსის გამყარებამ ამ პრობლემის სახით უკვე დაგვანახა პირველი შედეგი. შემდეგი ყველაზე სერიოზული პრობლემა კი რუსეთში ატეხილი ანტიქართული პოლიტიკაა. და კიდევ ერთი მიზეზი, რუსეთ-საქართველოს შორის ჩაკეტილმა საზღვარმა ტრანსპორტირების პრობლემები შექმნა. ეს ყველაფერი კი იწვევს იმას, რომ იქმნება მსგავსი პრობლემები მეღვინეობის სფეროში. მთავრობამ ამ შემთხვევაში ნაკლებად უნდა იხმაუროს და იკივლოს, რადგან ეკონომიკას ისტერიკები არ უყვარს; უნდა იმუშაოს წყნარად და გააზრებულად. ვხედავთ, რომ ვკარგავთ რუსეთის ბაზარს. ჩვენ არ გვაქვს ჯერ იმდენი ბაზარი დაპყრობილი, რომ ესეც დავკარგოთ. ახლა მთავრობა, ალბათ, ისევ სუბსიდიებს მიმართავს. ხელისუფლების მიერ აბურდული საქმე კი ისევ მეწარმეზე გადავა. ეს არის ჩვენი ქვეყნის "ეკონომიკური ლოგიკა". ეს არ არის ბიზნესი, ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა.

## ვაშინგტონში საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას განიხილავენ

29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური სესია გაიმართება, სადაც, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი მანაგაძე შეხვდება მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს შიგეო კაცუს, აღმასრულებელ დირექტორს ედ მელკ-ერტს, რეგიონულ დირექტორს დონა დოუსეთ-ქოიროლოს, მმართველ დირექტორს შენგმან ჟანგს და დირექტორებს - ასად ჯაბრესა და ედვარდ ნასიმს. შეხვედრა გაიმართება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან იერუნ კრემერსთან, სსფ-ის მისიის ხელმძღვანელ პაოლო ნეუჰაუსთან, შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორ მოშინ ჰანთანთან.

შეხვედრებზე დაგეგმილია საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებისა და „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" განხორციელების საკითხების განხილვა.

*24 საათი*

## ჯემალ ინაიშვილი სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გახდა

*გუშინ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ახალი პრეზიდენტი აირჩია. სასტუმრო "მარიოტში" გამართულ პალატის სხდომაზე დამსწრე 89 დელეგატმა ამ პოსტზე - 87 ხმით, ერთის წინააღმდეგ - ფოთის პორტის ექსმმართველი ჯემალ ინაიშვილი დაამტკიცა. ერთი ხმა მიიღო ინაიშვილის ერთადერთმა კონკურენტმა, პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი გეგეშიძემ.*

სავაჭრო-სამრეწველო პალატის გუშინდელ სხდომას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაესწრო. პალატის პრეზიდენტის არჩევნების წინ პრემიერმა აღნიშნა პალატის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ჯემალ ინაიშვილის კანდიდატურას.

"ჩვენთვის სავაჭრო-სამრეწველო პალატა უმნიშვნელოვანესი პარტნიორია. თუ პალატა არ იფუნქციონირებს მთელი დატვირთვით, მთავრობას ხელი მოჭრილი ექნება. თქვენ უნდა ააწყოთ ურთიერთობა უცხოელ ინვესტორებთან, რაც ჩვენთვის პრიორიტეტულია, თუმცა უმთავრესია ისიც, რომ გზა მიეცეს ქართველ ინვესტორებს," – დააზუსტა ჟვანიამ.

პრემიერის თქმით, საქართველოში უნდა დასრულდეს სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფებისთვის დახმარებების გაცემის ხანა და სწორედ ბიზნესმენებმა უნდა შექმნან საქართველოში ის ახალი სამუშაო ადგილები, სადაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ღირსეულ ხელფასებს მიიღებენ.

არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც პრეზიდიუმმა საზოგადოებას ჯემალ ინაიშვილის არჩევის თაობაზე ოფიციალურად ამცნო, კენჭისყრის მონაწილე მეორე კანდიდატმა ირაკლი გეგეშიძემ ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. მისი თქმით, "საჭიროა, პალატის ახალ პრეზიდენტს მიეცეს საშუალება, იმუშაოს და თავად დააკომპლექტოს საკუთარი გუნდი."

აქვე, პალატის 21-კაციან პრეზიდიუმის სხდომაზე კიდევ ოთხი საკადრო ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, თანამდებობები დატოვეს "აზოტის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგოლაძემ, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ, "აჭარსაგარეოსერვისის" წარმომადგენელმა როსტომ გორგილაძემ და ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მძახალმა, "ლუკოილი"-ს წარმომადგენელმა გურამ ახვლედიანმა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგატებმა გუშინ პრეზიდიუმის ახალ წევრებად შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი, სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აი"-ს წარმომადგენელი რამაზ კუკულაძე, "აჭარსაგარეოსერვისის" წარმომადგენელი თენგიზ ბაკურიძე და "ჯეოსელის" წარმომადგენელი ოსმან ტურანი აირჩიეს.

პალატის ახალი პრეზიდენტი ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენლებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესჯგუფებთან დაკავშირებას, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას, სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონული ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობას და უცხოელ პარტნიორებთან დაკავშირებას დაჰპირდა.

*24 საათი*

## „ბრიტანეთის ავიახაზები" საქართველოშია

ეთერ მამულაშვილი

*18 თვის შემდეგ "ბრიტანეთის ავიახაზები" საქართველოში ბრუნდება. გუშინ ავიაკომპანიამ ახალი ოფისის პრეზენტაცია მოაწყო, სადაც უამრავ სტუმარს შორის საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენიც იყო მოწვეული. ელჩმა ავიაკომპანიის საქართველოში დაბრუნება ახალი ხელისუფლების მთავარ დამსახურებად შეაფასა.*



*ავიაკომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა დეს ჰეთერინგტონმა განსაკუთრებული მადლობა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარეს გადაუხადა.*

ავიაკომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა დეს ჰეთერინგტონმა განსაკუთრებული მადლობა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარეს გიორგი მჟავანაძეს გადაუხადა. მან ასევე განაცხადა: **"ჩვენთვის უდიდესი პატივია თბილისის ახალი ოფისის გახსნა ბრიტანეთის ელჩის მიერ, რაც თბილისსა და ლონდონს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის მხარდაჭერის გამოხატულებაა. ეს ჩვენი მოსამზადებელი სამუშაოების საბოლოო საფეხურია და მოუთმენლად მოველი შემდეგ საეტაპო თარიღს – 2004 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც ჩვენი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვება".**

ავიაკომპანიის ახალი ოფისი თავისუფლების მოედანზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" შენობაში, ჯი-ემ-თი პლაზას მეორე სართულზე მდებარეობს, სადაც კვირაში შვიდი დღის განმავლობაში მგზავრებს ბილეთების დაჯავშნისა და შეძენის საშუალება ექნებათ.

ამჯერად, რეისები თბილისი-ლონდონი-თბილისი კვირაში ორჯერ შესრულდება: თბილისიდან რეისები ორშაბათს და შაბათს - დილით, ხოლო ლონდონიდან - პარასკევს და კვირას. თუმცა ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში რეისების რაოდენობა გაიზრდება.

რეისები თბილისსა და ლონდონს შორის, რომლებსაც "ბრიტანეთის ავიახაზების" ერთადერთი ფრანშიზული პარტნიორი ბრითიშ მედითერანეან ეარვეისი შეასრულებს, განხორციელდება "კლაბ უორლდისა" (ბიზნეს-კლასი) და "უორლდ თრეველერის" (ეკონომ-კლასი) სალონებით აღჭურვილი Airbus 320 და 321 თვით-



## მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების და მათი წარმომადგენლობების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას **ლიზინგის** სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხდება **საქართველოში არსებული მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზის შედგენა**.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ლიზინგის კომპონენტი მუშაობს **ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და რეკომენდაციებს უწევს სალიზინგო კომპანიებსა და მათ კლიენტებს მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენასთან დაკავშირებით**.

ამ მიზნით მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირი). ჩვენი კოორდინატებია: მსოფლიო ბანკი, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, 5. ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96. ფაქსი: 91 34 80. ელ ფოსტა: rjaparidze@ifc.org

## სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსი

*"ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) საქართველოს"* სურვილი აქვს დაიქირაოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი სუფსის ტერმინალის სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა**

სახანძრო და უსაფრთხოების ტექნიკოსი უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოწყობილობების სრულ გამართულობასა და მუდმივ მზადყოფნას, აგრეთვე, დროულ შემოწმებასა და შეკეთებას. გარდა ამისა, ამ თანამდებობის მქონე პირი სუფსის ტერმინალის პერსონალს ჩაუტარებს უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებულ ტრეინინგებს, მათ შორის, სამუშაოზე ნებართვის გაცემის, აირის ტესტირების, ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობის მეთოდიკისა და აღჭურვილობის გამოყენების საკითხების შესახებ.

**მოვალეობა და პასუხისმგებლობა:**

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- თავის საქმიანობაში ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებისადმი ჟეროვანი დამოკიდებულების დემონსტრირება.
- ASA და STOP პროგრამებში აქტიური მონაწილეობა.
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატურისა და უსაფრთხოების სხვა მოწყობილობების გამართულობისა და მზადყოფნის უზრუნველყოფა, აუდიტის, შემოწმებისა და ტეენიკური მომსახურების მეშვეობით
- საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სწავლების დაგეგმვა შესახებ სავარჯიშოების მომზადება.
- საგანგებო სიტუაციზე რეაგირების გეგმის მომზადებაში მონაწილეობა.
- უსაფრთხოების დაცვის ნორმების გასაცნობად, ტრეინინგისათვის მომზადება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის
- ავარიიის/ავარიული სიტუაციის მოკვლევის პროცესში მონაწილეობა.

**გამოცდილება და განათლება**

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- უმაღლესი განათლება, სასურველია უსაფრთხოებისა ან ნავთობსადენების ექსპლოატაციის დარგში
- ნავთობთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოწყობილობების შემოწმებისა და ტექნიკური მომსახურეობის გამოცდილება
- ინგლისური და ქართული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა
- სამწლიანი მუშაობის გამოცდილება უსაფრთხოების ან ნავთობსადენების ექსპლუატაციის დარგში
- სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

**განაცხადის წარდგენა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ მოცემული თანამდებობისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი CV და შეავსოთ განაცხადის შესაბამისი ფორმა. ფორმის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ მისამართზე.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 2004 წელი**

ყველა წარმოდგენილი განაცხადი დადასტურებული იქნება, მაგრამ ეს არ გულისხმობს ნებისმიერი კანდიდატისათვის ინტერვიუს ჩატარებას და/ან სამუშაოს შეთავაზებას.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ადგილობრივ (სუფსის ტერმინალის მახლობლად მცხოვრებ) კანდიდატებს მიეცემათ უპირატესობა

**კადრების განყოფილება**
BP Exploration Caspian Sea
აღმაშენებლის პროსპექტი N123 ა
თბილისი, საქართველო

## ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) (BP Exploration (Caspian Sea) Ltd. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ცოდნის დემონსტრირება წინა სამუშაო გამოცდილებიდან და/ან სწავლებიდან
- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
- HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ, "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## ადმინისტრაციისა და ბინათმოწყობის ასისტენტი

კომპანია ირა" ბი-პის მენეჯმენტის ხელმძღვანელობით აცხადებს კონკურსს ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტის ვაკანსიის დასაკავებლად.

ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტი იქნება კომპანია ბიპის კონტრაქტორი და იმუშავებს ბიპის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ითანამშრომლოს ადმინისტრაციის განყოფილების თანამშრომლებთან რათა დროულად გამოასწოროს და თავიდან აიცილოს ელექტრული, მექანიკური პრობლემები ბიპის ოფისში, ბინებსა და საწყობებში.
- უხელმძღვენელოს სარემონტო და სამშენებლო სამუშაობს, რომლებსაც ბიპი აწარმოებს ოფისში, ბინებსა და საწყობებში
- იხელმძღვანელოს დღიური ინსტრუქტაჟით და მოახსენოს ხელმძღვანელობას ყოველდღიური სამუშაო შედეგები
- ყოველდღიურად აღრიცხოს კომპანიის თანამშრომელ-დამკვეთებისგან შემოსული თხოვნები და მოახსენოს მათი შესრულების ვადები და პროგრესი ხელმძღვანელობას
- დაიცვას ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები და თვალყური ადევნოს კონტრაქტორების საქმიანობას, ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების მიზნით
- უზრუნველყოს ბიპის ოფისში, ბინასა და საწყობებში ბიპის ჯანდაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვა.
- აწარმოოს ზუსტი ჩანაწერები შესრულებულ და შესასრულებელ ყველა სამუშაზე
- დაიცვას ბიპის უსაფრთხოების წესები მანქანის მართვის დროს და მისდიოს ბიპის მიერ დასახულ უსაფრთხოების სტანდარტებს
- შეინახოს ყველა კომუნიკაცია კლიენტებთან და ხელმძღვანელობასთან ბიპის საინფორმაციო სისტემის საშუალებით.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- ადმინისტრაციის სფეროში საკმაო ხნის გამოცდილება
- შესაძლებლობა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს ბიპის კონტრაქტორებს, რათა დაცული იყოს კომპანიის ყველა წესი და პროცედურა
- გამოცდილება მექანიკურ, ელექტრულ და სამშენებლო სფეროში
- სასურველია უმაღლესი განათლება
- ინგლისური და რუსული ენის თავისუფალი ფლობა
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ადმინისტრაციის სფეროში
- პრიორიტეტი მიენიჭება ადმინისტრაციის/ბინათმოწყობის სფეროშია ნამუშევარ კანდიდატებს
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# რუსი ექსპერტები პუტინის რეფორმების ავკარგიანობაზე საუბრობენ

სოფო ბუკია
მოსკოვიდან

*წამყვანი რუსი პოლიტოლოგები და ჟურნალისტები დღესაც აქტიურად მსჯელობენ რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაზე, რომელიც პუტინმა ბესლანის ტრაგედიიდან ათი დღის შემდეგ გააკეთა. საუბარია იმ ცვლილებებზე, რომლებსაც პუტინი რუსეთის პოლიტიკურ სისტემას უმზადებს. მოვლენების ამგვარ განვითარებას რუსი ექსპერტები ჯერ კიდევ ბესლანის ტრაგედიის დღეებში ვარაუდობდნენ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის ხალხისადმი მიმართვა მოისმინეს. მაშინ პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთის პოლიტიკური სისტემა ვერ პასუხობს შექმნილ ვითარებას და ახალ ეპოქას.*


გლებ პავლოვსკი.


სერგეი მარკოვი.


ვალერი ფიოდოროვი.

იგივე პოლიტოლოგების და ჟურნალისტების აზრით, პუტინის ამ ახალმა ინიციატივამ უფრო დიდი ეფექტი მოახდინა რუსეთისა თუ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებზე, ვიდრე ბესლანის შემზარავმა ტრაგედიამ. ყოველ შემთხვევაში, ის პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ბესლანის მოვლენების დროს დუმდნენ, პუტინის ინიციატივის კომენტირებას დღეს აქტიურად ცდილობენ. ამასთან, მოსალოდნელი რეფორმების შეფასებები სრულიად არაერთგვაროვანია. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ახალი რეფორმების განხორციელების შემთხვევაში რუსეთი დემოკრატიის გზას გადაუხვევს, ხოლო "ძლიერი რუსეთის" პოლიტიკის მომხრე ექსპერტთა ნაწილი საკუთარი პრეზიდენტის წამოწყებას მიესალმება და თვლის, რომ შექმნილ ვითარებაში ეს ერთადერთი გამოსავალია.

რუსი ლიბერალების აზრით, პუტინის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს "არაფერი აქვს საერთო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან" (დეპუტატი ვლადიმირ რიჟკოვი). "გუბერნატორების კანდიდატურების რეგიონულ პარლამენტთან შეთანხმება ფორმალური ხასიათის იქნება და ამ გზით რუსი ამომრჩეველი ფედერაციის სუბიექტების სახელისუფლებო ორგანოების ფორმირების საქმეს მთლიანად ჩამოშორდება. ეს რუსეთის უნიტარიზაციას ნიშნავს," - აცხადებს ფრაქცია "იაბლოკოს" თავმჯდომარის მოადგილე სერგეი მიტროხინი. ასეთივე აზრისაა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ეგორ გაიდარი.

დასავლურ პრესას და მის კვალდაკვალ რუსულ ლიბერალურ მასმედიასაც ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ რუსეთში უკანასკნელ ხანს მომხდარი ტერაქტები პუტინმა საკუთარი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოიყენა, რამაც ქვეყანა, შესაძლოა, ტოტალიტარიზმის ეპოქაში დააბრუნოს. ამასთან, ცხადია, რომ პუტინის რეფორმას წინააღმდეგობა არ შეხვდება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც, რომლის ორ მესამედს ფრაქცია "ედინაია როსია" წარმოადგენს.

"რუსების უმრავლესობისთვის დემოკრატია ელცინის ეპოქასთან ასოცირდება, ასე რომ, ისინი, ალბათ, მშვიდად შეხვდებიან პუტინის რეფორმებს. პუტინმა გამოიყენა ტერაქტები, რათა საბოლოოდ დაახრჩოს დემოკრატია," - წერს ინგლისური გაზეთი "დეილი ტელეგრაფი".

დასავლეთისა და აშშ-ს კრიტიკას აქტიურად ეხმაურებიან რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები. "ყველამ თავის საქმეს მიხედოს," - დასავლეთის კრიტიკას რუსეთში ხშირად ასე პასუხობენ. "პრეზიდენტმა პუტინმა არ უნდა უსმინოს დასავლეთის რეაქციას. პუტინმა საკმაოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და, თუ იგი დასავლეთის კრიტიკის გამო ამ გადაწყვეტილებას გადაუხვევს, ის საკუთარ ხალხს უღალატებს," - თვლის ფრაქცია "როდინა"-ს ხელმძღვანელი დმიტრი როგოზინი.

ნიშანდობლივია, რომ კრემლის მიერ წამოწყებულ რეფორმების შესახებ კვლევითი ცენტრების შეფასებებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან:

**გლებ პავლოვსკი, "ეფექტური პოლიტიკის" ფონდის ხელმძღვანელი:** "რუსეთში ამ ბოლო დროს მხოლოდ ერთ საკითხზე აწყობენ დისკუსიებს: მსჯელობენ მხოლოდ პრეზიდენტის განზრახვებზე, ცდილობენ მისი ფარული აზრების, შინაგანი მდგომარეობის გამოცნობას... რეალურ პოლიტიკურ სიტუაციაზე დღეს არავინ საუბრობს. რეალური მდგომარეობა კი ასეთია – ჩვენ თითქმის ომის პირას ვართ. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ საომარ მდგომარეობაში ვართ, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ არ არის გამორიცხული, კვლავაც განმეორდეს ის თავდასხმები, რომლებიც რუსეთმა აგვისტო-სექტემბერში განიცადა. ასეთი თავდასხმებისთვის რუსეთის პოლიტიკური სისტემა და ჩვენი უშიშროების სისტემა მზად არ არის. ვფიქრობ, ეს ყველამ უნდა ვაღიაროთ, მით უფრო, რომ ეს აღიარა თავად პრეზიდენტმა. ის ღონისძიებები, რომლებსაც პუტინი გვთავაზობს, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. პირველი – აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის დახვეწა; მეორე – მთელი რიგი პოლიტიკური წინადადებები საზოგადოებას, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებრივ ძალებს, მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების ფორმირებაში და მესამე - საკადრო და ადმინისტრაციული ღონისძიებები უშიშროების სისტემაში. ეს არის აგრეთვე არჩევნების რეფორმა, ანუ პროპორციული სისტემის შემოღება, რაზეც უკვე დიდი ხანია, მსჯელობენ რუსეთში და, სხვათა შორის, თავის დროზე აღნიშნული იდეა არა ოფიციალური წრეებიდან, არამედ ექსპერტებიდან და ოპოზიციიდან წამოვიდა.

ამ ღონისძიებებით არავითარი საფრთხე არ ემუქრება ფედერაციის სტრუქტურას. მინდა შეგახსენოთ, რომ გუბერნატორებს ჩვენ მხოლოდ ათი წელია, რაც ვირჩევთ. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით რუსეთში არაერთი ექსპერიმენტი განხორციელდა. ელცინის დროს რამდენიმე სხვადასხვა სისტემის ექსპერიმენტირება მოხდა, მათ შორის, გუბერნატორების პირდაპირი დანიშვნაც ხდებოდა. პუტინი დღეს სულ სხვა მოდელს გვთავაზობს. პუტინის მოდელი კომბინირებულია და დღეს ეს მოდელი ყველაზე ადეკვატურია."

**სერგეი მარკოვი, პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი:** "პუტინის რეფორმებში მე რამდენიმე ლოგიკას გამოვყოფ. პირველი – ეს არის ერის პოლიტიკური ლიდერის ლოგიკა. ამ ლოგიკის თანახმად, პუტინმა გაიაზრა, მაინც რა არის იმ ტერორისტების მთავარი სამიზნე, რომლებიც მძევალთა დაკავების შემდეგ არავითარ მოთხოვნებს არ აყენებენ. ტერორისტების მთავარი მიზანი რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის დასუსტება გახლავთ. მათ ქვეყანაში ქაოსის შექმნა უნდათ. შესაბამისად, პუტინი ყველაფერს აკეთებს დღეს, რათა ტერორისტებმა ამ მიზანს ვერ მიაღწიონ, იგი აძლიერებს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემას. ამ სისტემის გაძლიერება კი, პირველ რიგში, მისი ძირითადი ღერძის – აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალის გაძლიერებით უნდა მოხდეს. ამ თვალსაზრით, ის რეფორმები, რომლებსაც პუტინი გვთავაზობს, უპრეცედენტო ტერორისტულ დარტყმებზე ადეკვატური პასუხია. ამ რეფორმებით პუტინი მომავალი თავდასხმებისთვის ემზადება, რომლებიც, სამწუხაროდ, ალბათ მომავალშიც იქნება. დღევანდელი მსოფლიო ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლით ვერ დაიკვეხნის. ჩვენ ვხედავთ, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ერთერთმა ლიდერმა აშშ-მ საკმაოდ არაადეკვატური ბრძოლის ხერხი აირჩია და უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ტერორისტების გასაძლიერებლად უზარმაზარი სივრცე შექმნა ერაყის სახით. ასეთ ვითარებაში კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ტერორიზმი მომავალში მხოლოდ აღმავლობას განიცდის, ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის.

ვფიქრობ, პუტინის მიერ გატარებული რეფორმები სავსებით შეესაბამება იმ რთულ ვითარებას, რომელიც ზოგადად მსოფლიოშია შექმნილი.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო დემოკრატიის პრობლემებსაც. დასავლეთის ლიდერთა ნაწილი აცხადებს, რომ რუსეთში დემოკრატიის დასამარება ხდება. მინდა გითხრათ, რომ ღონისძიებები, რომლებსაც პრეზიდენტი ატარებს, კონსტიტუციის ჩარჩოებში ჯდება, ამდენად მათ არადემოკრატიულობაზე საუბარი არასწორია. თანაც ძალიან ბევრ წამყვან დემოკრატიულ ქვეყანაში რეგიონების ხელმძღვანელები ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიშნება და კიდევ, გუბერნატორს რუსეთში დანიშნავს პრეზიდენტი, რომელსაც ხალხი ირჩევს. რაც შეეხება ევროსაბჭოსა და აშშ-ს, რომლებიც ამ რეფორმების გამო გვაკრიტიკებენ. მათი პოზიცია სავსებით გასაგებია, რადგან მსოფლიოს მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება მომავალში რუსეთი. ნურავის ეშინია რუსეთის. რუსეთი არ წავა დასავლეთის წინააღმდეგ. რუსეთის ევროპული ორიენტაცია უკვე განსაზღვრულია და ამ გზიდან გადახვევას არავინ აპირებს. მეორე მხრივ, რუსეთის ევროპული არჩევანი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთმა მუდმივად უნდა აბაროს გამოცდები ევროპელ თუ ამერიკელ პროფესორებს, რომლებიც არცთუ ისე კეთილსინდისიერი გამომცდელები არიან."

**ვალერი ფიოდოროვი, სოციოლოგი, რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ხელმძღვანელი:** "რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, გეტყვით, რომ იგი თითქმის უცვლელია. საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩვენ მოსკოვში პირველი ტერაქტების დროსაც ჩავატარეთ და ახლაც. საოცარია, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი არ იცვლება - იგი გაყინულია. რაშია საქმე? ნუთუ რუსეთის მოქალაქეები თვლიან, რომ ის, რაც რუსეთში ხდება, არასერიოზულია? ნუთუ გაუთავებელმა ტერაქტებმა არ იქონია ზეგავლენა მათ მოქალაქეობრივ პოზიციაზე? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა. საქმე ის არის, რომ რუსეთის მოქალაქეებს არ სურთ, დაემშვიდობონ პოლიტიკური სტაბილურობის პერიოდს, რომელზეც ამდენს საუბრობდა დღევანდელი ხელისუფლება. ეს პოლიტიკური სტაბილურობა დღევანდელი ხელისუფლების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. რუსეთის მოქალაქეებს არ სურთ იმის დაჯერება, რომ ბესლანის ტრაგედია შეიძლება კიდევ განმეორდეს. მათ არ უნდათ საომარ ვითარებაში ცხოვრებასთან შეგუება. როდესაც ვსვამთ კითხვას: გჯერათ თუ არა იმის, რომ ტერორისტებს შეუძლიათ საფრთხე შეგიქმნან თქვენ, თქვენს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს? - მხოლოდ 8 პროცენტი პასუხობს, რომ ტერორისტების არ ეშინია. 90 პროცენტს გაცნობიერებული აქვს ის, რომ საფრთხე, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია, მხოლოდ ჩეჩნეთს, ოსეთს და ა.შ. კი არა, მთელ ქვეყანას ემუქრება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც უჭირთ სტაბილურობის დათმობა და იმის აღიარება, რომ ქვეყანა ტერორისტული ომის პირასაა.

სწორედ ამიტომ, პრეზიდენტის ახალ ინიციატივას რუსეთის მოქალაქეები არაერთგვაროვნად აფასებენ. ისინი კვლავაც ძველი საზომით უყურებენ დღევანდელობას. მათთვის პრიორიტეტად რჩება პოლიტიკური სტაბილურობა, ფულის კეთება და მისი ხარჯვა."

## ორი სიტყვით

**ერაყი.** გუშინ ბაღდადში მომხდარმა აფეთქებებმა სულ მცირე 45 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დანაღმული ავტომანქანების აფეთქებები ერთდროულად ქალაქის რამდენიმე რაიონში განხორციელდა. თვითმხილველთა თქმით, დაღუპულთა და დაშავებულთა შორის ერაყის ახლად შექმნილი პოლიციის თანამშრომლებიც არიან. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ექსტრემისტებმა კიდევ 10 ადამიანი გაიტაცეს. მათ შორის ორი ინდონეზიელი ქალია, ორი ლიბანელი და ექვსი ერაყელი. მძევლები ერთ-ერთ ელექტრონულ კომპანიაში კონტრაქტით მუშაობდნენ. ვიდეოფირი, რომელზეც სამი ტყვე და ორი ნიღბიანი ექსტრემისტია აღბეჭდილი, გუშინ "ალ-ჯაზირას" ეთერით გადაიცა. გამტაცებლები საკუთარ თავს "ერაყის ისლამური არმიის" წევრებს უწოდებენ. მათ, ჯერჯერობით, არავითარი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ. ცნობილია, რომ აგვისტოში ფრანგი ჟურნალისტების კრისტიან შესნოს და ჟორჟ მალბრიუნოს გატაცებაზე პასუხისმგებლობა სწორედ "ერაყის ისლამურმა არმიამ" აიღო. მძევალთა გათავისუფლების სანაცვლოდ ექსტრემისტებმა იმ კანონის გაუქმება მოითხოვეს, რომელიც საფრანგეთის სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების, მათ შორის მუსლიმური თავსაფრების - ჰიჯაბების ტარებას კრძალავს. თუმცა, საფრანგეთის მთავრობამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მძევლები დღემდე ტყვეობაში არიან.

სულ, ერაყის კონფლიქტის დაწყების დროიდან, ტერორისტებმა მძევლად 140 ადამიანი აიყვანეს, რომელთაგან 26 სიცოცხლეს გამოასალმეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**იაპონია.** ტოკიოს ცენტრში მსუბუქმა ავტომობილმა იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის ერთ-ერთი შესასვლელის ჭიშკარი შეანგრია და აფეთქდა. აფეთქებამდე მძღოლმა მანქანიდან გადმოხტომა მოასწრო, თუმცა, შენობის დაცვამ იგი მაშინვე დააკავა. ჯერჯერობით მისი ვინაობა არ ხმაურდება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ იგი ადრე ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი იყო და ეს აქცია პროტესტის ნიშნად განახორციელა. პროტესტი 25 წლის წინ ჩრდილოეთ კორეელების მიერ გატაცებულ იაპონელებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტაში მიუღწეველ პროგრესს უკავშირდება. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ამ თემაზე პეკინში გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. **ევრო-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსეთი.** სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, პეტერბურგში, ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის ეზოში დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. ორ ტომარაში მოთავსებული 50 კგ ტროტილი, ერთი ხელყუმბარა და საარტილერიო ჭურვი, გუშინ შუადღისას, მესანგრეებმა ეზოში მდებარე ნაგვის კონტეინერებიდან ამოიღეს. სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ასაფეთქებელი მასალების ალმოჩენა ბოლშეოხტინსკის გამზირის მცხოვრებთა დახმარებით გახდა შესაძლებელი. **ინტერ-ფაქსი**

btc | bp | SCP South Caucasus Pipeline

# პრეს-რელიზი

## სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტი წარმატებით დაიწყო



BP, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების ოპერატორი კომპანია, სიამოვნებით გაუწყებთ 150000 აშშ$-ის ღირებულების სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტის მეორე ეტაპის დაწყებას. აღნიშნული პროექტი სარგებელს მოუტანს სკოლის მოსწავლეებს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და ითვალისწინებს თეთრიწყაროს, გარდაბნის და მარნეულის რაიონებში და ქ. რუსთავსა და ქ. თეთრიწყაროში მილსადენის დერეფნის 4 კილომეტრის ფარგლებში მდებარე სკოლების ყველა კლასისთვის სასკოლო სახელმძღვანელობის გადაცემას. სკოლებში ყველა სახელმძღვანელოს დარიგება 6 ოქტომბრისთვის დასრულდება.

სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტი BP-ის მიერ საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისკენ მიმართული კიდევ ერთი ინიციატივაა. იგი ავსებს BP-სა და მისი პარტნიორების მიერ წამოწყებულ და დაფინანსებულ $5 მლნ ღირებულების საზოგადოებრივ ინვესტირების პროგრამას (CIP) და $3 მლნ ღირებულების გაუმჯობესებულ სკოლების პროექტს (ISP).

სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტის პირველი ეტაპი 2003 წლის მიწურულს წარმატებით განხორციელდა, რომლის ფარგლებში სასკოლო სახელმძღვანელოები დაურიგდათ წალკის, ბორჯომის, ახალციხის და ადიგენის რაიონების სკოლის მოსწავლეებს.

პროექტის მეორე ეტაპი 2004 წლის 28 სექტემბერს რუსთავის სკოლებში სახელმძღვანელოების დარიგებით დაიწყო.

საქართველოში BP-ის გენერალური მენეჯერი რუსთავის ორი სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეხვდა. მან განაცხადა: "BP-ში ვამაყობთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და ფართო საზოგადოებრიობასთან მჭიდრო თანამშრომლობის წყალობით ყველა ჩვენი ინიციატივა ჩვენი პროექტების განხორციელების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ძირეული პრობლემების მოგვარებისკენ არის მიმართული. BP-სთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის მსგავსი მდგრადი საგანმანათლებლო ინიციატივებით მან წვლილი შეიტანოს საქართველოს მომავალი თაობის განვითარებაში და ქვეყნის წინსვლაში აქტიურ პარტნიორად მოგვევლინოს. მოხარულნი ვართ, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეგვიძლია".

BP-ის $5 მლნ ღირებულების საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (CIP) 2003 წლის მაისში დაიწყო და მიზნად ისახავს მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე 72 დასახლებისათვის სარგებლობის მოტანას. დღეისათვის, CIP-ის პროექტებმა 50000-ზე მეტ ადამიანს მოუტანა სარგებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის, შემოსავლების გამომუშავების პროექტების, ენერგიის წყაროების შექმნის და საზოგადოების შესაძლებლობების გაფართოების კუთხით.



$3 მლნ ღირებულების გაუმჯობესებული სკოლების პროექტი (ISP) 2004 წლის აგვისტოში დაიწყო და გამიზნულია ქალაქების რუსთავი, მარნეული, Gგარდაბანი, თეთრიწყარო, წალკა, Bახალციხე, ბორჯომი და ვალეს 54 სკოლისათვის. იგი სარგებელს მოუტანს 27000-ზე მეტ მოსწავლეს და 2000-ზე მეტ მასწავლებელს, ადმინისტრატორს და მშობელს სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების, მეურვეთა საბჭოების დაფუძნების და მასწავლებელთა შესაძლებლობების გაფართოების პროექტების გზით.

# უმუშევრები ახალ სპეციალობებს ეუფლებიან

*დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ერთი პროექტით ორი სასიკეთო საქმე კეთდება. ჯერ ერთი, რომ უმუშევრების რიცხვი შემცირდება და მეორე, საფუძველი ეყრება ქართული ხალხური ტრადიციული ხელოსნობის აღორძინებას.*

ნონა მაისურაძე

საწარმო "ქებაის" შენობაში, უმუშევრების გადამზადების პროცესი ისეთი ტემპებით მიმდინარეობს, რომ ოსტატისა და შეგირდის ერთმანეთისაგან გარჩევა ჭირს და ეს მაშინ, როცა მოსწავლეები აქამდე უცხო, მაგრამ სასურველ პროფესიას ეუფლებიან.

აღნიშნული პროექტი 2003 წლის დასაქმების სახელმწიფო პროგრამით იყო გათვალისწინებული, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე მისი დაფინანსება ვერ მოხერხდა. პროგრამის ღირებულება 65 000 ლარია. ერთი წლის მანძილზე შეპირებებით დაიმედებული საწარმოს პრეზიდენტი ქეთევან ფხაკაძე მწარედ იხსენებს იმ დროს, როდესაც პროგრამის დაუფინანსებლობის გამო, საწარმო ფართი მტვრით დაიფარა, პროექტის ბევრ მონაწილეს კი, ვინც ხელშეკრულებით მათთან თანამშრომლობას აპირებდა, იმედი გაუცრუვდა და წავიდა.

საბედნიეროდ, ახალმა ხელისუფლებამ, კერძოდ კი ვისაც ამ საქმის მოგვარება ხელეწიფება, პრობლემა გადაჭრეს. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან ავანსის სახით 26 000 ლარი გადაირიცხა და მომზადებაც დაიწყო.

ქეთევან ფხაკაძე, შპს "ქებაის" პრეზიდენტი: "საწარმო ''ქებაიმ'' ტენდერში გაიმარჯვა და უმუშევართა მომზადება-გადამზადება და დასაქმება იტვირთა.

პროექტი იმ ადამიანების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ვინც თავისი სპეციალობით ვერ დასაქმდა და ახალი პროფესიის დაუფლება სურს.

რაც შეეხება თემატიკას, ხალხური ტრადიციული ხელოსნობა - ხელგარჯილობა იმიტომ ავირჩიეთ, რომ ეს სფერო ბოლო პერიოდში ჩრდილში აღმოჩნდა, არადა, იგი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ჰიმნი, დროშა და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. ხელოსნობა ქართული სუვენირის შექმნის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ საქმიანობად ხელოსნობა-ხელგარჯილობის შერჩევას კიდევ ერთი დატვირთვა აქვს. დღევანდელ დაძაბულ ყოფაში ამ საქმეს ადამიანებში დეპრესიის მოხსნა შეუძლია. იგი თვითკმაყოფილების განცდას იწვევს. საკუთარი ხელით შექმნილი ნაკეთობა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. დარწმუნებული ვარ, რომ სერიოზულ კადრს მოვამზადებთ. პედაგოგებად მოვიწვიეთ კორიფეები - შოთა ციციშვილი, იაგო დეკანოზიშვილი, თამაზ ლომიძე. უაღრესად მადლიერი ვარ მათი, ვინც ამ პროექტს მხარი დაუჭირა და ბოლომდე უერთგულა. ეს მათი გამარჯვებაა".

**- როდის დაიწყო ეს პროგრამა?**

- ხელშეკრულება დაიდო 2003 წლის 5 სექტემბერს. ჩვენ მაშინვე აქტიურად დავიწყეთ მზადება და ყველა საჭირო პირობა შევქმენით, გარდა ერთისა - გვაკლდა ფინანსები. საბედნიეროდ ამ ეტაპზე პრობლემა გადაიჭრა.

**- რამდენი უმუშევარი გადის მომზადებას და მათგან რა ოდენობის დასაქმებას შეძლებთ?**

- ჩვენს სკოლაში 180 შეგირდია. პროექტი სამთვიანია. სწავლება მიმდინარეობს დღის თერთმეტიდან ხუთ საათამდე. განსაზღვრულია სტიპენდია 20 ლარის ოდენობით ყოველთვიურად. შედეგები მათ მონდომებაზეა დამოკიდებული, შემსრულებელმა უნდა ეცადოს მაღალ ხარისხს მიაღწიოს. ერთადერთი ეს არის, რაც აბსოლუტურ წარმატებას განაპირობებს. ჯგუფებში ყველა მასალის დამუშავებას სწავლობენ - ლითონი, ხე, ქსოვილი, კერამიკა, მინა.

რაც შეეხება დასაქმებას, პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია 25 პროცენტის ჩვენივე საწარმოში დასაქმება, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თუ სხვებიც დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს, მათ არ მივიღებთ. თუ ყველა გაუძლებს სამთვიან წვრთნას და მათი დღიური გამომუშავებული თანხა 5 ლარზე ნაკლები არ იქნება, ყველას დავიტოვებთ. ეს ნაკეთობები კი, რომლებზეც ამჯერად მუშაობენ, გამოფენა-გაყიდვისთვის მზადდება.

ლელა სირაძე, მხატვარი, სტუდიის წევრი: "სამწუხაროდ, ის კულტურული მემკვიდრეობა, რაც გაგვაჩნდა დღეს, დაუცველია. ასეთი სახელმწიფო პროგრამების არსებობა აუცილებელია და არა მარტო ამ მიმართულებით. მოსწავლეებით ძალიან კმაყოფილი ვარ, ისინი საოცარ ინტერესს იჩენენ და შედეგიც სახეზეა. ახალი ტექნოლოგიებისა და ინტეგრაციის პირობებში სპეციალობებში გადამზადება აუცილებელია. უმუშევრების არმია საქართველოში მხოლოდ სამუშაო ადგილების სიმცირით არ არის გამოწვეული, კადრი არ არსებობს სათანადო კვალიფიკაციით. მაგალითისთვის გეტყვით, ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენზე სამუშაოდ უცხოელი მუშახელის დაქირავება მხოლოდ იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ საქართველოში სათანადო კვალიფიკაციის ელექტროშემდუღებელი არ გვყავდა. საბედნიეროდ, კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა დარგში უკვე იწყება და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად უნდა გაგრძელდეს".

# პირველმა ლედიმ თავისი სახელობის ყვავილები დარგო

თამარ დვალი

*თბილისის ბოტანიკური ბაღი 1636 წელს დაარსდა. 2006 წელს ბაღის 370 წლის იუბილეს იზეიმებენ. ოთხი ათასამდე სახეობის მერქნიან და ყვავილოვან მცენარეებს ფონდ "კესელოს" წარმომადგენელმა ელიანა ჰოოფტიმ გუშინ ნიდერლანდებიდან ჩამოტანილი ტიტებისა და ნარცისების ათი ათასზე მეტი ძირი შეჰმატა. ახლადგამოყვანილ ყვავილების ჯიშს, რომელიც სანდრა რულოვსმა თავად დარგო, "პირველი ლედი" ეწოდა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ახლად დარგული ყვავილები პირველმა ლედიმ ქართული შამპანურით მორწყა.*

ჰოლანდიელი ქალბატონი ელიანა ჰოოფტი თავის მეუღლესთან ერთად უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც თბილისში, აბანოს უბანში ცხოვრობს. ორი წლის წინათ, თავის ქართველ მეგობართან ერთად, მან ფონდი "კესელო" ჩამოაყალიბა. ფონდის დახმარებით, მათ თუშეთი შემოიარეს და თუშეთის ზემოთ არსებული კოშკები შეაკეთეს. ამჟამად ქალბატონმა ელიანამ ნიდერლანდებიდან ტიტებისა და ნარცისების ახლადგამოყვანილი ჯიში ჩამოიტანა და სანდრა რულოვსის პატივსაცემად, "პირველი ლედი" უწოდა. "აქ ულამაზესი ბუნება და მრავალფეროვანი ყვავილებია. ასეთ ჰაერზე სეირნობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს და გადავწყვიტე, ჩემი წვლილიც შემეტანა ამ ბაღის გალამაზებაში," – აღნიშნა ჰოოფტმა.

ტიტები და ნარცისები გუშინ პირველმა ლედიმ თავად დარგო და განაცხადა, რომ გაზაფხულზე, როდესაც ისინი აყვავდება, აუცილებლად მოინახულებს. ახლად დარგული ყვავილები პირველმა ლედიმ ქართული შამპანურით მორწყა. "ჩემ მიერ დარგული ხუთი ყვავილის ბოლქვი, საქართველოს დროშაზე გამოსახული ხუთი ჯვრის სიმბოლოა," – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

ბოტანიკური ბაღის დირექტორის ჯიმშერ კერესელიძის თქმით, ბოტანიკურ ბაღს სულ ცოტა დახმარებაც რომ ჰქონდეს, მაშინ იგი ევროპული სტანდარტის ბაღებს გაუტოლდებოდა. ბაღის ბაზაზე არსებობს "მებაღეთა სკოლა", რომელიც საქართველოში ერთადერთია და ამჟამად დახურვის პირასაა მისული. ბატონმა ჯიმშერმა არსებული სიტუაციით ისარგებლა და ჰოლანდიის საელჩოს წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა, - "იქნებ საელჩოებმა შეძლოთ და ცოტაოდენი დახმარება გაუწიოთ ამ შესანიშნავ სკოლას, სამაგიეროდ, მაღალკვალიფიციური კადრებით შევძლებთ თქვენი საელჩოებისა და სახლების ეზოების გალამაზებასო".

მას შემდეგ, რაც პირველმა ლედიმ თავისი სახელობის ყვავილები დარგო, საგანგებოდ მოწვეულმა მუსიკოსებმა "ყვავილების ქვეყანა" იმღერეს და ბაღში გაწყობილი

# მწერალთა კავშირის შენობა ერთი კავშირის საკუთრება აღარ იქნება

*აგვისტოს თვეში, მთავრობის 50-ე დადგენილების თანახმად, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც აწერს, მწერალთა კავშირს ჩამოერთვა მის საკუთრებაში არსებული ორი შენობა. აგვისტოს თვეშივე საოლქო სასამართლომ მთავრობის დადგენილება შეაჩერა, თუმცა კულტურის სამინისტრომ მაჩაბლის 11-ში და 13-ში მდებარე შენობების დაცლა ერთი კვირის წინათ მაინც მოითხოვა. მწერლები, საპატრიარქოს წარმომადგენლები და ოპოზიციონერი დეპუტატები მთავრობის მიერ კანონის უგულებელყოფასა და მწერლების მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებაზე საუბრობენ. კულტურის სამინისტროში კი ყველა ბრალდებას უარყოფენ.*

თამარ დვალი

მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობა, რომელიც მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში მდებარეობს, ისტორიულია. იგი 1921 წელს რევკომმა გადასცა მწერალთა კავშირს, რის შემდეგაც წლების განმავლობაში მწერლების საკუთრებად ითვლებოდა. 1990 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლის მიხედვითაც, მწერალთა კავშირს დამატებით გადაეცა კიდევ ერთი შენობა მაჩაბლის 11 ნომერში, სადაც ამჟამად სახალხო დამცველის ოფისია განთავსებული (მას მწერალთა კავშირთან საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული). შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გამოვიდა "შემოქმედებითი კავშირების შესახებ" კანონი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მწერალთა კავშირის შენობის საკუთრების საკითხი.

2004 წლის აგვისტოში, მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, ყოველგვარი საფუძვლისა და წინასაწარი შეტყობინების გარეშე, მწერალთა კავშირს ჩამოერთვა ეს შენობა. ამის შემდეგ მწერალთა კავშირის წევრებმა სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთავრობის დადგენილება შეჩერდა. **"იმის მიუხედავად, რომ სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, სხდომის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ გამოსცა ბრძანება და კულტურის სამინისტრომ, მის საფუძველზე, მწერალთა კავშირის შენობის სასწრაფოდ დაცლა მოითხოვა. აქ საქმე ეხება არა მარტო მწერლების მიმართ ცუდ დამოკიდებულებას, არამედ ეს არის მთავრობის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების იგნორირება",** – აცხადებს პარლამენტარი კახა კუკავა, რომელიც მწერალთა კავშირის წევრების ინტერესების დამცველია.

მთავრობის ამ დადგენილებას ეწინააღმდეგებიან მწერლებიც. **"ამ შენობის ჩამორთმევა ნიშნავს პირდაპირ დარტყმას ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე",** – აცხადებს მწერალი რევაზ მიშველაძე; ჯანსულ ჩარკვიანის განცხადებით კი, ხელისუფლებასთან, რომელმაც არ იცის, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში დამოუკიდებელ მწერალს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირი უნდა ჰქონდეს, სალაპარაკოც არაფერია. **"როგორც მთავრობის წევრები აცხადებენ, თურმე, ამ პატარა საქართველოში 450 მწერალი ვერ იქნება. მინდა, ვკითხო მათ, ამავე ქვეყანაში 235 პოლიტიკოსი, ჩემი ჩათვლით, შეიძლება არსებობდეს"?** – კითხულობს იგი.

ოპოზიციონერი პარლამენტარები ხელისუფლებას კანონდარღვევაში ადანაშაულებენ. **"ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს სისტემატური ხასიათი მიიღო მთავრობის მხრიდან საკუთრების უფლების ხელყოფამ; ხდება კონსტიტუციისა და კანონების იგნორირება. საქართველოს კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლი ადგენს, რომ საკუთრების უფლება არის ხელშეუხებელი და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია. მესმის, რომ პრეზიდენტი ხშირად ღიზიანდება ჩვენი კრიტიკული შენიშვნების გამო, ზოგჯერ ისეთ სიტყვასაც გვეტყვის, რომელიც არ გვსიამოვნებს, მაგრამ ხანდახან მაინც ითვალისწინებს ჩვენს კრიტიკას. ამ შემთხვევაშიც იმედი გვაქვს, რომ ის გადახედავს მთავრობის ამ დადგენილებას და გააუქმებს მას. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტს ამის უფლება აქვს",** – აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

კულტურის სამინისტროში ამ აურზაურს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ შენობა კვლავ მწერლების საკუთრებად დარჩება. თუმცა, აქ ერთი კავშირის ნაცვლად, სხვა კავშირის წევრებსაც შეეძლებათ შეკრება. **"მაჩაბლის 13 ნომერში მდებარე შენობა აღარ იქნება ერთი კავშირის საკუთრება. აქ მწერალთა სახლი გაიხსნება, რომელიც ხელს შეუწყობს ლიტერატურული საღამოების გამართვასა და წიგნების პრეზენტაციას. ყველას, ვინც წარადგენს თავის პროექტს, თავისუფლად შეეძლება ამ შენობაში საღამო მოაწყოს. როგორც აქამდე იყო, ამ შენობაში შესაღწევად ამ კავშირში გაერთიანება სულაც არ იქნება საჭირო. შენობის დაცლისთანავე იქ რემონტის დაწყებას ვგეგმავთ",** – განუცხადა "24 საათს" სპორტის, კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილემ თათა ქვარიანმა.

# ჟორდანიას ინსტიტუტი არასამედიცინო საშიშროების წინაშე

*მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში თითზე ჩამოსათვლელია, საქართველოში კი ვერც მოიძიებთ ისეთ პროგრესულ, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებით "შეიარაღებულ", მსოფლიოს სამედიცინო წრეებში მაღალი რეპუტაციის მქონე სამედიცინო დაწესებულებას, როგორიც ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტია.*

სოფიკო ძხაიძე

ანდროლოგია და ინ-ვიტრო განაყოფიერება, რეპროდუქციული პათოლოგიების მკურნალობა და რეპროდუქციული ენდოკრინოლოგია, რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბება და რეგულაცია, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების დანერგვა – ეს არასრული სია ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ძნელად გასაგები სამედიცინო ტერმინოლოგიისა, ჟორდანიას ინსტიტუტის, როგორც კვლევითი, ასევე სამკურნალო დაწესებულების პრიორიტეტული სფეროები გახლავთ, რომელთა შედეგზე საუბარი კონკრეტული ციფრებით შეიძლება. ამ ციფრების საქვეყნო მნიშვნელობის ახსნა კი საჭირო ნამდვილად არ გახლავთ – დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში, ამ ინსტიტუტში ჩატარებული უშვილობის მკურნალობის შედეგად ყოველწლიურად 500-600 ბავშვი იბადება. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ჟორდანიას ინსტიტუტის მიღწევები და აქედან გამომდინარე, მისი საერთაშორისო რეპუტაცია წლების მანძილზე ინსტიტუტის დირექტორის, ამჟამად ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ხომასურიძის სახელს უკავშირდება. ჟორდანიას ინსტიტუტს სათავეში იგი უკვე 20 წელიწადია, უდგას და ეს წლები გახლავთ სწორედ ინსტიტუტის აღმავლობის ხანა. თუმცა, ბოლო ორი წლის მანძილზე წამოჭრილმა სრულიად არასამედიცინო პრობლემებმა ჟორდანიას ინსტიტუტის სამუშაო პროცესი ერთგვარად კალაპოტიდან ამოაგდო და მის რეპუტაციასაც მნიშვნელოვნად დაემუქრა.

საუბარია დაპირისპირებაზე, რომელიც ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნით დაიწყო და ჯერ კიდევ დაუსრულებელი სასამართლო დავით გაგრძელდა. ამ პროცესს კი თან ახლავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ხომასურიძისთვის საინფორმაციო საშუალებებით გამოცხადებული ომი.

აღმასრულებელი დირექტორის, ცნობილი ექიმის დავით ხეროდინაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო დაწყებული სასამართლო დავა წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. რაიონულმა სასამართლომ ხეროდინაშვილის სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა, საოლქო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, პროცესი მოწინააღმდეგე მხარემ, ანუ ჟორდანიას ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭომ მოიგო, არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით. ახლა კი საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს.

ამჯერად ჩვენ აღარ დავწვრილმანდებით იმ ბრალდებების დეტალიზაციაზე, რომლებსაც დავით ხეროდინაშვილი არჩილ ხომასურიძეს უყენებს – მისი მოსაზრებები პრესით საკმაოდ დეტალურად და საკმაოდ ცალმხრივადაც შუქდება და საზოგადოებაც მეტ-ნაკლებად საქმის კურსშია. ამასთან, ეს ყოველივე უფრო სამართალდამცველი ორგანოების გასარჩევია, ვიდრე ჩვენი. მხოლოდ მოკლედ მოგახსენებთ, იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ინსტიტუტის კუთვნილი თანხებით ფინანსურ მაქინაციების მოწყობასა და თანხების მითვისებაში ადანაშაულებს, რის შედეგადაც, მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი პაციენტთა ნაკლებობას არ განიცდის, წლების მანძილზე წაგებაზე მუშაობს. თავად არჩილ ხომასურიძე, რომელიც მის "ფინანსურ თაღლითად" მონათვლას ხეროდინაშვილის ფანტაზიის ნაყოფს უწოდებს, ციფრებით საუბარს ამჯობინებს, რომელთა თანახმადაც ერთადერთი წამგებიანი წელიწადი ჟორდანიას ინსტიტუტისთვის სწორედ ის იყო, როდესაც აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა დავით ხეროდინაშვილს ეკავა. მეტიც, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ეს მიზანმიმართულადაც კი მოხდა, რადგანაც ხეროდინაშვილის მიზანს სწორედ ინსტიტუტის გაკოტრება წარმოადგენს, რათა შემდგომში მისი ხელში ჩაგდება გაუადვილდეს. სწორედ წამგებიანმა წელიწადმა და ინსტიტუტში დაუსრულებლად სამართალდამცველი ორგანოების შეგზავნით მუშაობის პროცესისთვის ხელისშემშლელი პირობების შექმნამ სამეთვალყურეო საბჭოს მისადმი ნდობა დააკარგვინა. თუმცა, უნდობლობა მისი გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა. აღმასრულებელი დირექტორის მოღვაწეობაში კანონდარღვევებიც იქნა აღმოჩენილი, რომელთა არსებობა სახელმწიფო მართვის სააგენტომაც დაადასტურა და ამგვარი ქმედების გაგრძელების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მისი გათავისუფლების რეკომენდაცია მისცა. ასეც მოხდა.

უზენაეს სასამართლოს ახლა მხოლოდ ამ ქმედების კანონიერების გარკვევა აბარია და არა იმის დადასტურება, მართლაც ეწეოდა თუ არა დავით ხეროდინაშვილი ინსტიტუტის ძირგამომთხრელ მუშაობას. არადა, ამ მოსაზრებას არჩილ ხომასურიძის გარდა, ინსტიტუტის თითქმის მთელი კოლექტივი იზიარებს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არსებობს, ინსტიტუტის 200 თანამშრომლიდან 170-ის ხელმოწერით. მოგვეცით ნორმალური მუშაობის საშუალება იმ ადამიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც წლების მანძილზე ინსტიტუტის ნორმალურად ფუნქციონირების გარდა, მისთვის საერთაშორისო აღიარების მოპოვება უზრუნველყო - დაახლოებით ასეთი გახლავთ მათი კოლექტიური წერილის შინაარსი. ამ წერილის უკან კი არსებობს შიში, რომ სასამართლოს ერთი შეცდომის წყალობით, ერთ მშვენიერ დღეს, მათ, სამსახურში მისულებს, ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ნაცვლად, ინსტიტუტის შენობაში სასტუმრო ან კაზინო დახვდებათ გახსნილი.

# ახალი მთავრობა და ახალი რეგლამენტით

*გუშინ თბილისის საკრებულომ ქალაქის მთავრობა ტაშის გრიალით დაამტკიცა. სხდომა აღსანიშნავი იმითაც იყო, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მუდმივად ოპოზიციონერმა "ლეიბორისტებმაც" მიიღეს. თუმცა, სხდომის დასაწყისში საკრებულოს უმრავლესობამ უმცირესობის წარმომადგენლები ისე გვარიანად "შეახურა", ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობის სურვილი როგორღა გაუჩნდებოდათ.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინდელი სხდომა, როგორც წესი, "ლეიბორისტების" პრეტენზიული გამოსვლებით დაიწყო. ისინი სხდომაზე ქალაქის პრემიერის დასწრებას მოითხოვდნენ. საქალაქო სამსახურების ახალი უფროსებიც ნარკოტიკების მომხმარებელნი რომ არ აღმოჩნდნენ, პასუხისმგებლობა ვინმემ ხომ უნდა აიღოს საკუთარ თავზეო, წინასწარ თავის დაზღვევა სცადეს "ლეიბორისტებმა". თუმცა, უმრავლესობამ შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელებს ისეთი დღე დააწია, პრეტენზიები ვიღას ახსოვდა. "ნაციონალმა" და "დემოკრატმა" კოლეგებმა "ლეიბორისტებს" რუსეთის ტელეარხ "НТВ"-ზე საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ნათელაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები გაახსენეს და სულ სერგო ორჯონიკიძეები და რუსეთის აგენტები ეძახეს. **"ჩვენ რუსეთისა და შალვა ნათელაშვილის გვერდში მდგომებთან ვერ ვიმეგობრებთ,"** – უმრავლესობის ამ მუქარამ "ლეიბორისტები" ცოტა მოალბო და კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი აღარ უთქვამთ.

ქალაქის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე ირაკლი თოდუას, განათლების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნინო ჩაჩავას, ქალაქის ქონების მართვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ლევან ალაფიშვილისა და ეკონომიკური-პოლიტიკის სამსახურების უფროსის თანამდებობაზე უჩა გელაშვილის კანდიდატურები დეპუტატებმა შეხმატკბილებულად დაამტკიცეს. თითო-თითო მოწინააღმდეგე მხოლოდ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურისა და ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსების კანდიდატურებს, ზაზა გოროზიასა და ვარლამ (იგივე ბესო) ჯებაშვილს გამოუჩნდათ. როგორც კულუარებში ამბობდნენ, "ვილაცვილაცები" ჯებაშვილის კანდიდატურის ჩაგდებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. თბილისის მთავრობის ახალმა წევრებმა თავდაჭერილი ღიმილით მიიღეს მილოცვები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხები: სპორტის განვითარების პროგრამა, თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და რეგულირების წესებში ცვლილებების შეტანის პროექტი და გზების, ლიფტებისა და სახურავების შეკეთების პროგრამის მიხედვით გაწეული სამუშაოების მონიტორინგის ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ სულ რიხინ-რიხინით დაამტკიცა. თუმცა, უკანასკნელმა საკითხმა სხდომის დასასრული ოდნავ გააჯანჯლა.

საკრებულოს ხელმძღვანელობამ წინა სხდომაზე, სხდომებზე სრული დასწრების აღსადგენად, დამსჯელი მექანიზმების შემოღება გადაწყვიტა და ახალი რეგლამენტიც შეიმუშავა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს დამსჯელი მექანიზმები ისევ დეპუტატების წისქვილზე ასხამს წყალს. დეპუტატები ხელფასს ფრაქციებსა და კომისიებში მუშაობისა და სხდომებზე დასწრება-საკითხის გამოტანის მიხედვით იღებენ. აქამდე ფრაქციებში მუშაობის საფასური 200-200 ლარი იყო, სხდომაზე დასწრების კი – 25 ლარი. ახალი რეგლამენტის მიხედვით, ფრაქცია-კომისიებში მუშაობის ღირებულება 50 ლარამდე შემცირდება, სხდომის დასწრების კი – 25 ლარიდან 500 ლარამდე გაიზრდება. სამაგიეროდ, სხდომის გამცდენი დეპუტატი 200 ლარით დაჯარიმდება. ასეთი რეგლამენტი დეპუტატებს თან შეაშინებს და თან წაახალისებსო, აცხადებენ რეგლამენტის ავტორები. საინტერესო ის არის, რომ რეგლამენტით განსაზღვრული არ არის საჯარიმო სანქცია რამდენ გაცდენაზე წესდება. ამას საკრებულოს თავმჯდომარე დაარეგულირებსო, განგვიმარტავს საკრებულოს წევრი გიორგი გოგოლაძე. საკრებულოს ძველი რეგლამენტის მიხედვით, სხდომაზე დაუსწრებლობა 200 ლარამდე ისედაც ჯარიმდებოდა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარეს ეს სანქცია დღემდე არ გამოუყენებია. გამოდის, რომ "შემწყნარებლობის" საშუალებას მას ახალი რეგლამენტიც აძლევს, დეპუტატებს კი 550 ლარამდე გაზრდილი ხელფასი ხახვივით შერჩებათ.

სანამ გუშინდელი სხდომის დამსწრე დეპუტატები ახალი რეგლამენტის აზრს ჩასწვდებოდნენ, ჯარიმის ხსენებამ ერთი აყალ-მაყალი გამოიწვია, მაგრამ საკრებულოს წევრები მალევე ჩაჩუმდნენ და რეგლამენტი ერთხმად დაამტკიცეს.

# გენერალური პროკურატურა უკანონო პატიმრობის წინააღმდეგ გააქტიურდა

თამარ კაციტაძე

*საქართველოში უკანონო პატიმრობის შესახებ ოფიციალური სტრუქტურები სულ უფრო ხშირად და ხამამაღლა საუბრობენ. თავის დროზე, პიროვნების უკანონო პატიმრობის გაპროტესტება თუ "ქარის წისქვილებთან" ბრძოლას ჰგავდა, დღეს ამ პრობლემის წინააღმდეგ თავად გენერალური პროკურატურა გამოდის, ერთთვიანი მუშაობის კონკრეტულ შედეგებს აქვეყნებს და დამნაშავეების დასჯის პირობასაც იძლევა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"უკანონო პატიმრობის ფაქტებზე აუცილებლად აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავეებიც დაისჯებიან", - ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე.*

საპატიმრო ვადები ექსტრადიციის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პერიოდში რომ ირღვევა, ამის შესახებ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემაც განაცხადა.

გენერალური პროკურორის მოადგილის ინფორმაციით, ექსტრადიციის პერიოდში საპატიმრო ვადების დარღვევის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთი, რომ სხვა ქვეყნიდან პატიმართა საქართველოში გადმოყვანა ხშირად ფინანსური პრობლემის გამო ჭიანურდება; მეორე - უცხო ქვეყანაში დაკავებულნი იქვე ასაჩივრებენ დაკავების კანონიერებას, რაც ასევე ვადებთან არის დაკავშირებული.

**"მიუხედავად ამისა, გამოძიება ვალდებულია, ექსტრადირებულ პიროვნებას განმეორებით წარუდგინოს ბრალდება. შესაბამისად, უნდა მოხდეს დაპატიმრების შესახებ გაცემული სასამართლო ბრძანების ხელახლა დადასტურება და პატიმრობის ვადის გაგრძელება, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება. ეს კი პროცესუალური ნორმების დარღვევას ნიშნავს, რა დროსაც ნებისმიერი პირი უკანონო პატიმრად ჩაითვლება,"**- განაცხადა კახა კობერიძემ.

საპატიმრო ვადების დარღვევაზე (ანუ უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით) გენერალური პროკურორის მოადგილე პასუხისმგებლობას ერთნაირად აკისრებს, როგორც საგამოძიებო ორგანოებს და პროკურორებს, ასევე მოსამართლეებს და თვით სასჯელაღსრულებით დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომლებიც ვალდებულნი არიან, საპატიმრო ვადების გასვლის შემთხვევაში შეტყობინება გაუგზავნონ შესაბამის ორგანოებს, ხოლო თავად უკანონო პატიმარი დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ. ჩვენი ინფორმაციით, მიუხედავად უამრავი დარღვევებისა, პენიტენციალური სისტემის ხელმძღვანელობას ამ მხრივ კანონის აღსრულებისთვის გამბედაობა დღემდე არ გამოუჩენია.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაირკვა, საპატიმრო ვადების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლო პერიოდში გენერალური პროკურატურა განსაკუთრებით გააქტიურდა. ამას კახა კობერიძე გენპროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნით ხსნის.

სწორედ "იუსტიციის სამინისტროში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის" დეპარტამენტის ბოლო ერთი თვის მუშაობის დამსახურებაა იმ ექვსი ფაქტის გამოვლენა, რომლებზეც გუშინ კახა კობერიძემ კონკრეტულად ისაუბრა.

აღნიშნული დეპარტამენტის დამსახურებაა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულება უკვე დატოვა ექვსმა უკანონო პატიმარმა; მათ შორის არის პატიმარი თავაძე, რომლის საპატიმრო ვადებიც თიანეთის საგამოძიებო სამსახურმა არ გააგრძელა. განთავისუფლებულია უკანონო პატიმარი ბადრიაშვილიც. მის საქმეს დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლო განიხილავდა, სადაც კანონით განსაზღვრული 12-თვიანი სასამართლო პატიმრობის ვადები დაარღვიეს.

**"გამოვლენილ ფაქტებზე ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ აშკარად იკვეთება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ამიტომ ამ ფაქტებზე აუცილებლად აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავეებიც დაისჯებიან",** - გვპირდება გენერალური პროკურორის მოადგილე და ამგვარი ფაქტების გამოვლინებაში დახმარებას საზოგადოებასაც სთხოვს.

**"გენერალურ პროკურატურაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, ამიტომ ვთხოვთ მოქალაქეებს: თუ აქვთ პატიმრობის ვადების დარღვევასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია, დაგვირეკეთ და რეაგირებას აუცილებლად მოვახდენთ",** - განაცხადა კახა კობერიძემ.

# დიდი გასეირნება გორის პარკიდან წინასწარი დაკავების საკნამდე

*ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ჯარისკაცების მიერ დისლოკაციის ადგილის დატოვება და ამა თუ იმ ქალაქში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს.*

კიდევ ერთი ასეთი ფაქტი გუშინ ქალაქ გორში დაფიქსირდა. როგორც გამოძიებით დადგინდა, თავდაცვის სამინისტროს გორში დისლოცირებული ქვედანაყოფის მეთერთმეტე ბრიგადის ათმა ჯარისკაცმა გუშინწინ, ღამით, დაახლოებით 11 საათზე დისლოკაციის ადგილი მიატოვა და გორში ერთი კვირის წინ გახსნილ პარკ „ახალბაღში" „გაისეირნა". აღსანიშნავია, რომ პარკის გახსნაში თავად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

როგორც თვითმხილველნი აღნიშნავენ, ჯარისკაცთა გართობა ცოტა ხანში დებოშში გადაიზარდა, რასაც ძელსკამები და კარუსელის სკამი შეეწირა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის ინფორმაციით, იყო სროლებიც.

პარკის დირექტორმა, თურმე, სცადა, მომხდარის შესახებ პოლიციისთვის ეცნობებინა, მაგრამ სამხედროებმა მას ტელეფონი დაუმტვრიეს და სამართალდამცველების გამოჩენის შიშით შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.

საბოლოოდ, მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა ათივე ჯარისკაცის დაკავება გორის ინტურისტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოახერხა და ისინი სამხედრო კომენდატურას გადასცა.

იმავე პერიოდში საქმეში ჩაერთო გორის რაიონის პროკურატურა, სადაც სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით აღიძრა. ათივე ჯარისკაცი ამ ეტაპზე ეჭვმიტანილია სხვისი ქონების განადგურებაში, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და ხულიგნობაში. გორის რაიონის პროკურორის არჩილ ბაბაჯანაშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეჭვმიტანილთა დაკითხვა და ბრალი მათ, სავარაუდოდ, დღეს წარედგინებათ, რის შემდეგაც აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით გამოძიება სასამართლოს მიმართავს. გუშინვე ქართველ სამხედროებს ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდათ და დადგინდა, რომ ისინი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

მომხდარ ფაქტს გამოეხმაურა პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელიც, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარისკაცები და მათი მეთაურებიც ამ ინციდენტის გამო მკაცრად დაისჯებიან.

პრეზიდენტის რწმუნებულისაგან განსხვავებით, შედარებით თავშეკავებულია რაიონის პროკურორი. მისი თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეჭვმიტანილთა დაკითხვა და მეთაურთა მხრიდან დანაშაულის ნიშნები თუ გამოიკვეთება, მათ ბრალეულობაზე გამოძიება ამის შემდეგ იმსჯელებს. თუმცა, ბაბაჯანაშვილი არ უარყოფს, რომ სამხედროებს დისლოკაციის ადგილის დატოვებისა და, მით უმეტეს, სამხედრო ნაწილში ალკოჰოლური სასმელის შეტანის უფლება არ ჰქონდათ.

*24 საათი*

# ელიავასა და გვილავას რეაბილიტაციის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს

*საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეროვნული გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკის აკაკი ელიავასა და ამავე გვარდიის წევრის გოჩა გვილავას რეაბილიტაციის შუამდგომლობის განხილვა პროკურორის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. ადვოკატი ეკა ბესელია რამდენიმე თვის წინ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს.*

საქმე ისაა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2000 წლის 9 ივნისს, ზესტაფონის პოლიციის ეზოში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული, გააბრაგებული გვარდიის პოლკოვნიკი აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა სიკვდილის შემდეგ ნაწილობრივ რეაბილიტირებულად ცნო.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილებით, აკაკი ელიავას წლების წინ, სიკვდილამდე წაყენებული ბრალდება – მკვლელობის მცდელობა, შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, ტერაქტის მოწყობის მცდელობა, იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარება მოეხსნა და მას მხოლოდ პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა დარჩა ბრალდებად.

გარდა ამისა, სასამართლო კოლეგიამ ცალკე განჩინება გამოიტანა, რომლის მიხედვითაც, გენერალურ პროკურატურას იმ პირების დადგენა და მათი მოქმედებების კანონიერების შესწავლა დაევალა, რომლებმაც აკაკი ელიავასა და გოჩა გვილავას ლიკვიდაციის ბრძანება გასცეს. მომჩივანი - აკაკი ელიავას ძმა, სპარტაკ ელიავა დარწმუნებულია, რომ ზესტაფონის პოლიციის ეზოში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალების ობიექტური შესწავლისას ედუარდ შევარდნაძის, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის კახა თარგამაძის, უშიშროების მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის, ანტიტერორისტული ბიუროს უფროსის - ამჟამად პატიმარ ლევან კენჭაძის ბრალეულობა აუცილებლად დადასტურდება.

სასამართლოზე, რომელიც რამდენიმე თვეა მიმდინარეობდა, დაიკითხნენ პოლიციის გენერალი რუბენ ასანიძე, ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, უშიშროების გენერალი ლევან კენჭაძე, ზესტაფონის პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი და სხვა მაღალჩინოსანი პოლიციელები. დაკითხვისას ლევან კენჭაძემ ელიავასა და გვილავას ლიკვიდაციის თაობაზე ბრძანების გამცემი პირები, ფაქტობრივად, დაასახელა: **"სახლში ვიყავი, როდესაც უშიშროების მორიგემ დამირეკა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლა მთხოვა. იქ გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, კახა თარგამაძე, ვახტანგ ქუთათელაძე და მათი მოადგილეები დამხვდნენ. დამავალეს, რომ მძევლების გათავისუფლება მეწარმოებინა. ზესტაფონში ვერტმფრენით ჩავფრინდით, მალევე გავიგეთ, რომ მძევლები პოლიციის შენობის უკანა კარებიდან გაჰყავდათ. სპეცრაზმის წევრები ჩასაფრდნენ და ოპერაცია ჩაატარეს,"** - განაცხადა სასამართლო პროცესზე კენჭაძემ. მისივე თქმით, ოპერაციის დაწყების ბრძანება უშიშროების სპეცრაზმის ხელმძღვანელმა გასცა.

ექსპერტიზის დასკვნით, ელიავას გულმკერდის არეში 10 სანტიმეტრის მანძილიდან ჰქონდა ნასროლი, ხოლო ზურგში - 5 სანტიმეტრიდან.

ადვოკატ ეკა ბესელიას განცხადებით, გარდაცვალების ფაქტის გამო ელიავასა და გვილავას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე რამდენჯერმე შეწყდა, მაგრამ ადვოკატები ელიავასა და გვილავას რეაბილიტაციის საკითხს გამუდმებით აყენებდნენ, ამის გამო შეწყვეტილი საქმე ისევ განახლდა.

ამჯერად, ადვოკატებმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც, ელიავასა და გვილავას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება ედებოდათ ბრალად, ანუ დაზარალებული მხარის ადვოკატები მოკლულთა სრულ რეაბილიტაციას ითხოვენ.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა ოქტომბერში გადაწყვეტს, მოხდება თუ არა აკაკი ელიავასა და გოჩა გვილავას სრული რეაბილიტა-


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი

საკონტაქტო ტელეფონი

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge


## მოკლედ

### გამოძიების ვადა, ფაქტობრივად, ცხრიდან რვა თვემდე შემცირდა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, ბრალდებულს წინასწარი პატიმრობის ვადად, რომლის მაქსიმუმი ცხრა თვე იყო, ეთვლება ის პერიოდიც, როდესაც საქმეში მონაწილე მხარეები საქმის მასალებს ეცნობიან.

დღემდე გამოძიებას 9-თვიანი ვადა საბრალდებო დასკვნის დამტკიცებამდე ჰქონდა, ხოლო ის პერიოდი, როდესაც მხარეები საქმეს ეცნობიან, საგამოძიებო ვადაში არ შედიოდა.

საკანონმდებლო ცვლილებით, მხარეებს საქმის გაცნობისათვის, მაქსიმუმ, 30 დღე ეძლევათ, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიების ვადა, ფაქტობრივად, ცხრიდან რვა თვემდე შემცირდა.

*მედია-ნიუსი*

### მაია ნიკოლეიშვილმა პოლიციის შტატიანი მოწმეები აღმოაჩინა

"საქართველოში "ცრუმოწმეების ინსტიტუტი" მოქმედებს, მასობრივ დაჭერებსა და პატიმართა წამების ფაქტებზე რეაგირება არ ხდება," – აცხადებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომლის თქმითაც, საქართველოში პოლიციის თანამშრომელთა მიერ უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები.

"პოლიცია ე.წ. იარაღისა და ნარკოტიკის "ჩადების" ჩვეული მეთოდების განხორციელებას აქტიურად ეწევა და ამისათვის ცრუმოწმეებსაც იშველიებს," – განაცხადა ექსპერტმა, რომელიც დოკუმენტური ფაქტების საფუძველზე ორი ცრუ მოწმის - გიორგი თამაზაშვილისა და ზაზა ფოდიაშვილის - ჩვენებებზე მათ ხელის მოწერას ადასტურებს. გიორგი თამაზაშვილი მოწმის სახით ოთხჯერ არის დაკითხული სხვადასხვა საქმეში, ხოლო ზაზა ფოდიაშვილი - ექვსჯერ, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში. "ისინი დაქირავებული მოწმეები არიან, ოქმის ტექსტში დაშვებული ბევრი უზუსტობაც საკმარისია ამის დასადგენად", – აცხადებს ექსპერტი.

ამასთან, ნიკოლეიშვილი მასობრივ დაჭერებსა და პატიმართა სასტიკად წამების ფაქტებს აპროტესტებს. იგი მიიჩნევს, რომ წინასწარი პატიმრობა და წამება, რამაც უკვე ბევრი პატიმრის ჯანმრთელობა დააზიანა, არის შურისძიება, რაც მათ დამცირებას, არაადამიანურ პირობებში მოხვედრასა და დამუშავებას ითვალისწინებს.

ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, ზუგდიდის ციხეში იმყოფება პატიმარი გენო ფულავა, რომელსაც სანთლის ალით მიაყენეს დამწვრობები.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მიმართავს წითელი ჯვრის ორგანიზაციისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, ყურადღება მიაქციონ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობას. გარდა ამისა, იგი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო სტრუქტურებს "ცრუმოწმეთა" საქმიანობის გამოძიებასა და დასჯას სთხოვს.

*პრაიმ-ნიუსი*

### წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია მოლაშვილის გათავისუფლებას მოითხოვს

წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციამ, რომლის ოფისი ჟენევაში მდებარეობს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას და მისი მწამებელი სამართალდამცველების დასჯას მოითხოვს.

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის ცნობით, წამების საწინააღმდეგო ორგანიზაციას მოლაშვილის წამების თაობაზე საინფორმაციო მასალა მათ მიაწოდეს.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ მიმართვაში გამოთქმულია შეშფოთება სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის გამო და მოითხოვენ მისი წამების ობიექტურად გამოძიებას.

სულხან მოლაშვილის წამების თაობაზე ინფორმაცია მისი დაკავებიდან ორნახევარი თვის შემდეგ, წლეულს ივნისში, არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ გაავრცელა. მოლაშვილი აცხადებს, რომ იგი პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში აწამეს. ამ ფაქტზე აღძრულ საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს.

*მედია-ნიუსი*

### ფინანსურმა პოლიციამ გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" ხელმძღვანელობის მიმართ საქმის აღძვრა უსაფუძვლოდ მიიჩნია

ფინანსურმა პოლიციამ გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა დაასრულა და, შედგენილი დასკვნის თანახმად, გაზეთის ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გამორიცხა.

ამის შესახებ მედია-ჰოლდინგ "ჯორჯიან თაიმსის" პრეზიდენტმა მალხაზ გულაშვილმა და გაზეთის რედაქტორმა გიორგი კაპანაძემ განაცხადეს. მათი განცხადებით, "ჯორჯიან თაიმსს" ფინანსურმა პოლიციამ დავალიანების სახით მხოლოდ 911 ლარის გადახდა დააკისრა, რაც უკვე ანაზღაურებულია. გიორგი კაპანაძის თქმით, 911 ლარიდან უმეტესი თანხა მიმდინარე გადასახადები იყო და "იგი რედაქციაში პოლიციელთა შემოჭრის გარეშეც დაიფარებოდა კანონიერ ვადებში".

ჰოლდინგ "ჯორჯიან თაიმსის" პრეზიდენტის მალხაზ გულაშვილის განმარტებით, რედაქციას ბიუჯეტისთვის გადასახადების დაფარვის ფაქტი არ დაუდასტურდა და გაზეთის რედაქციაში "პოლიციის შტურმი მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ "ჯორჯიან თაიმსში" ჩინოვნიკებზე მამხილებელი მასალები იბეჭდებოდა".

მისივე თქმით, საქართველოში მედიაზე ზეწოლის ფაქტი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ამერიკულმა გამოცემამ "ვაშინგტონ თაიმსმა" სასტიკად დაგმო.

თბილისის ფინანსური პოლიცია "ჯორჯიან თაიმსის" ოფისში 14 ივლისს შევიდა. როგორც რედაქციაში განმარტეს, პოლიციას ჩხრეკის ორდენი არ გააჩნდა და იგი მოგვიანებით სასამართლოს მიერ დააკანონა. პოლიციის მაშინდელი ინფორმაციით, "ჯორჯიან თაიმსის" რედაქციამ სახელმწიფოს გადასახადები დაუმალა.

*ინტერ-პრესი*

### საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთათვის კონფერენცია გაიხსნა

სამოსამართლო სწავლების ცენტრში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთათვის ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეძღვნება. კონფერენცია საკონსტიტუციო სასამართლომ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალურმა დირექტორმა და სამოსამართლო სწავლების ცენტრმა მოამზადეს.

შეხვედრაზე განიხილავენ შემდეგ თემებს: "საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან", "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის როლი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში" და სხვა. კონფერენცია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა და პროგრამის მრჩეველმა, ადამიანის უფლებათა გენერალურმა დირექტორმა ნატალია კრავჩენკომ გახსნეს.

კონფერენციას წაუძღვებიან ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მოსამართლე ჰანა-სოფი გრევი, ამავე სასამართლოს იურისტი მონიკა ზაჩნი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე კონსტანტინე კორკელია და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ნანა მჭედლიძე.

გარდა ამისა, სამოსამართლო სწავლების ცენტრში 4 ოქტომბრიდან მოსამართლის თანაშემწეების თანამდებობაზე პრეტენდენტთა სწავლების სამთვიანი კურსი დაიწყება.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, იურისტები მომზადდებიან სამოქალაქო პროცესში, სამოქალაქო სამართალში, საკონსტიტუციო სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში. მოსამართლის თანაშემწეების საკვალიფიკაციო გამოცდა იანვარში ჩატარდება. იურისტები, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, მიიღებენ სამოსამართლო სწავლების სერტიფიკატს, რომლითაც მათ უფლებამოსილება ენიჭებათ, იმუშაონ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

*მედია-ნიუსი*

# საპროცესო შეთანხმება – დაკანონებული უსამართლობა?

*საპროცესო შეთანხმება (რომელიც, ასევე, ხშირად მოიხსენიება, როგორც "საპროცესო გარიგება" და "გარიგებითი მართლმსაჯულება") საქართველოს კანონმდებლობაში 2004 წლის თებერვალში შემოიტანეს. შემდგომში, ივნისის თვეში, ამ ნორმებში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც საქართველოსათვის ამ ჯერჯერობით უცნობ ინსტიტუტს კიდევ უფრო აძლიერებს. ბოლო დროის სასამართლო პრაქტიკამ და ზოგიერთი ექსპერტის მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა ქართულ რეალობაში საპროცესო შეთანხმების გამოყენების ზოგიერთი პრობლემა გამოავლინეს. ეს პრობლემები წინამდებარე სტატიაში იმ კრიტიკისა და გამოცდილების ფონზეა განხილული, რომელიც ამ ინსტიტუტმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოავლინა.*

## კანონმდებლობის მიზანი

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების ქართული ვერსია აშკარადაა ინსპირირებული ამ ინსტიტუტის ჩრდილო-ამერიკული plea bargaining მოდელით (რომლის უფრო ზუსტი თარგმანი "ბრალზე გარიგება" იქნებოდა), ისმის შეკითხვა, თუ რა მიზნებით ხელმძღვანელობდა საკანონმდებლო ხელისუფლება ამ ინსტიტუტის შემოღებისას. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პრაქტიკის საკანონმდებლო განსაზღვრა მოხდა უკვე მას შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა მისი გამოყენების სამართლებრივი, თუნდაც წინააღმდეგობრივი ტრადიცია (რომელსაც ზოგიერთი კომენტატორი "უჩინარ მართლმსაჯულებას" უწოდებს). ეს განპირობებული იყო თვით აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის თავისებურებებით, რომელშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება გარანტირებულია და თვით სისხლის სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე ხორციელდება. პირველი ზრდის სახელმწიფო მართლმსაჯულების ფინანსურ ტვირთს, ხოლო მეორე, ფორმალური პროცედურების ზედმიწევნითი დაცვით, ზრდის ყოველი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, რაც, თავისთავად, იწვევს სასამართლოების გადატვირთვას.

შესაბამისად, "სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება", რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-151 მუხლშია აღნიშნული, მისი ნათელი ფორმულირების მიუხედავად, გარკვეულ კითხვებს ბადებს. მაგალითად, თეორიულად მაინც, რამდენად მისაღწევი იქნებოდა საპროცესო გარიგების მიზნები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებით არც სტატისტიკურადაა გადატვირთული და ჯერჯერობით არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უზრუნველყოფის ხარჯებით არის დამძიმებული. უდავოდ, პრობლემას წარმოადგენს წინასასამართლო და სასამართლო წარმოების (და მასთან დაკავშირებული პატიმრობის) ვადები; მაგრამ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის ნაკლებად რადიკალური საშუალებებიც, რაც შეიძლება გამოიხატოს წინასასამართლო პატიმრობისა და სასამართლო განხილვის ზღვრული ვადების შემცირებაში, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების აკრძალვაში, მთელი რიგი საპროცესო დოკუმენტების გაუქმებასა და ა.შ.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღესდღეობით სისხლის სამართლის საქმეთა 90% წყდება საპროცესო შეთანხმების გზით, აშშ-ში ამჟამადაც მიმდინარეობს დავა, თუ რამდენად კონსტიტუციურია საპროცესო გარიგების პრაქტიკა კონსტიტუციაში ასახული საჯარო სასამართლოს უფლების გათვალისწინებით. საპროცესო შეთანხმების მხარდამჭერები მიუთითებენ ამგვარი პრაქტიკის ეფექტურობაზე სახელმწიფო რესურსების დაზოგვის მხრივ და იმ ფაქტზე, რომ საჯარო სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური – ბრალდებულს შეუძლია, უარი თქვას მის გამოყენებაზე და აღიაროს ბრალი. შესაბამისად, 1990-იანი წლებისათვის შეიქმნა სასამართლო პრეცედენტებისა და კანონმდებლობის მთელი სისტემა, რომლის მთავარი მიზანიც სასამართლო განხილვის გვერდის სრული ავლით სწორედ საპროცესო შეთანხმების გამოყენების წახალისებაა. ამის საპირისპიროდ, საპროცესო შეთანხმების ოპონენტები მიუთითებენ, რომ საპროცესო შეთანხმების ფართო გამოყენება გულისხმობს თვით სასამართლო მართლმსაჯულების კონცეფციაზე და ფუნდამენტურ გარანტიაზე უარის თქმას. მათი მტკიცებით, მიუხედავად ამ პრაქტიკის თავდაპირველი მიზნისა, რომელიც სასამართლოების განტვირთვას წარმოადგენს, ის, ფაქტობრივად, მართლმსაჯულების განხორციელების გამომრიცხველ გარემოებად გარდაიქმნა. ამ შემთხვევაში, საუბარია ნამდვილად "სწრაფ" და "ეფექტიან" პროცესზე, მაგრამ არა "მართლმსაჯულებაზე".

საქართველოსათვის, ალბათ, საინტერესო იქნებოდა იტალიის მიერ ამ სფეროში გატარებული რეფორმების გამოცდილება, ვინაიდან იტალია წარმოადგენს, ალბათ, კონტინენტური სამართლისა და ინკვიზიციური პროცესის მქონე ევროპული ქვეყნის მიერ შეჯიბრებითი პროცესის პრინციპებზე გადასვლის კლასიკურ მაგალითს. საპროცესო შეთანხმების (*patteggiamento*) მარეგულირებელი საპროცესო ნორმები პირველად 1981 წელს იტალიაში შემოიღეს. საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა არსებობდა მხოლოდ იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომელთათვისაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის შეფარდება. ამით ხაზი ესმებოდა ამ პროცედურის შემოღების მთავარ მიზანს - იტალიის გადატვირთული სასამართლო სისტემის გარკვეულწილად განტვირთვა შედარებით უმნიშვნელო საქმეებისაგან.

უნდა ითქვას, რომ ამ კანონმდებლობამ თავის მიზანს საბოლოოდ ვერ მიაღწია, ვინაიდან მისი გამოყენების პრაქტიკა ძალიან იშვიათი იყო. საპროცესო გარიგების განხილვისას, მოსამართლეს არ შეეძლო ბრალდებულისათვის, მისი აზრით, უფრო სამართლიანი (უმეტესწილად, უფრო მსუბუქი) სასჯელის დაკისრება პროკურორის თანხმობის გარეშე, და, შესაბამისად, უწევდა ჩვეულებრივ პროცესზე გადასვლა. ამის გამო ბრალდებული ხშირად უარს ამბობდა საპროცესო შეთანხმებაზე, ვინაიდან მისთვის სტრატეგიულად უფრო ხელსაყრელი იყო სასჯელის შემცირება ჩვეულებრივი პროცესის დასრულებისას, როდესაც მოსამართლე სასჯელის ზომის საკითხს წყვეტდა. უფრო მეტიც, ამ პროცედურით სასჯელის ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენების მოთხოვნის უფლება გააჩნდა *მხოლოდ ბრალდებულს*, და პროკურორთან შეთანხმება, ფაქტობრივად, არ ხდებოდა. ამასთანავე, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ამ კანონმდებლობის გარკვეულ ბუნდოვანებაზე, რომელიც ხელს უშლიდა ამ პრაქტიკის ეფექტურად გამოყენებას, რის გამოც სისხლის სამართალწარმოების ორგანოები თავს არიდებდნენ მის გამოყენებას.

1989 წელს იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი და დღესდღეობით მოქმედი ცვლილებები უფრო თანმიმდევრულად ატარებს შეჯიბრებითი პროცესის პრინციპებს და აძლიერებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. პირველ რიგში, საპროცესო შეთანხმება წარედგინება სასამართლოს ორივე მხარის ინიციატივითა და თანხმობით, ე.ი. მხარეებს შორის უკვე არსებობს შეთანხმება დანაშაულის კვალიფიკაციასა და სასჯელის ზომის შესახებ. ამასთანავე, მოსამართლეს ეკისრება არა მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტებისა და ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაციის შემოწმება, არამედ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისადმი საკუთარი სამართლებრივი შეფასების მიცემაც. ამასთანავე, მოსამართლის გადაწყვეტილება დასაბუთებული (მოტივირებული) უნდა იყოს. აგრეთვე, ძალაში დარჩა ის ნორმაც, რომელიც საპროცესო შეთანხმების გამოყენებას მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე ზღუდავს.

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სხვა პროცედურასაც, რომელიც "გამარტივებული სამართალწარმოების" ფორმით არის ცნობილი (*giudizio abbreviato*). ამ შემთხვევაში, ხდება არა ბრალის ფორმალური აღიარება, არამედ პროცედურის არჩევანი: ბრალდებულის შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია, შუამდგომლობის წარდგენის მომენტისათვის მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე, გამოიტანოს განაჩენი და დანიშნოს სასჯელი (ერთი მესამედის შემცირებით) სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე. ამ შემთხვევაში, პროკურორის თანხმობა სავალდებულოობას არა აქვს კავშირი პირის ფაქტობრივი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენასთან, არამედ ისევ და ისევ შესაბამისი პროცედურის არჩევანს წარმოადგენს.

საფრანგეთში საპროცესო გარიგების ინსტიტუტი შედარებითი სიახლეა. პირველი კანონი, რომელიც ამ სფეროს ეხება, მიღებულ იქნა 2004 წლის თებერვალში (კანონი "პერბენ ორი", საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის, დომინიკ პერბენის სახელის მიხედვით). ეს კანონი არეგულირებს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას და უშვებს საპროცესო შეთანხმებას ბრალდებულსა და პროკურორს შორის მხოლოდ ამგვარ საქმეებზე. მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ამ სახის დანაშაულთან ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელი ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის წახალისება.

ამასთანავე, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ მარტის თვეში განიხილა და ორი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ამ კანონში. კერძოდ, პირველი მოითხოვს მოსამართლის სავალდებულო დასწრებას შეთანხმების დადების პროცესის დროს, ხოლო მეორე მოითხოვს საქმის შეწყვეტას ბრალდებულის მიმართ, თუ მოხდა საპროცესო გარიგება სხვა (ჩვეულებრივ) დანაშაულზე, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული არ არის.

საერთაშორისო პრაქტიკაში, ერთადერთი საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც თავის პრაქტიკაში შემოიღო და გაატარა საპროცესო გარიგების ინსტიტუტი, არის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის. სასამართლომ დეტალურად განიხილა რა ბრალის აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამგვარი პრაქტიკა საერთაშორისო ტრიბუნალისათვის სამი მკაცრი სტანდარტის სრული დაცვით იყო მისაღები:

*1. ბრალის აღიარება ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ბრალდებული უნდა იყოს ფსიქიკურად სრულყოფილ მდგომარეობაში იმისათვის, რომ გაიგოს ბრალის აღიარების შედეგები და მის მიმართ არ უნდა არსებობდეს მუქარა, იძულება ან დაპირება.*

*2. ბრალის აღიარება უნდა იყოს საკმარისად გაცნობიერებული, ე.ი. ბრალდებული უნდა აცნობიერებდეს მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ხასიათს და ამ დანაშაულის ჩადენის აღიარების შედეგებს.*

*3. ბრალის აღიარება არ უნდა იყოს ორაზროვანი. მას თან არ უნდა ერთვოდეს ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დაცვის განხორციელება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარების უარყოფა.*

ტრიბუნალის განმარტებით, ამგვარი პრაქტიკის დაკანონების მიზანი (რომელიც შემდგომ უკვე პროცედურისა და მტკიცების წესებში აისახა) იყო უკიდურესად გაჭიანურებული სასამართლო პროცესების დაჩქარება და ბრალდებულთა წახალისება ტრიბუნალთან თანამშრომლობისათვის.

## სასჯელზე გარიგება

ივნისის თვეში შეტანილი ცვლილებების წყალობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სხვა ევროპული მოდელებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ასევე სასჯელზე გარიგებას (რომელიც შეერთებულ შტატებში nolo contendere plea-ს სახით არის ცნობილი). დღევანდელი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ ნორმის (6791 მუხლის მე-2 ნაწილი) არსებული რედაქცია იწვევს მის აბსოლუტურად არასწორ გაგებას როგორც სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ისე სასამართლოშიც. ერთი წაკითხვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა, პირველ ნაწილში აღნიშნული "ბრალზე გარიგება" გამორიცხავს "სასჯელზე გარიგებას", ანუ ბრალის აღიარების შემთხვევაში, ბრალდებულს რჩება მხოლოდ ბრალზე გარიგების (ე.ი. კვალიფიკაციის შეცვლის) შესაძლებლობა; ამ შემთხვევაში სასჯელზე გარიგება არ არის დასაშვები იმიტომ, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასჯელზე გარიგება ბრალზე გარიგების გარეშე ხდება. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს კანონმდებლობის მიღებას მისი პრაქტიკული უზრუნველყოფის გარეშე: მიუხედავად იმისა, რომ nolo contendere პროცედურა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენს, იგი აბსოლუტურად უცხოა არა მხოლოდ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის მუშაკებისათვის, არამედ ევროპის იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომელთაც საპროცესო შეთანხმების მეტ-ნაკლებად თანამედროვე მოდელი შემოიღეს.

nolo contendere პროცედურა, ანუ სასჯელზე გარიგება, ნიშნავს იმას, რომ ბრალდებული არ აღიარებს ბრალს დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ პროკურორს სასჯელის ზომაზე ეთანხმება. აშშ-ში მიღებული ეს დეფინიცია საკმაოდ ზუსტადაა ასახული საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში; ამასთანავე, შეერთებული შტატების პრაქტიკისაგან განსხვავებით, არ არის გააზრებული და დაფიქსირებული ის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ამ პროცედურას ბრალის აღიარებისაგან (guitly plea) ასხვავებს. საქმე ისაა, რომ nolo contendere პროცედურის საფუძველზე განაჩენის გამოტანისა და სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, განაჩენით დადგენილი ფაქტები არ შეიძლება გახდეს ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი. ამასთანავე, არსებობს იმის ტენდენციაც, რომ nolo contendre პროცედურა სულ უფრო და უფრო იშვიათად გამოიყენება შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბრალის აღიარების შემთხვევაში, პროკურორის გაზრდილი ძალაუფლების წყალობით, ბრალდებულს შეთანხმების უფრო მოქნილი პირობების მიღწევა შეუძლია.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სასჯელზე გარიგების მექანიზმი შეიძლება ჩვენს კანონმდებლობაში უფრო მოქნილი ფორმით ჩამოყალიბდეს. კერძოდ, ამ შემთხვევაში გამოძიებასთან თანამშრომლობა აუცილებელი ელემენტი იყოს, თუნდაც საკუთარი ბრალის აღიარების გარეშე; თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული სრულიად უდანაშაულო პირების მიმართ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი (თუნდაც ყალბი) ინფორმაციის მისაღებად. ამიტომაც, უფრო მართებულია, რომ კანონმდებელი დაუბრუნდეს ამ საკითხს და მოახდინოს იმის შეფასება, თუ რამდენად საჭირო არის საქართველოს რეალობაში nolo contedere პროცედურის არსებობა, რომელიც სულ უფრო და უფრო იშვიათად გამოიყენება თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

## საპროცესო შეთანხმების კონფიდენციალურობა

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც საპროცესო შეთანხმების ქართულ პრაქტიკაში გამოიკვეთა, არის საპროცესო შეთანხმების კონფიდენციალურობა – ან უფრო სწორად, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ შეთანხმების კონფიდენციალურობის არასწორი გაგება. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების კონფიდენციალურობა გაგებულია, როგორც სრული საიდუმლოება, ანუ თვით მოსამართლესაც კი არა აქვს მისი საგნისა და პირობების შემოწმების უფლებამოსილება. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება თვით კანონმდებლობას (6792-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და თვით საპროცესო გარიგების კონცეფციასაც. რა თქმა უნდა, სასამართლო არა მხოლოდ ვიზუალურად უნდა ეცნობოდეს საპროცესო შეთანხმებას, არამედ მის სამართლიანობაშიც უნდა დარწმუნდეს – ეს, დღესდღეობით, აბსოლუტური მოთხოვნაა ნებისმიერი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც საპროცესო გარიგების ამა თუ იმ ფორმას ითვალისწინებს. საქართველოში კი, ეს შეიძლება გახდეს კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს საჩქარო წესით, ყოველგვარი დამატებითი მომზადებისა და პრაქტიკული უზრუნველყოფის გარეშე მიღებულმა, თუნდაც პროგრესულმა კანონმდებლობამ.

## უსაფუძვლოდ მკაცრი სასჯელის მოთხოვნა

ფაქტია, რომ დღევანდელ საქართველოში მიღებულია ბრალზე და სასჯელზე გარიგების არაფორმალური, უკანონო ფორმები, რომელიც საპროცესო შეთანხმების "ოფიციალურ" ფორმისგან არცთუ ისე განსხვავებულია. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია პროკურატურის ის ხშირი ტაქტიკა, რომელიც გამოიხატება ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ან სასჯელის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ დამძიმებაში. ამგვარი საწყისი წერტილიდან იწყება არალეგალური "ვაჭრობა" დაცვის მხარესთან, რომლის შედეგადაც პროკურორი, ფაქტობრივად, აღწევს მეტ-ნაკლებად "რეალური" სასჯელის ზომას. ეს უკანონო პრაქტიკა ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მომდინარეობს, იმ დროიდან, როდესაც დაცვის მხარეს უწევდა ნომინალურად ძლიერ პროკურატურასთან გამკლავება. ეს, შესაბამისად, ბადებს კრიტიკას საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი რეგულირების მიმართ – წარმადგენს ეს თუ არა პროკურატურის უკანონო ტაქტიკის ლეგალიზაციას და პროკურატურის როლის გაძლიერებას მის საბჭოთა ანალოგამდე.

შედარებისათვის, შეერთებულ შტატებში ეს სიტუაცია განსაკუთრებით გართულებულია 80-იან წლებში მიღებული *სასჯელის დანიშვნის ფედერალური მითითებებით* (Fedreal Sentencing Guidelines), რომელთა თავდაპირველი მიზანიც სხვადასხვა შტატებში სასჯელების ერთიანი სტანდარტების შექმნა იყო. ამასთანავე, *მითითებების* მოქმედი ვერსია შეგნებულად მძიმე, ხშირად კი დრაკონულ სასჯელებსაც აკისრებს ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ სასამართლო პროცესზე განიხილება. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალის აღიარებისა და საპროცესო შეთანხმების დადების გზით ბრალდებულს, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მიესჯება თავისუფლების აღკვეთა საშუალოდ 4 წლის ვადით, *ფედერალური მითითებები* მოითხოვს იმავე დანაშაულისათვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ აღიარებს და მოითხოვს სრულ პროცესს, ნაფიცი მსაჯულების ჟიურის მონაწილეობით. ამ მხრივ, ფართოდაა ცნობილი და ციტირებული მასაჩუსეტსის ფედერალური საოლქო სასამართლოს მოსამართლის, უილიამ იანგის, მოსაზრება საქმეში *ამერიკის შეერთებული შტატები ბერტლოფის წინააღმდეგ*:

"არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მოქალაქეები, რომლებიც ირჩევენ კონსტიტუციის მეექვსე შესწორებით მათთვის გარანტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების გამოყენებას, ხდებიან მძლავრი, დაუნდობელი და უდავო დისკრიმინაციის მსხვერპლნი სასჯელის დანიშვნისას. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობდა სასჯელის შემცირების პრაქტიკა იმათთვის, ვინც ბრალს აღიარებდა და სახელმწიფოს ამის მტკიცებულებას გადასცემდა. ეს საოლქო სასამართლო იყენებდა ამგვარ შემცირებას 33-დან 45%-მდე. დღესდღეობით კი, *სასჯელის დანიშვნის მითითებების* წყალობით, რომლებიც გადასცემენ ხელისუფლების უზარმაზარ ნაწილს აღმასრულებელ ორგანოებს, ეს განსხვავება გაიზარდა გამაოგნებელ 500%-მდე... არ არის გასაკვირი, რომ ამგვარი განსხვავება უმძიმეს ტვირთს აწესებს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ გასამართლების უფლების თავისუფალ გამოყენებაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამ ოლქში სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვის რაოდენობა კატასტროფულად იკლებს იმის გამო, რომ ჩვენ ვსჯით მოქალაქეებს – და ვსჯით მათ ძალიან მკაცრად – უბრალოდ სასამართლოში მიმართვისათვის... ჩვენ ყოველთვის ვსჯით მათ, ვინც მოითხოვს მთავრობისაგან კონსტიტუციით გარანტირებული ბრალის "გონივრული ეჭვის გარეშე" სტანდარტით დამტკიცებას ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წინაშე."

რა თქმა უნდა, ეს არ არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად ცუდი შეიძლება იყოს სასამართლო გარიგების პრაქტიკა; ნამდვილად, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს სისტემის პრაგმატულ გათვლას იმაზე, რომ ეკონომიის მიზნით, პირის აღიარებული კონსტიტუციური უფლებების ხარჯზე, მართლმსაჯულების სტანდარტებისაგან გადახვევა გამართლებული იყოს.

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაზიარებით, სასურველია, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს იმის გარანტიას, რომ ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების არჩევანი მისთვის სიტუაციიდან ერთადერთ, იძულებით გამოსავალს კი არ წარმოადგენს, არამედ რეალურად ნებაყოფლობითია. ეს შეიძლება, პირველ რიგში, მოხდეს იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულთა წრის განსაზღვრით, რომლისთვისაც შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება (ეს მოდელი წარმატებით მოქმედებს დღევანდელ იტალიასა და გერმანიაში). ეს, ასევე, ემსახურება საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთ მთავარ მიზანს – სასამართლო სისტემის განტვირთვას ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეებისაგან, მონაწილე მხარეთა ინიციატივის გაძლიერებით.

## უდანაშაულო პირის მსჯავრდების პრობლემა

უდანაშაულო პირის მსჯავრდების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საპროცესო შეთანხმების პრაქტიკაში. ყველა კომენტატორი ერთხმად აცხადებს, რომ უდანაშაულო ბრალდებულის მსჯავრდება და მასზე სასჯელის დაკისრება არა მხოლოდ სამართლებრივად და სოციალურად მიუღებელია, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების მთელი სისტემის ლეგიტიმურობას. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობა უდანაშაულო პირის მსჯავრდებით ვერაფრით იქნება გამართლებული, ვინაიდან ეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის პირის ყველა ფუნდამენტური უფლების შელახვას ნიშნავს, სახელმწიფოს მიერ თავისი მთავარი ვალდებულების – თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის – უარყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერჯერობით სამართლებრივად არ დადგენილა ამგვარი ფაქტის არსებობა, კანონმდებელმა და მართლმსაჯულების სისტემის ყველა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წმინდა ამერიკული სახის საპროცესო გარიგების პროცედურებს აშშ-ში არსებული პრობლემების ქართული მართლმსაჯულების სისტემაში გადმოტანა შეიძლება მოჰყვეს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ აშშ-ს მართლმსაჯულების სისტემაში რეგულარულად ვლინდება სრულიად უდანაშაულო პირთა გარკვეული რიცხვი, რომლებიც, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ბრალის აღიარებით და პროკურორთან შეთანხმებით იხდიან სასჯელს. ეს გამოწვეულია იმ იძულებითი ტაქტიკით, რომლის მიხედვითაც პროკურორი დაუსაბუთებლად მკაცრ სასჯელს მოითხოვს ბრალდებულისათვის ან უყენებს ბრალს დანაშაულის დაუსაბუთებელ ჩადენაში. ხოლო ბრალის აღიარების შემთხვევაში, მას საგრძნობლად მცირე სასჯელს სთავაზობს. ამ შემთხვევაში, უდანაშაულო ბრალდებული დგება რთული არჩევანის წინაშე: ბოლომდე ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა სისტემაში, რომელიც აგებულია საპროცესო შეთანხმების წახალისებაზე და მკაცრად სჯის თავის მოქალაქეებს სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციისათვის, ან დათანხმდეს პროკურორს საგრძნობლად შემცირებულ სასჯელზე. ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ ამ დილემის წინაშე მდგომი ბრალდებულების გადაწყვეტილებათა გამო ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ლიდერია პატიმართა რაოდენობაში; ამასთანავე, აშშ-ს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პატიმართა რაოდენობა დაახლოებით ათჯერ აღემატება სხვა განვითარებული ქვეყნების პატიმართა რაოდენობას.

ჯერ კიდევ 1967 წელს აშშ-ს საპრეზიდენტო კომისიამ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის თაობაზე თავის ანგარიშში აღნიშნა:

"არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ გამოყენებული იქნება წახალისების დაუსაბუთებლად ფართო ზომები ბრალის აღიარების წახალისებისათვის ან რომ პროკურორი ბრალდებულს დაემუქრება მკაცრი სასჯელით, თუ ის ბრალს არ აღიარებს. ამგვარი პრაქტიკა მიუღებელ ზეწოლას ახდენს ბრალდებულზე, რომელიც სამართლიანად მოითხოვს სასამართლო განხილვას მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად."

ამ დროული გაფრთხილების მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგულარულად ვლინდება უდანაშაულო პირთა მსჯავრდების საქმეები, რომლებიც საქმეთა 95%-ში სასჯელს იხდიდნენ არათუ სასამართლოს გადაწყვეტილების, არამედ მათ მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია 2002 წლის საქმე, რომელიც ეხებოდა 1989 წელს ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში გაუპატიურებისათვის მსჯავრდებული ხუთი მოზარდის თავისუფლების საქმის გადასინჯვას (Central Park Jogger case). დნმ-ტესტირების საფუძველზე დადგინდა, რომ არც ერთ მსჯავრდებულს არ მიუძღვოდა ბრალი დანაშაულის ჩადენაში; მიუხედავად ამისა, 1989 წელს მათ აღიარეს ბრალი ჩადენილ დანაშაულში და სასჯელის საკმაოდ მკაცრ ზომას დათანხმდნენ. ვინაიდან ეს საქმე იყო "კიდევ ერთი" ამგვარ საქმეთა მთელ რიგში, მისმა უაღრესად მასობრივმა გაშუქებამ და საზოგადოების ძლიერმა რეაქციამ გამოიწვია პოლიციის დაკითხვის პრაქტიკის გადასინჯვა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამერიკული მართლმსაჯულების სისტემის მართებულად ფუნქციონირება. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მსჯავრდებულთა შორის უდანაშაულო პირთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 5%-საც კი აღწევს; ამასთანავე, რთულია ამ საქმეთა სტატისტიკურად გამოვლენა, მათი გასაგები არაპოპულარულობის გამო.

## ადვოკატის "სავაჭრო" ძალაუფლება

ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებას ხშირად "შეძლებულთა მართლმსაჯულებას" უწოდებენ. ადვოკატის ხარჯები ძალიან დიდია და თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მხოლოდ რჩეულ ბრალდებულებს შეუძლიათ სრული სასამართლო განხილვის ხარჯების გაღება. ამ პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის საჯარო დამცველთა ოფისების ქსელი, ვინაიდან ისინი ყოველთვის გადატვირთულები არიან საქმეებით და ყველა ბრალდებულის წარმომადგენლობის ადეკვატური უზრუნველყოფა არ შეუძლიათ.

ამ პრობლემას პირდაპირ მივყავართ საპროცესო შეთანხმების თანამედროვე ფორმის "ფესვებთან" ამერიკის შეერთებულ შტატებში: რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, სწორედ ადვოკატები იყვნენ ბრალზე და სასჯელზე გარიგებების პირველი ინიციატორები, ვინაიდან ეს მათ სამუშაო დატვირთვას საგრძნობლად ამცირებს და, ამასთანავე, საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული საქმე ადვოკატისთვის გამარჯვებად ითვლება სასამართლოში მათი კლიენტის მსჯავრდების საპირისპიროდ. ამ სიტუაციაში, ბრალდებული "ორ ცეცხლს შორის" ყვება: სისტემაში, რომელშიც მის მიერ ბრალის აღიარება სასარგებლოა ორივე მხარისათვის, მისი უდანაშაულობის მტკიცება არასასურველ ფაქტორს წარმოადგენს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საპროცესო შეთანხმება ემყარება ჰიპოთეტურ ვარაუდს, რომ ორივე მხარე – ამ შემთხვევაში, პროკურორი და ბრალდებულის დამცველი – თანაბარ "სავაჭრო" პოზიციაში იმყოფებიან. შესაბამისად, საქართველოში საპროცესო შეთანხმების ეფექტურად ამოქმედებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ადვოკატთა სათანადო მომზადება და მათი როლის გაძლიერება (განსაკუთრებით წინასასამართლო სტადიაზე), არამედ შესაბამისი პროფესიული ეთიკის კოდექსის ჩამოყალიბებაც, რომელიც ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტისა და ზოგადად, მართლმსაჯულების მოთხოვნათა დაცვის ეფექტური გარანტია იქნებოდა.

## უსამართლო მართლმსაჯულება: გასაჩივრება დაუშვებელია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავი საპროცესო შეთანხმების შესახებ კიდევ ერთ თავისებურებას ითვალისწინებს: ბრალზე ან სასჯელზე გარიგების საფუძველზე გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცედურისა, რომელიც თავისი არსით არ წარმოადგენს "ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ განაჩენის გადასინჯვას ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საფუძველზე" კლასიკურ განსაზღვრებას.

აშშ-სა და კანადაში, ასევე ნაწილობრივ - ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, განაჩენის აპელაციის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ის, უმეტესწილად, შეზღუდულია მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ბათილობის დადგენის საფუძვლებით, მაინც გარანტირებულია. ამ მხრივ ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ტეხასის შტატი, რომელიც, სხვა შტატებისაგან განსხვავებით, ამ უფლებასაც ზღუდავს.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის აუცილებლობა თავისთავად თვალსაჩინოა, თუ ჩვენ გავიხსენებთ სასამართლო განხილვის ინსტანციურობის პრინციპს. აპელაციისა და საკასაციო გადასინჯვის მთავარი მოტივი არის არა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტების თავიდან დადგენა, არამედ პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელებაზე კონტროლი. რატომ უნდა გაივლოს ამ შემთხვევაში განსხვავება "ჩვეულებრივ" ბრალდებულსა და ბრალის აღიარების განმახორციელებელ ბრალდებულს შორის? წარმოადგენს თუ არა ბრალის აღიარება საკმარის საფუძველს იმისა, რომ ბრალდებულს არ მიეცეს აშკარად დაუსაბუთებელი ან უსამართლო სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ზემდგომ ინსტანციაში? ჩვენი აზრით, ამ ორივე კითხვაზე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სრული სააპელაციო წარმოება, რომელიც პირველ ინსტანციაში მთავარი სასამართლო სხდომის ანალოგიურად იმართება, არ არის ადეკვატური საპროცესო შეთანხმების "სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის" და სავსებით სამართლიანია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ეს ქმნის ბრალდებულის მიერ ამ პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში გამოსავალი იქნებოდა არა თვით აპელაციის უფლების შეზღუდვა, არამედ ბრალის აღიარების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის შეკვეცილი, გამარტივებული პროცედურის დადგენა, რომელიც, ჩვეულებრივ, სააპელაციო წარმოებასთან ანალოგიით, შეიძლება წარიმართოს იმავე წესით, როგორც სასამართლო განხილვა საპროცესო შეთანხმების არსებობისას. ამგვარი ცვლილება, ჩვენი აზრით, გაზრდის მოსახლეობის ნდობას საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მიმართ, რასაც შეუძლია, მისი უფრო ხშირი და ეფექტური გამოყენება გამოიწვიოს.

## დაზარალებული: განხილვის მიღმა დატოვებული პრობლემა

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი მიდგომისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმებისას დაზარალებული არ სარგებლობს არავითარი უფლებით, გარდა პასიური დამკვირვებლის როლისა. მას შეუძლია, მხოლოდ სამოქალაქო წესით მოითხოვოს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც სრულად ჯდება აშშ-ს მოდელში, სადაც დაზარალებულის უფლებების ცნობა სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულების მიღწევაა. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი ფაქტი: აშშ-ში სახელმწიფო თავისი ინიციატივით იღებს ზომებს დაზარალებულთა უფლებების დაცვისათვის, რისთვისაც ყველა შტატის საპოლიციო დეპარტამენტებთან შექმნილი დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრები აქტიურად მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეებში და იცავენ დაზარალებულთა ინტერესებს სისხლისსამართლებრივი ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმებით.

შესაბამისად, თუ საქართველოს კანონმდებელმა ამგვარი სახის პროცესში დაზარალებულს მხოლოდ პასიური როლი მიაკუთვნა, ის მზად უნდა იყოს, სხვა, ალტერნატიული ღონისძიებებით უზრუნველყოს მართლმსაჯულების მიზნების აღსრულება დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით.

## დასკვნის ნაცვლად: ალიასკის მაგალითი - ლოგიკური წარმატება თუ ფენომენალური გამონაკლისი?

საინტერესო ფაქტია, რომ 1975 წელს აშშ-ს ერთ-ერთ შტატში – ალიასკაში – გენერალურმა პროკურორმა ავრუმ გოსმა აკრძალა საპროცესო შეთანხმების დადება. ამ ექსპერიმენტის ბოლო კვლელევებმა გამოავლინეს, რომ ამგვარმა აკრძალვამ არ გამოიწვია სასამართლოების არათუ გადატვირთვა, არამედ საქმეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდაც კი. ამასთან, ეროვნული მართლმსაჯულების ინსტიტუტმა დაადგინა, რომ არ შემცირებულია ბრალის აღიარების ფაქტები იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, არ სთავაზობდა ბრალდებულებს დამატებით წახალისებას ბრალზე ან სასჯელზე გარიგების სახით. გარდა ამისა, დადგინდა, რომ პროკურორები და პოლიცია იძულებულნი გახდნენ, უფრო პროფესიონალურად და ზედმიწევნით მოემზადებინათ საქმე "სავარაუდო ბრალის" მკაცრი სტანდარტის გამოყენებით, რამაც არასაკმარისად დასაბუთებულ საქმეებზე გამოძიების შეწყვეტა გამოიწვია.

ექსპერტების აზრით, ალიასკის მაგალითი სერიოზულ ეჭვს ბადებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ეფექტურობაში.

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

რა ღირს თქვენი ხელოვნება?



B2

ქართული სიმღერის დიდი ზეიმი



B3

"დინამო" ევროპაში დაბრუნდა!



B4

მერიდიანი

# ნიუ იორკი - ბესლანი

## ანუ ორი სექტემბერი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

რა შეიძლება ჰქონდეთ საერთო ნიუ ორკსა და ბესლანს - ჩვენი პლანეტის პირველ მეგაპოლისს 10 მილიონი მაცხოვრებლით და არაფრით გამორჩეულ პატარა ქალაქს ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც სულ რაღაც 35 ათასი კაცი ცხოვრობს? ნიუ იორკს ღია ბარათებზე აღბეჭდავენ, ბესლანს გეოგრაფიულ რუკაზეც კი ვერ იპოვით. ნიუ იორკი ზღაპრულად მდიდარია, ბესლანი - ღარიბი. მოკლედ ორი ქალაქი და ადამიანების ყოფისა და საერთოდ, ყოფიერების ორი პოლუსი. ნიუ იორკის შესახებ ჯუნგლების მაცხოვრებლებმაც კი იციან, ბესლანის არსებობა კი მსოფლიოს ყველაზე განათლებულმა ადამიანებმაც კი ამ ცოტა ხნის წინათ შეიტყვეს.

და უეცრად, ნიუ იორკისა და ბესლანის სახელები ერთმანეთს დაუკავშირდა, ბედისწერამ მათ შორის თვალით შეუმჩნეველი ორფერი ხიდიცისარტყელა გააბა - წითელი, როგორც სისხლი და შავი, როგორც ძაძები. ნიუ იორკი და ბესლანი ორმა ტრაგიკულმა სექტემბერმა დააკავშირა. 2001 წლის 11 სექტემბერი ნიუ იორკში და 2004 წლის 1 სექტემბერი - ბესლანში. მეორე ტრაგედიამ პირველის სამ წლისთავს სულ რამდენიმე დღით დაასწრო, თითქოს სადღაც ზევით, ვიღაც შეშინდა, რომ ადამიანებს შეუძლიათ დაივიწყონ მათთვის მიყენებული საზარელი დარტყმა და შეახსენა, რომ ბოროტება დედამიწაზე კვლავაც ბატონობს.

ორივე ტრაგედია - ნიუ იორკისაც და ბესლანისაც - მათი მოწყობილია, ვისაც, ჩვეულებრივ, ტერორისტებს ან მეტიც, საერთაშორისო ტერორისტებს უწოდებენ. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებული თვითმფრინავები ნიუ იორკში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის კუთვნილ ტყუპ ცათამბჯენებს შეეჯახნენ, 110-სართულიანი შენობები ნანგრევების გროვად აქციეს, ამ ნანგრევებში კი 3 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ბესლანში არც ცათამბჯენებია, არც საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი. იქ არაფრით გამორჩეულ სკოლის ორსართულიან შენობას ციდან კი არა, მიწიდან დაარტყეს. ნიუ იორკში დეტონატორებად მძლავრი "ბოინგები" გამოიყენეს, ბესლანში - თვითნაკეთი ბომბები.

ბესლანში სამასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა ბავშვები. პროცენტული მაჩვენებლით, ბესლანის დანაკარგი, ნიუ იორკთან შედარებით, გაცილებით დიდია. მაგრამ სტატისტიკა ამ შემთხვევაში მორალურად მიუღებელია, რადგანაც საქმე ადამიანების სიცოცხლეს ეხება. ამიტომ მე რამდენიმე რიცხვს სრულიად განსაკუთრებული მოსაზრებით დავასახელებ. ნიუ იორკის ტრაგედიის შემდეგ, თავდაპირველ მონაცემებზე დაყრდნობით, ითქვა, რომ 6 ათასი ადამიანი დაიღუპა. მერე ეს რიცხვი ბევრჯერ დაზუსტდა, რის შედეგადაც ყოველთვის მცირდებოდა და ეს მანამდე, სანამ ორჯერ არ შემცირდა. ბესლანში პროცესი პირიქით წარიმართა. პირველი მონაცემები მსხვერპლისა და მძევლების რაოდენობის შესახებ მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და მხოლოდ თანდათანობით აღწევდა (იზრდებოდა) რეალურ მაჩვენებლამდე. ნიუ იორკში დაზარალებულებსა და მათ ოჯახებს საშუალოდ მილიონნახევარი დოლარი არგუნეს, ბესლანში სულ 100 ათასი რუბლი ოჯახზე.

რისი თქმა მინდა ამ შედარებებით? მხოლოდ იმისი, რომ ბოროტების საერთო წყარომ, ამ შემთხვევაში ტერორიზმმა, ნიუ იორკსა და ბესლანში სხვადასხვაგვარი გამოხმაურება ჰპოვა.

იქ, ოკეანის გაღმაც ცრუობდნენ, დანაკარგების მაჩვენებლებს ბერავდნენ, რომ ტერორისტების წინააღმდეგ სახალხო რისხვა გაეძლიერებინათ. აქ, ბესლანში სიცრუე განსხვავებული ხასიათის გახლდათ - დანაკარგების რიცხვს ამცირებდნენ, რომ ხელისუფლების მიმართ სახალხო რისხვა შეერბილებინათ. ეს იყო სიცრუე რეჟიმის გადასარჩენად. ნიუ იორკი ამერიკისა და საერთაშორისო მედიის ცენტრია, ბესლანი კი ღრმა და ყრუ ინფორმაციული ჯურღმული. მაგრამ ორი - 2001 და 2004 წლის სექტემბრის ტრაგედიების გაშუქებისას ამას არ ჰქონია მნიშვნელობა. ბესლანში, იმის ნაცვლად რომ ტერორისტები მოეთოკათ, პრესას აუკრეს პირი.



ბესლანი



ნიუ იორკი

ნიუ იორკში ტერორისტებმა ვაჭრობის ტაძარსა და მის ქურუმებზე მიიტანეს იერიში, ბესლანში - ცოდნის ტაძარსა და ბავშვებზე. ტერორისტებმა კარგად იციან ორი ქვეყნის სუსტი ადგილები.

და კიდევ, ნიუ იორკის 11 სექტემბერმა ამერიკული საზოგადოება გააერთიანა, მასში პატრიოტული გრძნობები გააძლიერა (მართალია, ერაყის ომმა საზოაგდოება კვლავ გახლიჩა). ბესლანის 1 სექტემბერმა ჩვენი საზოგადოება ვერ შეაკავშირა, თუნდაც, მარტო იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჩვენში ჯერ არც ჩამოყალიბებულა. პატრიოტულ ტალღაზე გადაწყობის ნაცვლად კი შურისძიების გრძნობის მოძალება შეიმჩნევა, თან არა მარტო ტერორისტების მიმართ.

მაგრამ ორსართულიანი ბესლანი რაღაცით მაინც ცათამბჯენების ნიუ იორკზე მაღლა აღმოჩნდა. ადამიანის სიცოცხლის შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ადამიანური თანაგრძნობის სიღრმის გაზომვა. ჩვენ გულთან უფრო ახლოს მივიტანეთ ნიუ იორკის ტრაგედია, ვიდრე მათ - ბესლანის. ჩვენ არ გვითქვამს - ეგრე გინდათ, ან რაიმე მსგავსი, თუმცა კი ნიუ იორკში მომხდარი დანაშაული, ისევე როგორც მისი სიმდიდრე, გამჭვირვალე ნამდვილად არ ყოფილა. ბესლანის შემთხვევაში კი იმთავითვე პოლიტიკა ჩაერთო - ჯერ კიდევ ალმოდებული იყო სკოლის ნანგრევები და არ გაციებულიყო უცოდველ მსხვერპლთა ცხედრები. არადა, დოსტოევსკი ბავშვის ცრემლის თითოეული წვეთის საფასურზე ლაპარაკობდა. ვიღაც-ვიღაცებმა დასავლეთში კი თანამედროვე გენერალ ერმოლოვების ზურგს უკან არ ისურვეს ცრემლებისა და სისხლის ზღვის დანახვა. არადა, ეს ყველაფერი იყო. ჩვენს დროში გენერალი ერმოლოვები უძლურნი არიან როგორც ხალხის, ისე ტერორიზმის წინააღმდეგ. ჩვენს დროში მხოლოდ ხალხს შეუძლია ტერორიზმის ამოძირკვა. სწორედ ამაში მდგომარეობს უზარმაზარი ნიუ იორკისა და პატარა ბესლანის ისტორიული გაკვეთილი. ისინი კი, ვისაც ანგარებითი პოლიტიკური მოტივებით, მათი განცალკევება სურს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერასოდეს მიაღწევენ წარმატებას. მხოლოდ გაერთიანებულ ნიუ იორკსა და ბესლანს, ჩვენი პლანეტის ყველა დიდ და პატარა ქალაქს ერთად ძალუძს დაამარცხოს ტერორიზმი. ორმა სექტემბერმა - 2001 და 2004 წლისამ უნდა უზრუნველყოს მომავალი სექტემბრები, არა მარტო ტერორიზმის, არამედ ტერორიზმის განმპირობებელი მიზეზების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნიუ იორკისა და ბესლანის მსხვერპლი ფუჭი იქნება და ტკივილი, რომელიც ამ მსხვერპლმა გამოიწვია, არასოდეს მინელდება არც ერთ მერიდიანსა თუ პარალელზე მცხოვრებ ადამიანთა გულებში, მიუხედავად იმისა, რა ენაზე დასტირიან ისინი თავიანთ შვილებს, ანუ თავიანთ არშემდგარ მომავალს.

არა ტერორს - ეს არ ნიშნავს მხოლოდ უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას, ეს უპირველეს ყოვლისა ადამიანობის გაძლიერებაა, რადგან აქ არ არის საუბარი მხოლოდ გამარჯვებაზე, ჩვენ ვლაპარაკობთ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესახებ.

# მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ლიმუზინი ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ჰყავს

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ლეგენდარული ჯეიმს ბონდი შერცხვა - მისი ფანტასტიკური ავტომობილი "ასტონ მარტინი" საცოდავად გამოიყურება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის "კადილაკ-1"-თან შედარებით. მკვლელობის უფლებით აღჭურვილი აგენტი 007-იც კი უძლური იქნებოდა პრეზიდენტის ბორბლებზე მდგარ ციხესიმაგრეში შეეღწია ან მისი აფეთქება მოეხერხებინა.

ორიოდე დღის წინათ "კადილაკ-1"-ის, მანქანათმშენებლობის ამ მონსტრის პარამეტრები პირველად გამოქვეყნდა. ტექნიკის მიღწევების ამ სასწაულის საიდუმლო ჟურნალ "ნეიშენელ ინქუაირერს" ჯიმ სენტნერმა, ანუ იმ კომპანიის პრეზიდენტმა გაუმხილა, რომელიც 1947 წლიდან ამარაგებს ამერიკის პრეზიდენტებს უსაფრთხოების საშუალებებით. სენტნერის თქმით: "ეს მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ლიმუზინია, მით უმეტეს, ისეთი დროისთვის, როცა ამერიკის პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე ძალზე დიდია. ეს ლიმუზინი "გატენილია" უსაფრთხოების დაცვის გასაოცარი ტექნოლოგიური მოწყობილობებით".

ასე რომ, მოდით, გავეცნოთ მსოფლიოს ამ მერვე თუ მეცხრე საოცრებას. ლიმუზინის მოწყობილობის საფუძვლად აღებულია 2001 წლის "კადილაკ დევილის" ნიმუში. მანქანა საერთო ჯამში ოთხ ტონას იწონის, მისი სიგრძე ცხრა მეტრს აღემატება, ფასი კი 5 მილიონ დოლარს აღწევს. ბენზინს კი იმდენს ნთქავს, რამდენსაც აქლემი წყალს: გზატკეცილზე ერთი გალონით სულ სამ მილს გადის, ქალაქის ქუჩებში კიდევ ნაკლებს - 2 მილს. სამაგიეროდ, ლიმუზინის ბენზობაკი უზარმაზარი ზომისაა და თანაც ტყვიაგაუმტარი. მაგრამ, ტყვიამ რომც გაიაროს, აფეთქებას ვერ გამოიწვევს - ამ შემთხვევაში სპეციალური სითხე გამოიყოფა, რაც ბენზინს ცეცხლის წაკიდებისა და, შედეგად, მანქანის აფეთქების პროვოცირებისგან იცავს.

გარედან ლიმუზინის კორპუსი განსაკუთრებული სიმკვრივის ლითონის ორმაგი ფენით არის დაფარული, რასაც ემატება განსაკუთრებული ფირფიტების სამი ფენა, რომელსაც მანქანის სარაკეტო თავდასხმისგან დაცვაც ძალუძს. აფეთქების მძლავრი ტალღისგან დასაცავად მანქანის ძირიც სპეციალური მეტალის სქელი ფენით არის გამაგრებული. ლიმუზინის Kevlar საბურავები გაძლიერებული და ტყვიაგაუმტარებია, მაგრამ ისეთ წარმოუდგენელ შემთხვევაშიც კი, თუ საბურავის რეზინა დაზიანდა, ლიმუზინი, სპეციალური რკინის ბორბლების დახმარებით, შეძლებს მოძრაობა გააგრძელოს 130 კმ/სთ სიჩქარით. საერთოდ კი, ლიმუზინის მძლავრ ძრავას საათში 380 კმ სიჩქარის განვითარება შეუძლია. "მისი "დატყდომის" უნარი მართლაც რომ გასაოცარია, - იუმორით აღნიშნავს ბატონი სენტნერი, - როდესაც პრეზიდენტი და პირველი ლედი ლიმუზინში სხდებიან და საიდუმლო სამსახურის აგენტი მათ მძიმე კარს მიუხურავს, ამერიკის პირველი ოჯახი ისევე უსაფრთხოდ გრძნობს თავს, როგორც საბანკო სეიფში, რომლის კედლების სისქე 18 სანტიმეტრს უდრის".



კადილაკი "დევილი", რომლის საფუძველზეც შექმნილია ბუშის სუპერ დაცული კადილაკ-1.

საარტილერიო თავდასხმის შემთხვევაში საიდუმლო სამსახურის აგენტებს შეუძლიათ მოქმედებაში მოიყვანონ მანქანაში დამონტაჟებული ულტრათანამედროვე იარაღი, მანქანა ღამის მხედველობის მოწყობილობითაც არის უზრუნველყოფილი. მძღოლს მანქანის მართვა აბსოლუტურ სიბნელეშიც შეუძლია საგნების აღმომჩენი სპეციალური ინფრა-წითელი სისტემით. თუ ტერორისტები პრეზიდენტის მანქანაზე თავდასხმას ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური იარაღით მოინდომებენ, მანქანა მაშინვე "ეკოლოგიურად იყინება" და მის შიგნით შენახული ჟანგბადის მოხმარების რეჟიმზე გადადის. ამ ყველაფრის მიუხედავად, პრეზიდენტის "კადილაკ-1"-ის დაცვის ყველაზე მძლავრი საშუალება ზესაიდუმლო ჩამხშობი მოწყობილობაა, რომელიც რადიოსიხშირეებზე მუშაობს და ბუშის ლიმუზინის მთელ მარშრუტზე ბლოკავს ნებისმიერი ასაფეთქებელი მოწყობილობის ელექტრონულ პანელებს.

"კადილაკ-1"-ს საბარგულში ხუთი ანტენა აქვს, რომლებიც თეთრ სახლთან და "გლობალური მეთვალყურეობის" სისტემასთან მუდმივ კავშირს უზრუნველყოფენ. ეს უკანასკნელი პრეზიდენტის ლიმუზინის მოძრაობას აკონტროლებს რეალურ დროში 5 იარდის სიზუსტით. გამონაკლისი შემთხვევისთვის - თუ რაღაც სასწაულით პრეზიდენტი მაინც დაიჭრა - მის განკარგულებაშია მინი-მიმღები, მისი სისხლის მარაგით - ხომ შეიძლება სასწრაფო ოპერაცია და სისხლის გადასხმა დაჭირდეს.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ლიმუზინი არა მარტო უსაფრთხოების, არამედ კომფორტის თვალსაზრისითაც სასწაულია. მასში თავისუფლად თავსდება შვიდი მგზავრი. სკამებზე ლურჯი ტყავია გადაკრული, ინტერიერი ძვრიფასი ჯიშის ხის მასალით გაწყობილი. სქელი, ტყვიაგაუმტარი მინები არც მზის შუქს ატარებს. მანქანის სალონი ნათდება ხელოვნური, ფლუორესცენტული შუქით. პრეზიდენტი სარგებლობს სხვადასხვა კნოპებით, რომელთა მეშვეობითაც არეგულირებს ლიმუზინის მიკროკლიმატსა და აუდიო და ვიდეო სისტემას. ცხადია, სკამების ზურგი მოძრაობს და ამასთან ერთად "მასტიმულირებელი" ელექტრომასაჟის ფუნქციაც აკისრია.

აი, ასე გამოიყურება ის ტექნოლოგიური ნიჟარა, რომლიდანაც ტერორისტები ამერიკის ადმინისტრაციული გვირგვინის ყველაზე ძვირფასი მარგალიტის გამოდევნას ეცდებიან.

მოკლედ, ახლა უკვე დაახლოებით მაინც გვაქვს წარმოდგენა, როგორ გამოიყურება ამერიკის პირველი პირის "კადილაკ-1". ამის შემდეგ გვებადება სრულიად ბუნებრივი სურვილი - დავარქვათ ამას ცნობისმოყვარეობა - როგორია რუსეთის N1 ლიმუზინი, რომლითაც პრეზიდენტი პუტინი დაბრძანდება. თუ ოდესმე კრემლი ამ ცნობების ხალხისთვის გაზიარებას ისურვებს, მე უკვე დღეიდან ვიწყებ პირველი ექსკლუზიური ინტერვიუს უფლების მოპოვებაზე ზრუნვას. ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, მე თქვენს განკარგულებაში ვარ! ქვეყანამ უნდა იცოდეს და სურს, რომ იცოდეს, როგორ არის დაცული მისი პრეზიდენტი მზაკვარი მტრისგან.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2004"
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნანა ჯანელიძე
FM 90-იანი ადამიანის ხმა
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ

**ქართული ფოლკლორის თეატრი**
"ნაბადი"
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ

## ცირკი

სეზონის გახსნა
რუსეთის საცირკო პროგრამა.
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
დას: 15:00 სთ

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
საშემოდგომო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება)

## კინოთეატრები

**ამირანი**
"შრეკი 2"
ფასი: 6-8 ლარი
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"ბორნის იდენტიფიკაცია"
ფასი: 9 ლარი
დას: 20:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარფილდი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ნამდვილი მამაკაცი"
დას: 18:0 სთ.

"მე, რობოტი"
დას: 20:00; 22:00 სთ

## კლუბები

**"ნოა ნოა"**
პოპ-ჯაზის საღამო
თინა ბეგიაშვილი და "ნოა ნოას ბენდი"
ფასი: 10 ლარი
დას: 22:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*




# რა ღირს თქვენი ხელოვნება?

### "არტ კავკასია 2004" - ხელოვნების ბაზრის განვითარებისთვის

მადი სერებრიაკოვა

თანამედროვე მსოფლიოში ყველაფერს თავისი ფასი აქვს და ბაზარზე იყიდება. კონსუმერიზმის სამყაროში ხელოვნებაც შესაბამისი კრიტერიუმებით ფასდება. დრო დადგა, რომ ამ სამყაროში საქართველომაც თავისი ადგილი დაიკაოს. ხვალ, თბილისში თანამედროვე ხელოვნების პირველი საერთაშორისო ექსპოზიცია-ბაზრობა გაიხსნება. "არტ კავკასია" ძირითადად სამი სამხრეთკავკასიური რეგიონის: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხატვრულ პროდუქციას გამოიტანს დახლზე. თუმცა, მასში მონაწილეობენ, ასევე, რუსეთიდან, სლოვაკეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან და აშშ-დან მოწვეული ექსპერტები და მხატვრები. მონაწილეთა რაოდენობა ექვსასს აღემატება.

"არტ კავკასიის" მსგავსი ღონისძიებები მთელ მსოფლიოში ტარდება და თანამედროვე ხელოვნების ბაზრის ძირითად სეგმენტს შეადგენს. საქართველოში ამ ღონისძიების ორგანიზატორები ორგანიზაცია "ნიუ არტი" (საქართველო), "ელეგია" (სომხეთი) და აზერბაიჯანის მხატვართა კავშირი არიან. პროექტი თბილისში, სავაჭრო ცენტრ "ჯითისი"-ში ტარდება. იგი ფონდ "ევრაზიის" მხარდაჭერით ეწყობა. მთავარი დონორი კი USAID-ია. ძალზედ ფართომასშტაბიან ღონისძიებას კიდევ მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. მათ შორის კულტურის სამინისტრო, აშშ-სა და პოლონეთის საელჩოები, ფონდი "პრო-ჰელვეცია" და სხვ.



*დღეს ამ დარბაზში ხელოვნების ბაზრობა გაიხსნა.*

"არტ კავკასიის" პროექტის ფარგლებში შეიქმნა ექსპერტთა საბჭო, რომელშიც გამოცდილი კურატორები, ხელოვნებათმცოდნეები და მხატვრები შევიდნენ, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მასშტაბით. მათ შორის არიან: მხატვარი ილიკო ზაუტაშვილი, ექსპერტი გამოყენებითი ხელოვნების დარგში გია იაშვილი, "არტ ჩიკაგოს" საერთაშორისო ბაზრის დირექტორი ჯონ ვილსონი, კანადელი ექსპერტი ელიზაბეტ მარკლიჯერი, საერთაშორისო არტ ბაზრობის "არტ-მოსკვას" დირექტორი მარატ გელმანი, "ისტამბულ ბიენალეს" დამფუძნებელი და თანამედროვე ხელოვნების ცენტრის დირექტორი ბერალ მადრა და სხვები. ორგანიზატორებმა და ექსპერტებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს და ერთმანეთს და ჟურნალისტებს ხელოვნების ბაზრის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს.

როგორც ყოველთვის, ხელოვნებათმოცოდნეები თავს ვერ იკავებენ პოლემიკისგან. ეს შესანიშნავი თვისება ამ უკანასკნელთ გუშინდელ პრეკონფერენციაზეც გამოამჟღავნეს და ხელოვნებისა და საბაზრო ეკონიმიკის ურთიერთობის გარშემო საინტერესო პოლემიკაც გამართეს. კამათის საფუძველი ჯონ ვილსონის განცხადება გახდა, რომელმაც ხელოვნების ბაზრის არსებობის ერთადერთ ფუნქციად ხელოვნების ნიმუშების გაყიდვა დაასახელა: **"ბაზრის რეიტინგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ბევრს გაყიდის"**. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა კანადელი ექსპერტი ელიზბეტ მარკლიჯერი და ხელოვნების ბაზრის სხვა ფუნქციებსა და ამოცანებსაც გაუსვა ხაზი: **"არ დავეთანხმები, რომ ხელოვნების ბაზრის არსებობას მხოლოდ გაყიდვის ფუნქცია აქვს. პირველ რიგში, ხელოვნების ბაზარი ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებას უწყობს ხელს, იზიდავს ტურისტებს. სინამდვილეში, ქვეყანას ბევრად მეტი შეუძლია აჩვენოს, ვიდრე ბაზარზე გამოტანილი ნამუშევრებია. იგი მსოფლიოს წინაშე იმ ტალანტსა და გამოცდილებას წარმოაჩენს, რომელიც ქვეყანას გააჩნია."**

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მოსკოვის ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელის ლეონიდ ბაჟანოვის მოსაზრება, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხელოვნების ბაზრების თავისებურებებს ეხებოდა: **"ჩვენს ქვეყნებში ბაზარი საერთოდ არ არსებობდა. "არტ მოსკვა" დიდი ხანია არსებობს, მაგრამ 10 წლის განმავლობაში იგი ვერ ყიდდა პროდუქციას და მხოლოდ ახლაღა დაიწყო ეკონომიკური სარგებლის მოტანა. სამაგიეროდ, წლების მანძილზე ქმნიდა იმიჯს. საქართველოშიც არ არსებობს ძლიერი თანამედროვე ხელოვნების ცენტრი ან ბიენალე. ამ ფონზე ხელოვნების ბაზრის უმთავრესი ფუნქცია თანამედროვე ხელოვნების სფეროში არსებული მიღწევების პრეზენტაციაა."**

ხელოვნებისა და ბიზნესის კავშირისა თუ წინააღმდეგობის თემაზე კამათისთვის ექსპერტებს თბილისში სამი დღე აქვთ. "არტ კავკასია" საქართველოში სწორედ სამ დღეს გასტანს. ფესტივალი უამრავ საინტერესო ღონისძიებას, პრეზენტაციებს, მოდის ჩვენებას, სემინარსა და კონცერტსაც გვთავაზობს. იგი ოფიციალურად ხვალ 5 საათზე გაიხსნება. თუმცა, მანამდე ქალაქში ძალზედ უცნაური მანქანა დაიწყებს სიარულს. მანქანის თავზე პატარა კაფე იქნება განთავსებული, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის მხატვარები და ექსპერტები ერთმანეთს ჩაით გაუმასპინძლდებიან. გახსნის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე, აქცია "ჰოლივუდი". აქ ბაზრობის პირველ მყიდველს, ფესტივალის სამახსოვროდ, საკუთარი ხელის ანაბეჭდს დაატოვებინებენ.

# თეატრალები შუამდგომლობას ითხოვენ

ვერა ნეფარიძე

*"დავა, რომელიც სცდება თეატრისა და ეკლესიის დაპირისპირების საზღვრებს", - ასეთი ფორმულირება მიეცა გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილის მიერ ფოთის თეატრის ირგვლივ შექმნილ წლების განმავლობაში გადაულახავ პრობლემას.*



*ფოთელი მსახიობები დახმარებას ითხოვენ.*

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ფოთის თეატრისა და ეკლესიის დავაზე მსჯელობდნენ. შეხვედრა მინისტრის მოადგილეებთან თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა, სტუდენტებმა და რეჟისორებმა მოაწყვეს. დიალოგის დასაწყისში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სტუმრებს მისამართი შეეშალათ - მოყვანილი ფაქტების მიხედვით, თემა შსს-ში თუ არა, სასამართლოში მაინც უნდა განხილულიყო. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფოთში თეატრის გაურკვეველი მიზეზების გამო "არარსებობით" შეწუხებული საზოგადოება აქ ერთადერთი მიზნით მივიდა: მათ სჭირდებოდათ შუამდგომელი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს საპატრიარქოსთან. თეატრალებმა საიმედო პარტნიორად სწორედ კულტურის სამინისტრო შეარჩიეს. დიალოგში სამინისტროს გიორგი გაბაშვილის მოადგილეები - თამარ ქვარიანი და გუგა სულხანიშვილი წარმოადგენდნენ.

"სოხუმის თეატრი ჩვენ გვერდით დგას", - ეს ფრაზა სტუმართაგან ერთ-ერთმა სატელეფონი ზარზე პასუხის შემდეგ წარმოთქვა. სოხუმელი კოლეგების მხარდაჭერა ფოთის თეატრალებმა მიიღეს. როგორც ცნობილია, ფოთში რამდენიმე წელიწადია მსახიობებს ექსტრემალურ პირობებში უწევთ მუშაობა. ეს არაა ახალი პრობლემა. დავის შეჩერება შევარდნაძის პრეზიდენტობისას სცადეს: გადაწყვეტილების სახით დაიწერა, რომ შენობა, რომელიც ფოთში ერთადერთ თუ არა, ერთ-ერთ ულამაზესად მიიჩნევა, მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაში გადაცემულიყო, თეატრისთვის კი უნდა აშენებულიყო ნაგებობა. თუმცა, როგორც ფოთელები ამბობენ, მშენებლობა არც კი დაწყებულა. ამასობაში, ცხადია, თეატრალებსა და მრევლს პარალელურად უწევთ არსებული შენობის გამოყენება. ვითარება კი დღითი დღე უარესდება. გუშინდელი შეხვედრის მონაწილეების თქმით, ყოველდღიურად ხდება ამ შენობის გადაკეთების მცდელობები, სიტყვიერი და ფიზიკური ანგარიშსწორებაც კი; ერთი სიტყვით, ორივე მხარე შენობის სამართლიან მეპატრონედ მიიჩნევს თავს: მრევლი - არსებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თეატრალები კი - რეალური სიტუაციის გამო, მათთვის ხომ თეატრის მშენებლობა არც კი დაუწყიათ.

მთელ ამ აბდაუბდაში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს როლი მინიმალურია, რამდენადაც ფოთის თეატრი მუნიციპალურია და ადგილობრივ ხელმძღვანელობას ექვემდებარება. თუმცა, ამის მიუხედავად, სამინისტრო უკანასკნელი თვეების განმავლობაში ცდილობს გარკვეული ზემოქმედება ჰქონდეს სიტუაციაზე არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. მაისში მინისტრის მოადგილეები - გუგა სულხანიშვილი და თამარ ქვარიანი გაემგზავრნენ ფოთში, შეხვდნენ როგორც თეატრის, ისე ქალაქის ხელმძღვანელობას და ასევე ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსს, მეუფე გრიგოლს. თუმცა, შეხვედრებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

"ეს საკითხი სცდება თეატრისა და ეკლესიის დაპირისპირებას. ამ შენობით დაინტერესებულები ამოფარებულები არიან რელიგიურ საფარველს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, რომელიც საქმეში ჩახედვისას შემექმნა. ეს არ არის სამინისტროს ოფიცილური პოზიცია", - უთხრა სტუმრებს გუშინ მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა.

სამინისტროს გუშინდელი სტუმრები კატეგორიულად მოითხოვენ, თეატრის თანამშრომელთა წინააღმდეგ მრევლის მიერ ჩადენილი მოქმედებები ჩაითვალოს ძალადობის აქტად. მათივე თქმით, უკანასკნელად მსგავსი დაპირისპირება ფოთში 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე მოხდა. შეკითხვაზე, რას აკეთებენ მსგავს სიტუაციებში ფოთის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, შეხვედრის მონაწილეებმა გვიპასუხეს, რომ ისინი "ნეიტრალიტეტს" იცავენ.

ცხადია, პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში არსებობს, ოდესღაც უნდა დასრულდეს და ეს, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია. საზოგადოების მანდატით აღჭურვილმა ქალაქის მერმა თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა არსებობდეს თუ არა ქალაქში თეატრი. როდესაც გუშინდელ დიალოგში ეს საიკითხი დაისვა, სტუმრებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ფოთში თეატრის არსებობა იმდენადაა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სასურველი, რამდენადაც ფოთის მაცხოვრებელთათვის. "თუ ფოთის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არის მათ ქალაქში თეატრი საჭირო, ოფიციალურად გვაცნობოს. ჩვენ ამ ადამიანებს (თეატრის თანამშრომლებს, - ვ.ნ.) როგორმე დავასაქმებთ", - უთხრა სტუმრებს თამარ ქვარიანმა. მინისტრის მოადგილე, ასევე, დაპირდა მათ, რომ აუცილებლად დაურეკავდა პატრიარქის პირად მდივანს: "ვიმედოვნებ, პატრიარქი არაფრით არ დაუშვებს დაპირისპირებას". აქვე გაირკვა, რომ კარგა ხანია იგივე ჯგუფს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილი აქვს, რადგანაც ასეთი დიალოგი მათ რთული სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთ რეალურ გზად ესახებათ. რაც შეეხება შეხვედრის შედეგებს: გუშინ მხარეები შეთანხმდნენ, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო უშუამდგომლებს დავის მონაწილეებს შსს-სა და საქართველოს საპატრიარქოსთან.

# ერთდღიანი გამოფენა

ნანა ბასილაშვილი

*გალერეა TMS-ში გუშინ ერთდღიანი გამოფენა მოეწყო. მხატვარი ლევან ლაღიძე საქართველოში ამერიკის საელჩოს "რჩეული" გახდა და შედეგად მისი გამოფენის მასპინძლადაც მოგვევლინა.*

გამოფენა დახურულ დარაბებში გაიხსნა, მაგრამ ამას დამთვალიერებელთა სიმცირე არ გამოუწვევია. დაპატიჟებულ სტუმრებს შორის იყო როგორც ქართველი, ისე უცხოელი დამთვალიერებელი. სტუმრები მრავალფეროვანი და ეგზოტიკური ალაფურშეტის ქვეშ დროდადრო ნახატებთან რამდენიმე წუთით ჩერდებოდნენ და ლევან ლაღიძის, მართლაც, საინტერესო და ორიგინალურ შემოქმედებას შიფრავდნენ.

გამოფენას თავად ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი მეუღლესთან შერონ მაილსთან ერთად ეწვია. ქართველი მხატვრის ვერნისაჟის მოწყობა სწორედ შერონ მაილსისა და ელჩის მოადგილის პატრიცია მოლერის ინიციატივა იყო. "ერთი წლის წინათ ლევან ლაღიძე ჩვენმა საერთო ნაცნობმა გაგვაცნო, ძალიან მოვიხიბლე მისი შემოქმედებით და ამ საღამოს მოწყობის სურვილიც სწორედ ამან განაპირობა", - აღნიშნა ქალბატონმა მაილსმა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ თავად მხატვარი გამოფენაზე თავს მასპინძლად არ გრძნობდა. "არ მინდა ყოველივე ამას რაიმე კონცეფცია დავურთო, ერთადერთი აზრი, რაც დღევანდელი საღამოდან გამომდინარე მებადება, ისაა, რომ ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყო ნებისმიერი სიახლის მისაღებად და აღსაქმელად და, ამავე დროს, აღფრთოვანების უნარიც უნდა გაგაჩნდეს. როდესაც ქალბატონებმა შერონმა და პატრიციამ ამ გამოფენის მოწყობა შემომთავაზეს, გადავწყვიტეთ, რომ ეს ყოფილიყო არა ჩვეულებრივი გამოფენა, არამედ საღამო, სადაც ჩვენ და საქართველოში მყოფი უცხოელები, დიპლომატები, ელჩები და ა.შ. ვისაუბრებდით ხელოვნებაზე და ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს გავუზიარებდით", - აღნიშნა ლევან ლაღიძემ. გუშინდელი საღამო სწორედ ჩანაფიქრის მიხედვით წარიმართა. არ ვიცი, სტუმრებმა როგორ ახსნეს, არც ისე იოლად ასახსნელი, მართლაც, გამორჩეული ხელწერის მქონე ქართველი ხელოვანის შემოქმედება, თავად მხატვარი კი საკუთარი ქმნილებების მაქსიმალურად გამარტივებას ცდილობს; "ეს ჩემი საკუთარი ხმაა, ასე ვხედავ სამყაროს", - ამბობს ლევან ლაღიძე.



*ლევან ლაღიძეს და რიჩარდ მაილსს სალაპარაკო არ ელევათ.*

"კრიტიკოს ხელოვნებათმცოდნეობაზე თავს ვერ დავდებ, მე, უბრალოდ, მომწონს ლევან ლაღიძის ხელოვნება. ვიცი, რომ მისი შემოქმედებით საქართველოს პრემიერ-მინისტრიც მოხიბლულია. სამომავლოდ ჩვენ კიდევ სხვა ქართველი მხატვრების გამოფენებსაც ვგეგმავთ", - აღნიშნა რიჩარდ მაილსმა. როგორც იქვე გაირკვა, რამდენიმე ხნის წინ, მან ლევან ლაღიძის ორი ნახატი შეიძინა. ლაღიძის, ასევე, ორი ნახატი პატრიცია მილერის კუთვნილებაც გამხდარა.

ტრადიციულ გამოფენას ლევან ლაღიძე, სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის გეგმავს. მხატვარი ხშირ გამოჩენას ერიდება, წელიწადში ერთხელ საზოგადოების წინაშე წარდგომა და, როგორც თავად ამბობს, "შევსება" და "განახლება" მას სრულიად საკმარისად მიაჩნია.

1981 წლიდან დღემდე საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ ლევან ლაღიძე არაერთი გამოფენის მასპინძელი ყოფილა. სიბრტყეზე საოცარი ფერთა შეხამებით გადმოცემული სათქმელის ამოცნობის საშუალება, მომავალშიც, ალბათ, არაერთხელ მოგვეცემა.

# ქართული სიმღერის დიდი ზეიმი

## ფესტივალი "ჩვენ მშვიდობა"

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთი

ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი II სართაშორისო სიმპოზიუმის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა ოზურგეთში ჩატარებული ხალხური მუსიკის ფესტივალი. ორი დღის განმავლობაში ოზურგეთი მასპინძლობდა მსოფლიოს ჩვიდმეტი ქვეყნის ეთნომუსიკოლოგებსა და ფოლკლორულ ანსამბლებს, რომელთა რეპერტუარშიც ქართულ ხალხურ სიმღერას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ფესტივალი სტუმრებისათვის სიურპრიზით დაიწყო: ოზურგეთის ეთნოგრაფიული ანსამბლების გაერთიანებული ძალებით ბუნებრივ გარემოში (სიმინდის ყანაში) შესრულდა ქართული მრავალხმიანობის ბრწყინვალე ნიმუშები: შრომის სიმღერები "ყანის ნადური" და "ელესა", რამაც სტუმრებში ენით უთქმელი ემოციები გამოიწვია. ამის შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა შემოქმედის მონასტერში გადაინაცვლეს, სადაც უცხოელმა და ქართველმა მუსიკოსებმა შეასრულეს ქართული საგალობლები. აქვე, მონასტრის ეზოში, ცნობილი მომღერალ-მგალობლის, ვარლამ სიმონიშვილის საფლავთან პატივი მიაგეს დიდი წინაპრის ხსოვნას და შეასრულეს გურული კილოს საგალობლები; ფესტივალის პროგრამის შესაბამისად მონაწილეები სოფელ ცხემლისხიდში დაესწრნენ ქართული საგალობლის მუზეუმის საზეიმო გახსნას. აქვე შედგა ოზურგეთის ლოტბართა და რეგენტთა სკოლის პრეზენტაცია, რომლის მოსწავლეებმა შეასრულეს არაერთი ქართული საეკლესიო საგალობელი. სკოლა-მუზეუმის შექმნის იდეაც და მისი ხორცშესხმაც ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, სოფელ ცხემლისხიდის მკვიდრის ვაჟა ლომინაძის სახელს უკავშირდება. იგი გახლავთ წარსულში გურულებისათვის კარგად ცნობილი ხელოვანის ნიჟა ლომინაძის შვილიშვილი. მუზეუმის ულამაზეს ეზოში ჩატარებულ მიტინგზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ამაგდარმა ანზორ ერქომაიშვილმა, ავსტრალიაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსმა სოსო ჟორდანიამ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორმა რუსუდან წურწუმიამ, მღვდელმა ბასილ კიკვაძემ და სხვებმა. ზეიმი გაგრძელდა ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, თეატრალურ მოედანთან, სადაც გაიხსნა ფილიმონ ქორიძის ბიუსტი. იგი აღმართულია იმ ადგილას, სადაც სავარაუდოდ განისვენებს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ეს ბუმბერაზი მოღვაწე. ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე ბევრი ითქვა ფილიმონ ქორიძის დიდ ტალანტზე და მის ფასდაუდებელ ღვაწლზე, რაც გამოიხატა ათასობით საგალობლის შენახვასა და გადარჩენაში.



სამგალობლო, სკოლა-მუზეუმი სოფელ ცხემლისხიდში.




ქართული გალობის მოამაგენი: მელქისედეკ ნაკაშიძე, იღუმენი ნესტორ კონტრიძე, ვარლამ სიმონიშვილი.

დღის ბოლოს ოზურგეთის სახელმწიფო სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული და უცხოური ანსამბლები. მთელი საღამოს განმავლობაში თეატრიდან ქალაქს ეფინებოდა განუმეორებელი ქართული ხალხური ჰანგები.

მეორე დღეს ურეკში, "იმედის" ქალაქში გაიმართა გრანდიოზული გალაკონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც უცხოური, ასევე საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ეთნოგრაფიული ანსამბლები. ეს იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორის, ჩვენი ერის ყველაზე დიდი სულიერი და კულტურული საგანძურის დღესასწაული. ფესტივალი, რომელსაც ორგანიზატორებმა "ჩვენ მშვიდობა" უწოდეს, მთლიანად მოამზადა ქართულ კონსერვატორიაში არსებულმა მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრმა და ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა, რომელიც რამდენიმე წელია მიზანმიმართულად იღვწის ქართული სიმღერა-გალობის აღდგენა-პოპულარიზაციისათვის. სპეციალურად საფესტივალოდ, სწორედ მათი ძალისხმევითა და შრომით იქნა გამოცემული უძვირფასესი მონოგრაფიული შრომების ოთხტომეული და აუდიოჩანაწერები, რომლებშიც თავმოყრილია გურული სიმღერებისა და შემსრულებლების შესახებ ყველა საჭირო და სრულყოფილი ინფორმაცია. ეს კი ყველაზე საგულისხმო მომენტი გახლდათ ამ ფესტივალისა, რადგან ფესტივალისადმი დამოკიდებულება ყველაზე ზუსტად გამოხატა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილმა ლენინგრადელმა ეთნომუსიკოლოგმა იზალი ზემცოვსკიმ: "ერთ-ერთი ჩემი პედაგოგი ამბობდა: ყველფერი შეიძლება დავიწყებულ იქნას, გარდა იმისა, რაც ბიბლიოთეკაში დაივანებს. მადლობა ქართველ კოლეგებს, ფესტივალის ორგანიზატორებს, რომლებმაც ეს დიდებული საქმე გააკეთეს. გპირდებით, კალიფორნიაში დაბრუნებისთანავე, სადაც კი ხმა მიმიწვდება, ყველა გაიგებს ამ გრანდიოზული მოვლენის შესახებ. ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: სხვაგან არსად მინახავს ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ხალხური მემკვიდრეობის მიმართ"; მართლაც, ჭეშმარიტება ღაღადებს სახელგანთქმული მეცნიერის ბაგეთაგან, უდავოდ - "არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში" და როგორც ფესტივალმა გვიჩვენა, არანაკლებ შემართებით ზრუნავენ მისი გადარჩენა-პოპულარიზაციისათვის.

# ჩინური სამზარეულოს საიდუმლო

## 1 ოქტომბერი - ჩინეთში ეროვნული დღესასწაულია

ეკა გვახარია

ჩინეთი - ქვეყანა ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში

დედაქალაქი - პეკინი

ფართობი - 9 596 960 კვადრატული კმ.

მოსახლეობა - 1 286 975 468 ადამიანი

რელიგია - ბუდიზმი

ოფიციალური ენა - ჩინური

ეროვნული დღესასწაული - 1 ოქტომბერი

კულინარიული ხელოვნება ჩინეთში საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. თავისი არსებობის 3 ათასი წლის მანძილზე ჩინურმა სამზარეულომ შეიძინა და, რაც მთავარია, შეინარჩუნა ის მრავალფეროვნება, რაც დღეს გააჩნია და რამაც განსაზღვრა ჩინური კერძების მსოფლიო პოპულარობა.

ყველაზე ძველი არქეოლოგიური გათხრები, ამტკიცებს კულინარიის მაღალ განვითარებას ჩინეთში. ქალაქ ანიანში, ხენანის პროვინციაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ქოთნები, დანები, ჩამჩები, სპეციალური დაფები და სხვა ძალიან საინტერესო სამზარეულო ნივთები. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 770-221 წლებში, ჩუნციუს ("გაზაფხულის და შემოდგომის") და ჩჟანგოს ("მეომარი სამეფოების") პერიოდებში ჩინეთში უკვე არსებობდა რესტორნის ტიპის დაწესებულებები. 1500 წლის წინ კი შეიქმნა ჩინური კულინარიის წიგნი.

მიუხედავად რეგიონალური მრავალფეროვნებისა, ჩინური საჭმელების მომზადების რამდენიმე საერთო წესი არსებობს. კერძი უნდა იყოს არა მარტო გემრიელი, არამედ სასარგებლო და ზოგჯერ სამკურნალოც კი. მაგალითად, ზოგიერთი სამხრეთ-ჩინური კერძი, სპეციფიკური ინგრედიენტების წყალობით, ხასიათს აუმჯობესებს. თითქმის ყველა კერძი შეიცავს უამრავ სხვადასხვა სანელებლებს (აუცილებლად გარკვეული რაოდენობით და სპეციალური შეფარდებით), რომელთა უდიდესი ნაწილი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, ძველ ჩინეთში მზარეულის, ექიმისა და ფარმაცევტის პროფესიები შერწყმული იყო.



ჩინეთში თვლიან რომ ადამიანებისთვის საკვები ზეცის საჩუქარია. მისი მიღების წესიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მომზადება. ტრადიციულად, დიდ სადილზე ორმოცამდე სახის სხვადასხვა კერძი მზადდება. სტუმრები ძირითადად მრგვალი მაგიდის გარშემო სხდებიან, მათ ურიგდებათ თითო ფიალა ბრინჯი თავისივე ჩხირებით. მაგიდის ცენტრში დანარჩენ საკვებს ალაგებენ. ჩინური სადილი უშაქრო მწვანე ჩაით იწყება, შემდეგ მიირთმევენ ცივ საუზმეულს, ძირითადად, ეს არის წვრილად დაჭრილი ღვიძლი, ხორცი, თევზი ან ბოსტნეული. ისინი ნელა და აუჩქარებლად ჭამენ. შემდეგ ბრინჯის დროც დგება, რომელსაც სოუსს და შემთბარ ბრინჯის ღვინოს აყოლებენ. ტრაპეზის ბოლოს ბულიონს და ისევ ჩაის მიირთმევენ. სწორედ საკვების ასეთი შემადგენლობა და თანმიმდევრობა ითვლება ყველაზე სასარგებლოდ.

ტრადიციული ჩინური სამზარეულოსათვის მნიშვნელოვანი მომენტია სუფრის გაწყობაც: მიღებულია თანაბარი ფერთა გამა (ხშირად თეთრი-ცისფერი), ერიდებიან მკვეთრ კონტრასტებს. თავად კერძები შედგება ვირტუოზულად დაჭრილი პროდუქტებისაგან (დაწყებული მარცვლის, დამთავრებული ქრიზანთემას ყვავილის ფორმით), რომლისგანაც იქმნება ნამდვილი კულინარიული შედევრები: ჩიტების, თევზების, დრაკონების გამოსახულებები, პეიზაჟებიც კი.

ჩინური სამზარეულოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სწორედ საკვები პროდუქტების წვრილად დაჭრაა, რათა ტრაპეზის დროს ნაკლები დრო და ენერგია დაიხარჯოს. აქედან მოდის ჩინური სამზარეულოს ორი მთავარი საიდუმლო: სწორად დაჭრა და სწორად შეწვა. წვრილად დაჭრილ პროდუქტებს ძალიან ადვილად წვავენ მაღალ ცეცხლზე, ხშირად ცხიმში შავ წიწაკასა და ყვითელ ყვავილს ურევენ, რაც კერძს განსაკუთრებულ არომატს ანიჭებს.

ჩინური სამზარეულოს კერძები გამოირჩევა კომპონენტების მრავალფეროვნებით. ერთიდაიგივე კერძის ინგრედიენტები მზადდება ცალ-ცალკე, ტემპერატურის განსაკუთრებულ რეჟიმში. მზარეული დიდი გულისყურით არჩევს პროდუქტებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხს. მაგალითად, იხვი ან ქათამი უნდა იყოს განსაზღვრული ასაკის, გამოკვებილი განსაკუთრებული საკვებით.

ჩინური სამზარეულოს კიდევ ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა კომპონენტების გემოსა და არომატის მოჩვენებითი შეუთავსებლობა. ჩინურ რეცეპტებში ხშირად შეხვდებით ასეთ კერძებს: "ღორის ხორცი თევზის არომატით", "ძროხის ხორცი ხილის გემოთი", მომჟავო-მოტკბო კიტრი და ა.შ. ჩინელი მზარეულები ამტკიცებენ: "სწორად მომზადებულ თევზს არ უნდა ჰქონდეს თევზის გემო. თუ ეს ასეა, მაშინ საერთოდ რა საჭიროა მისი მომზადება?"

გთავაზობთ ჩინურ რეცეპტს, რომელიც გარდა იმისა რომ საკმაოდ გემრიელი და პიკანტურია, როგორც ამბობენ, თურმე თავის ტკივილსაც შველის:

### თავის ტკივილის საწინააღმდეგო წვნიანი

**ინგრედიენტები:**

750 გ თევზი, თეთრი წიწაკის მარცვლები, 2 სუფრის კოვზი ღვინის ძმარი, 1-1,5 ჩაის კოვზი მარილი

**მომზადების წესი:**

1,5 ლიტრ წყალში, 2 საათის განმავლობაში ხარშეთ თეთრი წიწაკის მარცვლები, შემდეგ ამოიღეთ იგი წყლიდან. მანამდე კარგად გაწმინდეთ თევზი და ცხიმის გარეშე, ძალიან ცხელ ტაფაზე შეწვით (დაახლოებით გააჩერეთ 2-3 წუთი). შემდეგ თევზი ჩადეთ მდუღარე წყალში (დარჩენილი უნდა იყოს ერთი ლიტრი), მაშინვე დაამატეთ ძმარი და მარილი და ხარშეთ 30 წუთის განმავლობაში.

ბოლოს, კიდევ ერთი ჩინური კერძი, რომელიც ძალიან ადვილად მზადდება და საკმაოდ უცნაურია:

### შაქარში შემწვარი კარტოფილი

**ინგრედიენტები:**

10 საშუალო ზომის კარტოფილი, 250 გრ შაქარი 1 ჭიქა წყალზე, ზეთი.

**მომზადების წესი:**

გასუფთავებული კარტოფილი დაჭერით პატარა ნაჭრებად და შეწვით ისე, რომ ზეთით იფარებოდეს. ამავე დროს მოამზადეთ შაქრის შესქელებული სიროფი. შემწვარი კარტოფილი ჩაყარეთ ამ მასაში და მოურიეთ ხის კოვზით. გააჩერეთ 2 წუთი და გადმოიღეთ ლანგარზე. ეს კერძი შეგიძლიათ მიირთვათ დესერტის წინ.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# გათავისუფლებული პატიმარი



ერთი ტენდენციის შესახებ მინდა ვისაუბრო, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ყველას აწუხებს, ყველა ლაპარაკობს ამაზე, მაგრამ რატომღაც ამის შესახებ საჯარო გამოსვლები ნაკლებად მსმენია. ეს ის თემაა, რომლის მიმართაც, მგონი, ყველას - ვარდების რევოლუციონერებს, რევოლუციის დამკვირვებლებს და მის მოწინააღმდეგეებს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ. ეს გახლავთ, რევოლუციის შემდეგ დაწყებული მასობრივი დაპატიმრებები, ფულის გამოძალვები და შემდეგ გათავისუფლებები. მართალი გითხრათ, ეს ცოტა რთული საკითხია და ალბათ ამიტომაც ხდება, რომ პრეტენზიები ან საერთოდ არ ისმის, ან კი არ არის გამოკვეთილი. დაპატიმრებული ადამიანების გათავისუფლებას გიჟი თუ მოითხოვდა. იმის გამო რომ აპატიმრებდნენ და მერე ფულს ართმევდნენ, პირადად ჩემში, ისინი არავითარ სიბრალულს არ იწვევდნენ, მაგრამ ის, რომ პატარა დარღვევა იყო, ფაქტია. ფული გადავახდევინეთ და გავათავისუფლეთ. თავისუფლება არც ისე იაფი აღმოჩნდა ყველა ყოფილი პოსტრევოლუციური პატიმრისათვის; ძვირი იყო (შესაძლებელია, ძვირი ჩვენთვის), მაგრამ საკმაოდ მარტივად მოსაპოვებელი. ამ დროს საზოგადოება დუმდა, და საკუთარ უკმაყოფილებას მხოლოდ, ისევ ჩვეული ფორმით, სამზარეულოში ან ვიწრო წრეში გამოთქვამდა. მეც მათ შორის ვარ. ხმამაღლა ლაპარაკი, თუნდაც დამნაშავის დაპატიმრების და შემდეგ პატიმრობაში გაჩერების შესახებ, არ ვიცი რატომ, მაგრამ არავინ არ მოინდომა. ეს, ალბათ, ზოგადად ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე ხდება - არ უნდა მისცე თავს უფლება, რომ არაჰუმანური მოთხოვნები საჯაროდ წამოაყენო. თუმცა, ეს რომ არასწორი გზა აღმოჩნდა, ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები.

ვფიქრობ, ამ დაპატიმრებებით ის დამნაშავეები უფრო დაზარალდნენ, რომლებმაც საქართველოდან გაქცევა მოასწრეს, ვიდრე ისინი, ვინც არსად გაიქცა, ან ვერ მოასწრო და რამდენიმე ხნით ციხეში ამოყო თავი. მართალია, დაპატიმრებულთა კაპიტალი საგრძნობლად დაზარალდა, ისინი ისევ გათავისუფლებულნი არიან და რაც ყველაზე ცუდია, საკუთარი თანამდებობები თუ სტატუსი დაიბრუნეს, თუმცა მომავლის იმედით, ახალი შემართებით, იგივე საქმიანობას აგრძელებენ. ყოველ შემთხვევაში, ეს მათ უმეტეს ნაწილს ეხება. ისინი კი, ვისი დაპატიმრებაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ და საკუთარ ქვეყანაში ჩამოსვლის საშუალება არა აქვთ. მათ ჯერ მხოლოდ ფინანსური გასავალი აქვთ და ნაკლები შემოსავალი, ვინაიდან იქ, უცხო ქვეყანაში პირდაპირ ბიზნესში წილის მოთხოვნა თუ ახალი ბიზნესის წამოწყება არც ისე ადვილია, გინდ, მილიონებს ფლობდე. ამიტომ ახლა სხედან ასე მოწყენილები, მხოლოდ საკუთარი ბედნიერი წარსულის მოგონებებით. ადგილობრივი კრიმინალები, რომელნიც დავიჭირეთ, ფული გამოვართვით და შემდეგ გავათავისუფლეთ, შეიძლება ითქვას, რომ გადასარევად გრძნობენ თავს. ჩვენც მათ შორის უბრალო საზოგადოების რიგითმა წევრებმა, მედიის თანამშრომლებმა და ხელისუფლებამ, დავივიწყეთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ტელევიზიის საშუალებით სამართალდამცავების მიერ მოწყობილ შოუს ვუმზერდით, სადაც მთავარი გმირები სწორედ ეს ექსკრიმინალები იყვნენ. დღეს კი იგივე ტელეარხების მეშვეობით ამ კრიმინალებს და მათ წარმატებულ საქმეებს ვაშუქებთ და ვუმზერთ. ერთი სიტყვით, მგონი, ეს მახინჯი ტენდეცია უნდა შეიცვალოს. თუკი გვაქვს დაპატიმრების უფლება, დავაპატიმროთ და იმდენი ხანი გავაჩეროთ საპყრობილეში, რამდენსაც მათ სასამართლო მიუსჯის. თუკი დაპატიმრება არ იქნება ჩვენი თვითმიზანი და მხოლოდ ფინანსები გვესაჭიროება მათგან, მაშინ თეატრალური შოუების გარეშე დავიბაროთ სათანადო უწყებებში და იმდენი ფული გამოვართვათ, რამდენიც საჭიროა, ბუნებრივია, თუ კანონით იქნება ნებადართული. იქნებ, აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი მახინჯი ტენდენცია ავიცილოთ თავიდან: თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში არ იყიდება და დანაშაულის ჩამდენი არა მხოლოდ ფინანსურად დაზარალდება. იმ ზღაპრების შინაარსიც ოდნავ რომ დავხვეწოთ, უკეთესია. მეც კი, რომელიც ამ დაპატიმრებების შემხედვარე ყოველთვის ამ აქციების გულშემატკივარი ვიყავი, არ მჯეროდა, რომ ამა თუ იმ დამნაშავეს, რომელიც ყოველ წუთს ელოდა სამართალდამცავებს საკუთარ ბინაში, საწოლის ქვეშ "ლიმონკა" ან კალაშნიკოვის ავტომატი არ ედებოდა. დღეს, როდესაც ეს ტალღა გადაიარეს, შესაძლებელია უდევთ, მაგრამ მაშინ ნამდვილად გადამალული ექნებოდათ ნათესავის ან მეგობრის ბინაში.

როდესაც ამ გათავისუფლებულ, გაბღენძილ და დღეს უკვე წარმატებულ "მოღვაწეებს" ვუყურებ, ერთი ბავშვი მახსენდება, რომელიც არასრულწლოვანთა კოლონიაში ველოსიპედის ქურდობისათვის იჯდა. მას არც მშობლები აკითხავდნენ, არც თბილი ტანსაცმელი ჰქონდა და არც ის იცოდა, როდის დამთავრდებოდა მისი მონანიების წლები. ამიტომ გული მწყდება, რომ "ველოსიპედის გამტაცებლები" დღეს ციხეში იტანჯებიან, თუმცა წესიერ ქვეყანაში ეს ასეც უნდა იყოს და ნამდვილი კრიმინალები, რომელთაც ამ ბავშვებს ველოსიპედის გატაცება აიძულეს, გარეთ "წარმატებულ" საქმეებს აგრძელებენ.

და რატომ ამხელა შესავალი? ამ თემამდე ერთმა უკანასკნელმა ფაქტმა მიმიყვანა. კერძოდ, რამდენიმე დღის წინ მერაბ ჟორდანიას გამოგდებული ხრიკები. ის თანამდებობიდან იმ ადამიანს ათავისუფლებს (ანდრო აბაშიძე), რომელსაც ქართული ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივრები, როგორც ერთადერთ იმედს, ისე უყურებენ. ათავისუფლებს იმიტომ, რომ აბაშიძე ხელს არ აწერს იმ მოთხოვნათა გაბერილ ბიუჯეტს, რომელიც ჟორდანაის "აპეტიტს" აკმაყოფილებს. ჟორდანია, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაპატიმრებული იყო, და მის დაპატიმრებას ისეთი რეზონანსი ჰქონდა, თითქოს ცოცხალ დავით ყიფიანს კარგი თამაშისათვის აპატიმრებდნენ. ვინ აღარ იყო ჩართული მის "გამათავისუფლებელ მოძრაობაში" - ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლები, მომღერლები, მოცეკვავეები, ექსნათესავები და, უბრალოდ, მისი მეგობრები თუ ახლობლები. ამის შემდეგ, ისევ მზის სინათლეზე გამოსული ჟორდანია კიდევ უფრო ენერგიულად აგრძელებს "უეფასთვის" თუ "ფიფასთვის" ფულების გამოძალვას თუ დანკლისის ანაზღაურებას (რაც მას დღევანდელმა ხელისუფლებამ წაართვა) და ამას საკმაოდ თავხედურად და მოურიდებლად აკეთებს. რისი შედეგია ყველაფერი ეს? შესაძლებელია ეს ჩემი სუბიექტური აზრი იყოს, მაგრამ პრობლემა სწორედ ის გახლავთ, რომ ჟორდანია დღეს თავს დამნაშავედ არ გრძნობს. მან ჩათვალა, რომ ის არა დანაშაულისათვის იყო დაპატიმრებული, არამედ ხელისუფლებას მისი ფინანსები სჭირდებოდა და ცოტა უხეში ფორმით მოსთხოვეს მას ეს ათასები თუ მილიონები. შესაძლებელია, ის არა თუ საკუთარ თავს, არამედ ხელისუფლებასაც ადანაშაულებს და ნაწყენიც არის, ვინაიდან მას ცოტა უზრდელურად და მატრაკვეცულად ჩამოართვეს მისი კუთვნილი ფული.

ჟორდანიას კრისტალურობაში ძალიან ბევრს ეპარება ეჭვი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე არ შემიძლია, რომ ხელისუფლებაც არ გავამტყუნო, ვინაიდან ის, რაც დღეს ხდება და რა სამარცხვინო მაქინაციებსაც ატარებენ ფეხბურთის ფედერაციაში, ამაში არა მხოლოდ ჟორდანია, არამედ საქართველოს მთავრობაც დამნაშავეა. და ნუ მოგვატყუებს ამ ორი უკანასკნელი მატჩის რეზულტატი, აქ ჟორდანია არაფერ შუაშია.

ფეხბურთი

# "დინამო" ევროპაში დაბრუნდა!

## პირველი რუბიკონი გადალახულია

A1 გვერდიდან

***"დინამო":*** *მამალაძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, კვირკველია, კანკავა, კანდელაკი, ნემსაძე, ალადაშვილი (ახალაია, 52`), კაკალაძე (რომერო, 80`), მელქაძე (გრიგალაშვილი, 67`).*
***მთავარი მწვრთნელი:*** *გია გეგუჩაძე*
***"ვისლა":*** *მაიდანი, ბაშჩინსკი, კლოსი, სტოლარჩიკი, გორავსკი (კუკელკა, 60`), შიმკოვიაკი, კანტორო, ზემჩუკი (კუჟბა, 68`), ფრანკოვსკი, ჟურავსკი.*
***მთავარი მწვრთნელი:*** *ჰენრი კასპერჩაკი.*
***გოლები:*** *1:0 ნესაძე 60` (პენ), 2:0 კაკალაძე 66`, 2:1 ფრანკოვსკი 76`.*
***გაფრთხილება:*** *კანკავა*
***გაძევება:*** *ბაშჩინსკი*
***მთავარი მსაჯი:*** *კენეტ კლარკი (შოტლანდია)*

თამაშის შემდეგ, ცხელ გულზე, საკმაოდ მიჭირს "დინამოს" წარმატების ახსნა. ტექნიკური და სწრაფი, შემტევი ფეხბურთი? ალბათ არა, რადგან "ვისლაც" არანაკლებ სწრაფი და, მართლაც, ტექნიკური გუნდია, რომლის თავდამსხმელებს, ჟურავსკის და ფრანკოვსკის ევროპის ბევრი სუპერკლუბი ისურვებდა თავის რიგებში. უპირატესობა ნახევარდაცვის ხაზში? არც ეს, რადგან მოედნის ცენტრალურ ნაწილში პოლონელები თუ არ გვჯობდნენ, ნამდვილად არ ჩამოგვივარდებოდნენ. გამართული დაცვის ხაზი? თუ თამაშის ბოლო წუთებს არ ჩავთვლით, როდესაც "დინამო" ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას ეშურებოდა, ხოლო მეტოქე ბოლო ძალებით ცდილობდა გოლის გატანას, ჩვენი გუნდის დაცვა ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მაგრამ, დაცვის ხაზი ხომ ვერ მოგაგებინებს თამაშს? საბოლოოდ, მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივდივარ და, ალბათ, ვინც ნახეთ ეს თამაში დამეთანხმებით: წარმატების რეცეპტი მარტივია - უფრო მეტი მიზანდასახულობა, მონდომება და თავგანწირვა. აი, ამ სამი კომპონენტის ხარჯზე აჯობა გუშინ "დინამომ" "ვისლას". და კიდევ, მე-12 ფეხბურთელი, 20 ათასი გულშემატკივარი, რომლებსაც 90 წუთის განმავლობაში არანაკლები ენერგია დაეხარჯათ და, რაც მთავარია, ეს ენერგია წყალში ფუჭად ჩაყრილი არ აღმოჩნდა.

თამაში მასპინძელთა იერიშით დაიწყო, მაგრამ დებიუტშივე ჟურავსკიმ კინაღამ ცივი წყალი გადაგვასხა: მარცხენა ფლანგიდან განვითარებული შეტევის შემდეგ სტუმრებმა ბურთი მამალაძის საჯარიმოში, მეორე ფლანგზე ჩაჰკიდეს და ჟურავსკიმ შეუჩერებლივ, ბურთის მიწაზე დაუშვებლად დაარტყა. ამ მომენტში 20 ათასი გულისცემა წამიერად შეწყდა, მაგრამ ჯერ მამალაძემ იყოჩაღა და ბურთს ხელი წაჰკრა, შემდეგ ზედა ძელიც წამოგვეხმარა და "დინამოს" კართან პირველი საფრთხე მშვიდობიანად დასრულდა. უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდის შემდეგ სტუმრებს პირველ ტაიმში განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღარაფერი შეუქმნიათ, თუმცა, არც მასპინძლებს გამოუდევთ მაინცდამაინც თავი. რა თქმა უნდა, თითოეული დინამოელის ყველა მოძრაობაში, მეტოქესთან დაპირისპირებაში, ბურთისთვის ბრძოლაში იგრძნობოდა, თუ როგორი მუხტით და შემართებით თამაშობდნენ. ქართველი ფეხბურთელები განსაკუთრებით შეტევის მარჯვენა ფლანგს იყენებდნენ კარგად, თუმცა, დამაგვირგვინებელ ფაზაში ზუსტად ვერ თამაშობდნენ. იყო ერთი ეპიზოდი, როცა კრაკოვში თავგამოჩენილ ალადაშვილს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მაიდანმა მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული მოიგერია.

შეხვედრის მეორე ნახევარში კი დაიწყო ის, რასაც ასე სულმოუთქმელად ელოდა ტრიბუნებზე მოსული უამრავი გულშემატკივარი. თანაც, დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც, ევროტურნირებზე "დინამო" არც თუ ძლიერად ატარებდა, კერძოდ, მე-60-დან 76-ე წუთამდე. შეგახსენებთ, რომ პრაღის "სლავიასთან" გასვლით შეხვედრაში "დინამომ ამ მონაკვეთში 3, ხოლო "ვისლასთან" - 4 გოლი გაუშვა. გუშინ კი ყველაფერი პირიქით მოხდა: ხელით ბურთის კარიდან გამოტანისათვის ბაშჩინსკი მოედნიდან გააძევა და პენალტი დანიშნა. ასეთ მომენტში ბურთთან ის ფეხბურთელი მივიდა, რომელიც უნდა მისულიყო - გიორგი ნემსაძე, რომელსაც დიდი ფეხბურთის თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვს. მას ნერვიც არ შესტოკებია, ისე გაიტანა გოლი, რითაც ეროვნულ სტადიონზე ნამდვილ ფიესტას ჩაუყარა საფუძველი. არ გასულა 6 წუთი და იმავე ნემსაძემ ბრწყინვალე პასით მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა კაკალაძე, რომელმაც მეორედ შეარხია "ვისლას" კარის ბადე. ჯგუფში ვართ! - დარწმუნებული ვარ, ყველას ამ აზრმა გაუელვა თავში, მაგრამ "დაჭრილი" და კაცნაკლული "ვისლა" დანებებას არ ფიქრობდა: ფრანკოვსკიმ 76-ე წუთზე ერთი გოლი გაქვითა და დარჩენილი 20-25 წუთი (მსაჯის მიერ დამატებული დროის ჩათვლით) პოლონელებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს, მაგრამ "დინამომ" გაძლო და კიდევ ერთი, თანაც აქამდე უჩვეულო საჩუქარი გაუკეთა თავის თავს და გულშემატკივარს.

***ჰენრი კასპერჩაკი:*** "როდესაც გუნდი ისეთი განწყობით და თავდადებით თამაშობს, რისი დემონსტრირებაც "დინამომ" მოახდინა, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს. "დინამომ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან მაღალი კლასის გუნდია და ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის სერიოზული ანგარიშგასაწევი ძალაა. ვულოცავ ჩემს მეტოქეს ამ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ. იმასაც ვიტყვი, რომ უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში "დინამო" აუტსაიდერი ნამდვილად არ იქნება."

***გია გეგუჩაძე:*** "ძალიან მიჭირს საუბარი. ბედნიერი და გახარებული ვარ. თამაშზე არც არაფერს ვიტყვი. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ დღეს ქართველ ხალხს გაცილებით სჭირდებოდა ეს გამარჯვება, ვიდრე პოლონელებს და ჩვენ ეს მოვახერხეთ."
















*კრივი*

# როდესაც დასაკარგი არაფერია, იქ ჩხუბია

ვლადიმირ კლიჩკომ ბოლოს აპრილში, ლეიმონ ბრიუსტერთან იჩხუბა. მართალია, ამ მატჩში ვლადიმირს მიიჩნევდნენ უდავო ფავორიტად, მაგრამ მან წაგებულმა დატოვა რინგი. ბევრმა ჩათვალა, რომ ბრიუსტერთან წაგებით უმცროსი კლიჩკოს პროფესიული კარიერა დამთავრდებოდა, მაგრამ...

ხვალ ოკეანის გაღმა, "ცეზარ პალასის" რინგზე, დიდი ჩხუბი იქნება. რინგზე ავლენ ვლადიმირ კლიჩკო და დევრილ უილიამსონი. კლიჩკომ უნდა დაამტკიცოს, რომ ნაადრევად ჩამოწერეს, რომ წარუმატებლობები წარსულს ჩაბარდა, რომ კვლავაც ჩემპიონობა სურს. მართალია, უილიამსონი კაშკაშა ვარსკვლავთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ საკმაოდ სახიფათო მეტოქეა. ბრძოლა რომ უშელავათო იქნება, იქიდანაც ჩანს, რომ წაგებული, ფაქტობრივად კრივიდან უნდა წავიდეს. ბუნებრივია, კარიერის ნაადრევად დასრულება არც ერთს არ სურს.

როგორც წესი, რინგზე ასვლამდე მოკრივეები უშვერი სიტყვებით მოიხსენიებენ ერთმანეთს, ცდილობენ, ერთმანეთი ფსიქოლოგიურად გატეხონ და შეაშინონ. ერთი სიტყვით, გონგის ხმამდე ერთგვარი სიტყვიერი ომი მიმდინარეობს. თუმცა, ამ შემთხვევაში კლიჩკოები გამონაკლისები არიან, ყოველთვის ცდილობენ, თავშეკავებულნი იყვნენ. მეტიც: ხანდახან ზედმეტად თავაზიანებიც კი არიან. ორიოდე დღის წინათ შემდგარ სატელეფონო კონფერენციაზე კი ვლადიმირი ხუმრობის გუნებაზეც იყო: "დევრილ, გთხოვ, თავს ნუ მოიკლავ ამ ორთაბრძოლისთვის. მე არცთუ ისე დიდი და ძლიერი ვარ. არც გამძლეობა მივარგა, არც შნო მაქვს და არც დარტყმის შესაძლებლობა", - სამიოდე დღის წინათ აი, ასე მიმართა დევრილ უილიამსონს ვლადიმირმა.



*კლიჩკოს იმედი აქვს, რომ კარიერას გააგრძელებს.*

უკრაინელის ამ სიტყვებზე უილიამსმა გაკვირვებით იკითხა, ახლა მეუბნება, როდესაც თავს ვიკლავდი ვარჯიშითო.

"თუ ვლადიმირი შაბათს ისეთივე ფორმაში იქნება, როგორც ბრიუსტერთან ორთაბრძოლისას იყო, დიდი სიამოვნებით შევეგებები, მაგრამ, მართალი გითხრათ, ამის იმედი არ მაქვს. მგონია, რომ ვლადიმირი მზადაა, ათივე რაუნდს გაუძლოს. გამარჯვებისთვის კი ყველაფრის გაღება მომიწევს".

ბუნებრივია, კლიჩკოს ზემოთ თქმული ერთგვარი სარეკლამო ტრიუკი უფროა, ვიდრე გულით ნათქვამი. რა თქმა უნდა, ვარჯიშებზე არც უკრაინელს დაუზოგავს თავი. ვლადიმირის თქმით, ლეიმონ ბრიუსტერთან მარცხის შემდეგ საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ მაშინდელი წარუმატებლობა თავიდან ამოიგდოს. ახლა თავით ფეხამდე ორთაბრძოლისთვის ვარ განწყობილიო. უკრაინელი იმაშიც დარწმუნებულია, რომ უილიამსონთან მატჩი გულშემატკივრისთვის ძალზე დამაინტრიგებელი სანახაობა იქნება, რადგან ყოველი მათგანი მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხს ელის: ვინ დარჩება ცოცხალი და ვინ წავა წინ.

"ჩემზე არაფერი არ ახდენს გავლენას, რადგან კრივის სამყაროს ფსკერზე ვარ. ჩემპიონობა მომწონდა. ახლა კიდევ ერთი შესაძლებლობა მომეცა, ადრინდელ მდგომარეობას დავუბრუნდე. ვფიქრობ, არაფერი მაქვს დასაკარგი. ამიტომაც მომავალ ორთაბრძოლას სრულიად მშვიდად ვხვდები. უბრალოდ, ჩემი საქმის გაკეთებას ვაპირებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ დაკარგული ავინაზღაურო...

იმედი მაქვს, ეს ბრძოლა ბევრ კითხვაზე მიპასუხებს, რადგან სპორტული კარიერის გაგრძელებას ვაპირებ".

*მძლეოსნობა*

# ამბობენ, ქალი კაცს გაასწრებსო!

ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა მეტად საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენეს. თურმე ნუ იტყვით და, დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ 100 მეტრზე რბენაში ქალები უფრო მკვირცხლები იქნებიან, ვიდრე კაცები.

დასკვნები კი ხანგრძლივი კვლევისა და დაკვირვებების შედეგად გამოიტანეს. კერძოდ, მეცნიერებმა 1900 წლის II პარიზის ოლიმპიური თამაშების გარბენათა შედეგები გააანალიზეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 2156 წლისთვის ქალები 100 მეტრს 8,079 წამში გაირბენენ. ეს მაშინ, როდესაც იგივე მანძილს ძლიერი სქესის წარმომადგენლები 8,098 წამს მოანდომებენ!

ირწმუნებიან, რომ ასეთი გარდატეხა 2064 წლისთვის იქნება შესაძლებელი - ამ დროისთვის სუსტი სქესის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ რეალური შანსი, კაცებზე ფეხმარდები იყვნენ, თუ, რა თქმა უნდა, ქალები ასეთივე წარმატებით გააგრძელებენ კაცებთან შედეგების მხრივ სხვაობის შემცირებას.

"ჩვენ კატეგორიულად არ ვაცხადებთ, რომ ეს ასე იქნება. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ქალებს ასეთი შანსი აქვთ. ახლა სწორედ ამ წვრილმანების შესწავლას ვცდილობთ, - აცხადებს გამოკვლევის ხელმძღვანელი ენდი ტატემი და იქვე განაგრძობს: - შედეგები გვიჩვენებს, რომ სხვაობა ქალსა და კაცს შორის მცირდება. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალები მოგვევლინონ სარბენი ბილიკების ბატონ-პატრონად".

მეცნიერთა აზრს ყველა არ ეთანხმება. ყოფილი ბრიტანელი სპრინტერი დერეკ რედმონდი თვლის, რომ ქალები ვერასდროს შეძლებენ დაეწიონ კაცებს, რადგან დროთა განმავლობაში ჩვენც გავაუმჯობესებთ შედეგებსო.

ისტორიიდან დავძენთ, რომ ქალებმა ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრი პირველად 1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე ირბინეს - ოლიმპიადების პროგრამაში სპრინტერული დისციპლინა ქალებისთვის სწორედ მაშინ შეიტანეს. რაც შეეხება მაშინდელ შედეგს, ეს მაჩვენებელი 12,2 წამს შეადგენდა, რაც ვაჟთა ამავე მანძილზე რბენის შედეგზე 1,4 წამით მეტი გახლდათ.

1952 წელს სხვაობა 1,1 წამამდე შემცირდა. 2000 წელს კი სხვაობა სულაც წამზე ნაკლები აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, 100 მეტრი ჩემპიონმა იულია ნესტერენკომ 10,93 წამში ირბინა, მაშინ როდესაც იმავე დისციპლინაში ვაჟთა შორის ჯასტინ გატლინს გასამარჯვებლად 9,85 წამი დასჭირდა. შეამჩნევდით, რომ სხვაობა 1,08 წამია.

თუმცა, ტატემი თვლის, რომ გამონაკლისებიც იქნება. რიგი გარემოებების გამო ათენში არ უასპარეზია ყველა უძლიერეს სპრინტერს. ასე რომ, ათენში ნაჩვენები შედეგები სრულად არ ასახავს რეალურ სურათს.

გარდა ამისა, ტატემი წინასწარ ჭვრეტს, რომ თუ ყველაფერი მისი სცენარით განვითარდება, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 2008 წელს ქალთა და ვაჟთა შორის შედეგებს შორის სხვაობა 0,84 წამი იქნება.

რაც შეეხება საუკეთესო შედეგებს, ახლანდელი მსოფლიო რეკორდსმენები არიან ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (10,49) და ტიმ მონტგომერი (9,78).

*ფეხბურთი*

# ლიტველმა ბიზნესმენმა შოტლანდიური კლუბი იყიდა

ნინო ტიკარაძე

*შოტლანდიურ საფეხბურთო კლუბ "ჰართსის" ერთ-ერთი მფლობელი გახდა რუსული წარმოშობის ლიტველი ბიზნესმენი ვლადიმირ რომანოვი. სავარაუდოდ, მისი, როგორც კლუბის თანამფლობელის პირველი ნაბიჯი მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნა იქნება.*

ლიტველი ბიზნესმენის მიერ შოტლანდიური კლუბის ყიდვის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ საუბრობდნენ. გარიგება 19 სექტემბერს უნდა შემდგარიყო, როცა რომანოვი მოლაპარაკებას დაიწყებდა აქციონერებთან, მაგრამ აქციების ერთ-ერთი მფლობელის, კლუბის აღმასრულებელი დირექტორის ყოყმანმა თავისი წილი აქციების გაყიდვის გამო, ეს პროცესი დროებით შეაფერხა. არადა, რომანოვი აღმასრულებელი დირექტორის აქციების ყიდვის გარეშე ვერ შეძლებდა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდებას. საბოლოოდ რობინსონი დათმობაზე წავიდა, რადგან გააცნობიერა, რომ სერიოზულ ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილ კლუბს მდიდარი მფარველი თუ უშველიდა. რობინსონმა ამ გარიგებას იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ მან უარიც კი თქვა "ჰართსისა" და "ბრაგას" თამაშზე დასასწრებად პორტუგალიაში გამგზავრებაზე. რომანოვმა აქციებში 886 868 ათასი ფუნტი გადაიხადა ($1,57 მილიონი), რის საშუალებითაც მან აქციების საკოტროლო პაკეტი ჩაიგდო ხელში.

შოტლანდიურ კლუბს 17 მილიონი ფუნტი ვალი აქვს გადასახდელი. მისი ხელმძღვანელობა გუნდის საშინაო სტადიონის გაყიდვაზეც კი ფიქრობდა, რომელსაც მალე 119 წელი შეუსრულდება. სწორედ ამ ფინანსურმა კრიზისმა აიძულა კლუბის პრეზიდენტი ჯორჯ ფოლკსი, კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი უცხოელი ბიზნესმენისთვის მიეყიდა.

"მე მინდა ვნახო, როგორ უმკლავდება კლუბი სიძნელეებს. მაგრამ ფეხზე დასადგომად შორი გზა უნდა გავიაროთ. ჩვენ სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ: უზარმაზარი ვალი, მოძველებული სტადიონი... დამეთანხმებით, ამ საკითხების მოგვარებას ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევა ვერ უშველის. რომანოვი კი მდიდარია, მის საკუთრებაში დიდი ფულია," - განაცხადა ფოლკსმა.

ვლადიმირ რომანოვი ლიტვაში ცნობილი ბიზნესმენია. მის მფლობელობაშია კაუნასის ერთ-ერთი ბანკი Ukio bankas და საფეიქრო კორპორაცია. მას ასევე ეკუთვნის საფეხბურთო კლუბი "კაუნასი", რომელიც მან, ლიტვის საინფორმაციო წყაროების ცნობით, ასევე ცნობილი ლიტველი ბიზნესმენის კოლმანოვიჩისგან იყიდა.

წლეულს, გაზაფხულზე, რომანოვი კიდევ ერთმა შოტლანდიურმა კლუბმა "დანდიმ" დააინტერესა. მან კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებაც გამართა, მაგრამ ლიტველი ბიზნესმენის სურვილი სურვილად დარჩა.

საინტერესოა, რომ "ჰართსის" აქციების საკონტროლო პაკეტის ფლობის შემდეგ, რომანოვმა შოტლანდიის გუნდის მართვის სადავეები, შესაძლოა, რუს სპეციალისტს ანატოლი ბიშოვეცს გადასცეს. ეს ცნობა მწვრთნელმა ბიბისისთან საუბარში დაადასტურა: "მე და ბატონ რომანოვს კარგი ურთიერთობა გვაქვს და გუნდში ჩემი მოსვლა გამორიცხული არ არის."

*ბოულინგი*

# გართობაშიც პროფესიონალები ანუ BЫ-ს რჩევები სტრესისგან დასაზღვევად

აკი გეუბნებოდით, ბოულინგი კარგი გასართობი და ერთობ დემოკრატიული სპორტია-მეთქი. ამასთანავე, ბოულინგცენტრში სადღესასწაულო განწყობის შექმნაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც ძნელი. ეს ირწმუნა სადაზღვევო კომპანია "ბრიტანეთი-კავკასიამ" და თავისი 6 წლის იუბილეს აღსანიშნავად ბოულინგკლუბს მიაშურა.

კომპანიის გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორის ივა დავითაიას პათეტიკური განცხადებით, ბოულინგის თამაში ხელს უწყობს გუნდური პრინციპის გაღვივებას, აადვილებს კომუნიკაციურ ურთიერთობებს და, რაც მთავარია, დაძაბულ ბიზნესგარემოში მყოფ ადამიანებს სტრესებისგან ათავისუფლებს. სწორედ ამ მოტივით პერსონალური რისკების განყოფილების უფროსთან, ანდერრაიტერ სოფო გასიტაშვილთან ერთად გადაწყვიტა, თავიანთი თანამშრომლებისთვის ბოულინგური გართობა შეეთავაზებინა. ისე, ქართული ბოულინგის პროპაგანდა, უკვე მეექვსე წელიწადია, ნათლად ადასტურებს მათი გადაწყვეტილების სისწორეს.

თავად BЬC-ს ხელმძღვანელობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა კოლეგების მოწოდებას და მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დარაზმა საზეიმო ბოულინგობისთვის. სხვათა შორის, კომპანია საკმაოდ წარმატებულ ბიზნესს აწარმოებს და მნიშვნელოვნად აფართოებს თავის რესურსებს. ამ ბოლო დროს ბევრი ახალი თანამშრომელიც შეემატა და ერთ გუნდად შეიკრა, სადღესასწაულო ვითარებაში ადრინდელი მუშაკებიც შემოიერთა და გაჩაღდა ბოულინგური ასპარეზი.

მინდა გითხრათ, რომ, როგორც ყველა სპორტული შეჯიბრება, ბოულინგის ტურნირიც გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. 4-მოთამაშიან გუნდებად დაყოფილი მონაწილეები შესაბამის ბილიკებზე გადანაწილდნენ და ერთობ მოწესრიგებულად შეუდგნენ ასპარეზობას. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა: სადაზღვევო კომპანია ხომ ყოველგვარი რისკისგან დაზღვევას გვთავაზობს და ასევე ცდილობს თამაშის დროს ნებისმიერი რისკის თავიდან აცილებას. ალბათ, დამეთანხმებით, სტრესისგან დასაზღვევად მარტო ემოციური შეძახილი საკმარისი არ არის. უპირველესად საჭიროა, სარბენ ბილიკზე გასვლისთანავე განიმუხტო და ლოგიკურად შეარჩიო ბურთის გაგორების ტრაექტორია. ამაში, ალბათ, გახსოვთ, ინსტრუქტორიც დაგეხმარებათ. ჰოდა, დადებითი შედეგი ნამდვილად არ დააყოვნებს.

BЬC-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კომპანიის წევრთა უმეტესობა კარგი მოთამაშე აღმოჩნდა და სროლის ტაქტიკითა თუ სარეიტინგო მაჩვენებლით კლუბის პროფესიონალ ბოულერებს არ ჩამოუვარდებიან. ერთი-ორმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენა და რეკორდული შედეგითაც გააოცა თანაგუნდელები.

მოკლედ, შეჯიბრებამ აზარტულად ჩაიარა. განსაკუთრებული ოვაცია კი მაინც დაჯილდოების ცერემონიალს მოყვა. ჯი ემ სი ჯგუფმა ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და, ჩვეულებისამებრ, პრიზებით დაასაჩუქრა მონაწილეები. გამარჯვებულ გუნდს ერგო ნემიროვის არაყი და ტორტი ბოულინგცენტრისგან. ნემიროვის პრიზებით საუკეთესო მოთამაშეებიც დაჯილდოვდნენ. ერთ-ერთი მონაწილეს მამობა მიულოცეს და ასევე ნემიროვის არაყი უსახსოვრეს. მაღალი ქულის მქონე მშვენიერ ქალბატონს რესტორანმა "ტოკიომ" ქლიავის ლიქიორი უსახსოვრა.

ქომაგის ტრიბუნა



სანდრო ნავერიანი

## როდესაც რამე გახარებს

უზარმაზარ მოედანს მუქ ლურჯ ცაზე ხელის ერთი მოსმით მოხატული თეთრი, თეთრი მთვარე დაჰყურებს. უზარმაზარ მწვანე მოედანს პროჟექტორები ანათებენ და მოედანი უფრო ღია, ხასხასა მწვანე ფერისაა. უზარმაზარ მოედანზე შემოვარდა 22 კაცი. ერთნი გამოწყობილნი იყვნენ მუქ ლურჯ მაისურებში, მეორენი - თეთრში, წვრილი წითელი ხაზებით. ხასხასა მწვანე მოედანი მუქლურჯმაისურიანებმა და თეთრმაისურიანებმა შუაზე გაიყვეს. 23-ემ, შავმაისურიანმა, ჩასტვინა და 22 კაცი ერთმანეთში აირია, თითქოს მათ შორის დიფუზია მოხდა. აი, აქ დაიწყო ნერვიულობა, რომელმაც 90 წუთს გასტანა.

რა ხდება ჩვენს თავს?

არ ვიცი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ფაქტია, რომ ის, რაც ხდება, გვახარებს.

გუშინ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამო" და კრაკოვის "ვისლა" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დინამოელებმა პოლონური ბარიერი გადალახეს.

სასწავლი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, აზრი ერთია: რჩევის მიმცემი იმდენია, რამდენიც გინდა, შემსრულებელთა მონახვა კი ყოველთვის ჭირდა. რატომღაც მგონია, რომ საქართველოში გამოჩნდნენ შემსრულებლები. ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, ქართველმა სპორტსმენებმა გაგვანებივრეს.

კარგია, როდესაც რამე გახარებს. გახარებს ის, რაც შენია, შენი სისხლი და ხორცი. თორემ, გახარებით იმდენი რამ გამხარებია, ვერც კი ვიხსენებ. "იუვენტუსისა" და "არსენალის" გულშემატკივარი ვარ და ყოველთვის, როდესაც ისინი იგებენ, მიხარია, მაგრამ წმინდა ქართულ გამარჯვებასთან ბებერი ქალბატონისა და მეთოფეების გამარჯვება ახლოსაც ვერ მოვა.

სიტყვა გამიგრძელდა. როგორ შეიძლება გასწავლოთ ის, რაც შეიძლება აქეთ მქონდეს სასწავლებელი. ასეთი გახარებული იმიტომ ვარ, რომ სხვა, უფრო დიდი გამარჯვებები ჯერ არ მინახავს. დიდი გამარჯვებები თქვენ გაქვთ ნანახი, თქვენ, ვინც 30-ს გადააბიჯეთ.

რატომ ხდება ისე, რომ ყველაფერში წარმატებას ვაღწევთ? არც ეგ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ორი ოლიმპიური ოქრო საკმარისი სტიმული აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართველებს გამარჯვება დაგვეწყო. თავად განსაჯეთ. მას შემდეგ, რაც ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, დანარჩენმა ქართველმა სპორტსმენებმა მოგება დაიწყეს: თურქეთში ადგილობრივ ფეხბურთელთა ნაკრებთან ჩატარებული შეხვედრა, რომელიც ფრედ დამთავრდა. ალბანეთთან მოგებული მატჩი, რომელიც თბილისში, "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მიერ დამარცხებული ფინეთის ნაკრები. საქართველო-ფინეთის მატჩს ევროპაში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ამის შემდეგ მაკედონიაში ჩატარებული შეხვედრა, რომელიც წავაგეთ, მაგრამ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ იქ მსაჯებმა გვიღალატეს. გუშინ კი "დინამოელებმა" კიდევ ერთხელ მოგვცეს იმის მიზეზი, რომ თბილისის ქუჩებში გამაყრუებელი სიგნალის ხმები გაგვეგო. კიდევ ერთხელ მოგვცეს იმის საბაბი, რომ საქართველოს დროშა ზურგზე შემოგვეხვია და სიამაყით გვევლო. კარგია, როდესაც რამე გახარებს. ყველაზე კარგი კი ის არის, რომ გარშემო მყოფთ უყურებ და გიხარია, გიხარია იმიტომ, რომ ისინიც გახარებულნი არიან. მითხარით, რა ჯობია, თბილისის ქუჩები, სადაც დადის ხალხი, რომელთაც უყვართ ერთმანეთი, რომელიც იღიმის, უხარია და ამაყია. თბილისის ქუჩები, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედავ საქართველოს დროშას და მანქანების გამაყრუებელი სიგნალები სიხალისეს გმატებს. ეს ჯობია თუ ჩაბნელებული, მკვდარი ქუჩები, სადაც არ არის ადამიანის ჭაჭანება, დადიან მხოლოდ ტაქსები და ისინიც არ გიჩერებენ იმიტომ, რომ ეშინიათ არ დააყაჩაღო? ალბათ, ვერავინ შემედავება იმაში, რომ პირველი ჯობია. ჰოდა, სწორედ ამიტომ არის საჭირო ბევრი გამარჯვებები, ტოტალური გამარჯვებები.

საქართველოს ვერც სპორტი გადაარჩენს, ვერც პოლიტიკა და ვერც ფეხზე დამდგარი ეკონომიკა. საქართველოს გადაარჩენს სიყვარული, მხიარულება და სიამაყე იმისა, რომ ქართველები ვართ. ეს ყველაფერი კი იმათგან მოდის, ვინც საქართველოს სახელს გახდის მსოფლიოში ცნობილს, როგორც პატიოსანი, მოსიყვარულე, ჭკვიანი და შეუპოვარი ერის.

დაბოლოს, გუშინდელი მატჩის დასრულებისთანავე ერთმა პიროვნებამ მითხრა: ახლა ნახე, ერთი თამაში მოიგეს და თავიანთი თავი ზიდანები და რონალდოები ეგონებათო. არ გამოვრიცხავ, ასეც იყოს, მაგრამ ერთი ფრაზა მინდა მოვიშველიო, რომელიც ამერიკელმა კინორეჟისორმა, ოლივერ სტოუნმა წარმოთქვა.-"რეჟისორი, რომელიც ფიქრობს, რომ მასზე ძლიერი რეჟისორებიც არსებობენ, ვერასოდეს გადაიღებს ღირებულ ფილმს".-ამიტომაც უნდა იფიქროთ, რომ ყველაზე მაგრები ხართ, მაგრამ არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ შეიძლება ვინმე თქვენზე მაგარი აღმოჩნდეს. და იმათ, ვინც თქვენზე რალაცებს ლაპარაკობს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ყველაზე მეტს ხომ ის ლაპარაკობს, ვისაც არაფერი აქვს სათქმელი.

*TV-სპორტი*

### პარასკევი. 1 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - NBA-ს სუპერვარსკვლავები
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1993. ყველა ვარსკვლავთა მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 საუიკენდო მატჩების ანონსი
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" - "პორტუ"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა" - "შახტიორი"
18:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:50 თავისუფალი დარტყმა
19:05 სახვალიო ტელეპროგრამა
19:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "სან კაეტანო"
20:55 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" - "სელტიკი"
22:50 თავისუფალი დარტყმა
23:05 ჩემპიონთა ლიგა. "ბავარია" - "აიაქსი"
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. კონფერენციის ფინალი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV - NBA-ს ლეგენდები: ლარი ბერდი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
11:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
11:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
12:15 როდეოს ფესტივალი კალგარიში. პირველი ნაწილი
13:40 "ჰოკეი-პლუს"
14:00 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. საერთაშორისო ასპარეზობა "ბროლის უნაგირი". მეორე ნაწილი
15:00 ტაილანდური კრივი
16:15 ჩოგბურთი. დევისის თასი. ნახევარფინალები. გადამწყვეტი მატჩი
19:15 მოტოსპორტი. შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
20:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
21:45 ფიგურული სრიალი. შოუ "ყინულის ოლიმპი 2004" სანკტ პეტერბურგში
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჰოკეი-პლუს"
00:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იტალიაში
11:30 ველორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 მოტორბოლები. ყატარის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 ველორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი
20:00 ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
23:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჩემპიონატი უნგრეთში
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იტალიაში
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი
01:45 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
03:15 ჩოგბურთი. ახალბედა

# "ფრანგული ლომების" სამი კონცეფცია


პეჟო 907


პეჟო 1007 RC


პეჟო კვარკი

წლების განმავლობაში ფრანგული კომპანია "პეჟო" თავს იკავებდა მაღალი კლასის ავტომობილების წარმოებისგან და თუ მისი კონსტრუქტორები ასეთს მაინც დაამზადებდნენ, მათი ქმნილება მხოლოდ კონცეპტუალურის რანგში წარდგებოდა ხოლმე პუბლიკის წინაშე და არასოდეს მისულა კონვეიერამდე. შესაძლოა, ეს, დღევანდელობისთვის საკმაოდ შეუფერებელი ტრადიცია ახლო მომავალში შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, კომპანიამ პარიზის ავტოსალონზე შესაფერისი პროდუქტი, უფრო სწორედ, რეალურ ავტომობილში ხორცშესხმული სპორტული კუპეს კონცეპცია წარმოადგინა, რომლის სახელწოდებაა (უფრო სწორედ, ინდექსი) 907.

ეს არის სუპერკუპე, რომელიც, სპეციალისტების შეფასებისამებრ (ამას არც "პეჟოს" წარმომადგენლები უარყოფდნენ), თუ წარმოება ეღირსა, კონკურენციას გაუწევს "მერსედეს-ბენცის" სუპერკუპე SLR-ს.

როგორც ამ კლასის ავტომობილებს შეეფერება, 907-ს საფუძველს წარმოადგენს ნახშირბადოვანი ბოჭკოსა და პოლიეთერული ფისის კომპოზიტებისგან დამზადებული მზიდი ელემენტი, ერთგვარი მონოკოკი (ავიაციასა და ფორმულა ერთში გავრცელებული ტერმინია), როგორიც გამოყენებულია "მერსედეს SLR მაკლარენში". თავისი შტუტგარტელი კონკურენტის დარად, 907-შიც ძრავი წინ, ოღონდ წინა თვლების წარმოსახვითი ღერძის უკანაა განლაგებული. ის ოდნავ უკან, ავტომობილის ცენტრისაკენაა წანაცვლებული, რის გამოც კუპემ ერთობ წაგრძელებული კაპოტი მიიღო, პილოტის კაბინამ (პილოტი და არა მძღოლი, რადგან ამ ავტომობილის მართვას უბრალო მძღოლი ნამდვილად ვერ გაართმევს თავს) კი შესამჩნევად უკან დაიწია.

საბოლოოდ, ძრავისა და ტრანსმისიის, ასევე, მძღოლის წონამ ავტომობილის შუა ნაწილში მოიყარა თავი, რისი წყალობითაც, 907-ის საერთო წონის დიდმა ნაწილმა სიმძიმის ცენტრის სიახლოვეს "დაიკავა პოზიცია". ყველაფერი ეს ავტომობილის მართვადობისა და მანევრულობის გაუმჯობესებას ემსახურება.

"პეჟო 907" დიდი ტურიზმის (გრან ტურიზმო) კლასს განეკუთვნება. ის ორადგილიანია და როგორც სპორტულ ავტომობილებს შეეფერება, მისი ოთხივე საკიდარი ორმაგი, განივი სამკუთხა წევებისგან (ეგრეთ წოდებული ჩანგლები) შედგება. ამგვარი დაკიდების სისტემა სპორტულ ავტომობილებშია გავრცელებული და გამოირჩევა იმით, რომ მათი გეომეტრია საუკეთესოდ შეესაბამება მართვის სპორტულ სტილს. გარდა ამისა, მას რეგულირების ფართო დიაპაზონი გააჩნია, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ავტოსპორტში.

ავტომობილის გაბარიტებია: სიგრძე - 4.37 მეტრი, სიგანე - 1.88, სიმაღლე - 1.21, თვლების ბაზა კი - 2.5 მეტრი. მწარმოებელი არაფერს იტყობინება 907-ის დინამიკური პარამეტრების შესახებ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის წონას (სულ 1400 კილოგრამი) და აგრეგატების პარამეტრებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ადვილად გაუწევს კონკურენციას მასზე გაცილებით "სახელოვან" კონკურენტებს.

რაც შეეხება ძრავს, ის ამ ავტომობილის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია - ეს არის V12 კონფიგუარციის 6-ლიტრიანი აგრეგატი. "პეჟოს" საწარმოო პროგრამაში ასეთი ძრავი არ აქვს, მაგრამ თუ "სამქიმიანებთან" კონკურენცია გსურს, პოტენციურ მყიდველს რაღაც განსაკუთრებული უნდა შესთავაზო. ჰოდა, "ფრანგული ლომების" კონსტრუქტორებმა საკმაოდ ორიგინალურ გამოსავალს მიაგნეს - ორი, V6 ძრავის შედუღებით (უხეშად რომ ვთქვათ) სასურველი V12 მიიღეს, რომლის სიმძლავრეც დაახლოებით 500 ცხენის ძალაა. ამ აგრეგატის უზარმაზარი მაბრუნი მომენტი 6-საფეხურიანი, მექანიკური (ხელით გადართვის რეჟიმი) გადაცემათა კოლოფის მეშვეობით უკანა, წამყვან თვლებს გადაეცემა, რომელთა ზომებია: წინასი - 275/40, უკანასი - 345/35.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს 907-ის გარეგნობა. წინა მხრიდან ავტომობილი საკმაოდ აგრესიული იერით გამოირჩევა, რაც წინა ბამპერში "ამოკვეთილი" დიდი ზომის რადიატორისა და "პეჟოს" ავტომობილებისთვის დამახასიათებელი, წაგრძელებული მაშუქების დამსახურებაა. რა თქმა უნდა, აგრესიულობის შთაბეჭდილებას აძლიერებს გრძელი კაპოტიც. გვერდით ხედში 907-ს რამდენიმე ჰაერამღების "ლაყუჩი" გააჩნია, რომლებიც სულაც არ არიან ბუტაფორიულნი და ზოგი ძრავის, ზოგიც კი მუხრუჭების ჰაერით მომარაგებას ემსახურება.

არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ 907-ს ოდესმე ვიხილავთ საერთო სარგებლობის გზებზე? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ თავად "პეჟოს" ხელმძღვანელებსაც არ აქვთ. მათთვის ამ საქმეში დახმარების გაწევა სწორედ პარიზულ ავტოსალონს შეუძლია - თუ დამთვალიერებელთა დაინტერესება დაფიქსირდა, მაშინ სუპერავტომობილი კონვეიერზე გადაინაცვლებს.

■ ■ ■

"პეჟოს" კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც პარიზშია წარმოდგენილი, რეალურად აქვს წარმოებაში გაშვების შანსი. ესაა მიკროვენ 1007-ის სპორტული მოდიფიკაცია, რომელსაც 18-დუიმიანი თვლები (!), ქრომირებული არშიით გამოკვეთილი რადიატორის მესერი და მაშუქების ფოსოები აქვს. მისი სალონი უფრო ძვირადღირებული მასალებითაა გაწყობილი და რაც მთავარია, კაპოტქვეშ 4-ცილინდრიანი, 1.6 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ძრავი უდგას, რომლის სიმძლავრეც 140 ცხენის ძალას აღწევს.

■ ■ ■

"პეჟოს" კიდევ ერთი კონცეპტუალური ავტომობილი, ან უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, კვადროციკლია "კვარკი". ეს მოდელი კიდევ ერთი ნამუშევარია თემაზე "ეკონომიური და ეკოლოგიური ავტომობილები". წინა წლებში ფრანგულმა კომპანიამ რამდენიმე ჰიბრიდული ავტომობილით გააოცა სპეციალისტები, რომელთაგან აშკარად უფრო საინტერესო იყო H2O. ეს ავტომობილი ფაქტობრივად, წყალბადის მისაღები მოძრავი მინიქარხანა იყო, რომელიც გამომუშავებულ წყალბადს საწვავად გამოიყენებდა.

რაც შეეხება "კვარკს", მისი წყალობით, ფრანგმა კონსტრუქტორებმა დაგვანახეს, რომ ფიჭურ საწვავზე მომუშავე ჰიბრიდული დანადგარები შეიძლება კომპაქტურიც იყოს, იმდენად კომპაქტური, რომ ის თავისუფლად თავსდება 2.38 მეტრი სიგრძის მქონე ავტომობილში (კვადრიციკლში), რომელიც სულ რაღაც 425 კილოგრამს იწონის.

უფრო საინტერესო კი ისაა, რომ ავტომობილის ოთხივე, 17-დუიმიან თვალში საკუთარი, 10-ცხენისძალიანი ელექტროძრავია განლაგებული, რომელთა წყალობითაც, ადგილიდან 50 კმ/სთ-ის აკრეფას 6.5 წამში ასწრებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 110 კმ/სთ-ია.

ეს ავტომობილი ორადგილიანია და მიუხედავად იმისა, რომ მოტოციკლივით, მთლიანად ღიაა და თითქმის არ აქვს ძარა, მასში დანახვისთანავე უმალ ამოიცნობა "პეჟო". ჯერ ერთი, მის რადიატორს ამშვენებს კომპანიის დიდრონი ემბლემა - ყალყზე შემდგარი ლომი. მეორეც, ამ ემბლემის ორივე მხარესაც "პეჟოსთვის" დამახასიათებელი მაშუქებია განთავსებული. მძღოლს და მის ერთადერთ მგზავრს ჰაერის შემხვედრი ნაკადისგან მცირე ზომის, გარსშემოდენილი ფორმის მქონე საქარე მინა იცავს. გარდა ამისა, მის შიგნით არის მცირე ადგილი ხელბარგისთვის.

რა თქმა უნდა, "კვარკი" კიდევ ერთი "სავარჯიშოა" ფრანგული კომპანიისთვის თემაზე მომავლის ჰიბრიდული ავტომობილები. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ "პეჟომ" ამგვარი კვადროციკლების წარმოება დაიწყოს, მაგრამ მასში გამოყენებული ტექნოლოგია რომ ადრე თუ გვიან, მაინც შეგვხვდება საერთო სარგებლობის გზებზე, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ იაპონური "ტოიოტა" სულ უფრო აფართოებს თავისი ჰიბრიდომობილების წარმოებას და არც ის დროა შორს, როცა მისი საწარმოო პროგრამის ნახევარს სწორედ ასეთი, წყალბადზე მომუშავე მანქანები დაიკავებენ.

ჰოდა, რატომ უნდა ჩამორჩეს "პეჟო" იაპონელებს? მითუმეტეს, "ფრანგულ ლომებს" მეტად სერიოზული ამბიციები ამოძრავებთ...

# "პინინფარინას" სუპერსამეული

საავტომობილო დიზაინზე სპეციალიზირებული იტალიური ატელიე "პინინფარინა" თითქმის არასოდეს ტოვებს დიდ საავტომობილო შოუ-გამოფენებს, რომლებზეც მათზე ყოველთვის წარმოადგენს თავის კონცეპტუალურ ნამუშევრებს და დიდი ავტოკომპანიების მიერ შეკვეთილი ავტომობილების კონცეპციებსაც.

ამ მხრივ, გამონაკლისი არც პარიზის წლევანდელი ავტოსალონია, სადაც სტუდიამ ერთბაშად სამი ნამუშევარი წარმოადგინა. მათგან ერთია წარმოებისთვის გამზადებული მოდელი "ინჯოი", ორი კი ექსპერიმენტული პროექტი.


პინინფარინა ნიდო


პინინფარინა ინჭოი

"ინჯოის" ჩვენი რუბრიკის მუდმივი მკითხველი უკვე იცნობს. "პინინფარინამ" იგი პირველად ჟენევის შარშანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა და ნამუშევარმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ გადაწყდა, კომპანიის დაარსებიდან 75 წლის იუბილსთან დაკავშირებით, ის 75-იანი ტირაჟით დამზადდეს.

ავტომობილი შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლებით გამოირჩევა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ინგლისური კომპანია "ლოტუსის" (მას დღეისათვის მალაიზიური ავტოკომპანია "პროტონი" ფლობს) ინჟინრებს. მათ გარდა, იტალიური ატელიეს პროექტში მონაწილეობა მიიღეს იაპონურმა "ტოიოტამ" და ფრანგულმა "მატრა ინჯინიარინგმა", რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ შეიძინა "პინინფარინამ".

ავტომობილში ჩადგმული, "ტოიოტას" წარმოების ოთხცილინდრიანი ძრავი დიდი სიმძლავრით არ გამოირჩევა (192 ცხ.ძალა), მაგრამ მის თითო ცხენის ძალაზე ავტომობილის საერთო წონის ოდენ 4.3 კილოგრამი მოდის, რისი წყალობითაც, "ინჯოი" (სიამოვნება) მეტად მანევრული გამოვიდა. "ინჯოიზე" შეკვეთების მიღებას იტალიური სტუდია 2005 წლიდან დაიწყებს.

სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია "პინინფარინას" ორმა ექსპერიმენტულმა ნამუშევარმა, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ სტუდიის კონსტრუქტორთა ინჟინრული აზროვნების უმაღლეს დონეს. ერთი მათგანია პროექტი სახელად "ნიდო", რომელიც ავტომობილის სრულიად ახალ, უსაფრთხო არქიტექტურას გვთავაზობს. "ნიდო" არის კომპაქტური, ორადგილიანი ავტომობილი, რომლის შექმნის დროსაც ყურადღება მძღოლისა და მგზავრის უსაფრთხოებას დაეთმო. მასში ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ფრონტალური და კუთხით შეჯახებისას, მგზავრების დაზიანება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ამ ავტომობილის სტრუქტურა ისეა გათვლილი, რომ შეჯახებისას ის თავის თავზე იღებს და ნაწილობრივ შთანთქავს წარმოქმნილ კინეტიკურ ენერგიას. მსგავსი ტექნოლოგიები უკვე დიდი ხანია, წარმატებით გამოიყენება ფორმულა ერთის ბოლიდებში, რისი წყალობითაც, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე პილოტთა ტრავმიანობა მინიმუმამდეა შემცირებული. მოსალოდნელია, რომ "პინინფარინას" მიერ პარიზში წარმოდგენილი პროექტი დიდი ავტოკომპანიების ყურადღებას მიიქცევს.

მეორე ექსპერიმენტული პროექტის სახელწოდებაა "დობლე ფაჩე" (ორსახოვანი), რომლის შექმნაშიც მონაწილეობდნენ "მატრას" (ამ კომპანიას ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის გამოცდილება გააჩნია) ინჟინრები. შედეგად, "პინინფარინამ" მიიღო ორი, გარეგნულად სრულიად განსხვავებული ავტომობილი, რომლებშიც ფაქტობრივად, ერთიდაიგივე შასი და ძირითადი აგრეგატებია გამოყენებული. უბრალოდ, მათზე სხვადასხვა ტიპის ძარა მაგრდება. ამასთან, ერთი მათგანი ფოლადისგანაა დამზადებული, მეორე კი - კომპოზიციური მასალისგან, რომელშიც შუშის, ნახშირბადოვანი და კევლარის ქსოვილები გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კონცეპცია ახალი არაა, თუმცა მისი წარმოებაში დანერგვა ჯერაც რიგ პრობლემებს უკავშირდება.

# ახალი "სეატ ტოლედო" - ელეგანტრობისა და სპორტული სტილის სინთეზი

"ფოლკსვაგენის" ჯგუფში შემავალმა ესპანურმა კომპანია "სეატმა" პარიზულ ავტორანდევუზე წარმოადგინა თავისი მორიგი სიახლე - "გოლფის" კლასის ჰეჩბეკი "სეატ ტოლედო", რომლის კონცეპტუალური ვერსია ჯერ კიდევ მადრიდის ავტოსალონზე იყო ნაჩვენები. მესამე თაობის "ტოლედო" მეორე ახალი ავტომობილია მოდელ "ალტეას" შემდეგ, რომელსაც ესპანური კომპანია წლეულს შესთავაზებს მყიდველს.

ავტომობილი "ფოლკსვაგენ გოლფის" პლატფორმაზეა აწყობილი და იგი, პირველ რიგში, თავისი სპორტული და საკმაოდ უჩვეულო გარეგნობით გამოირჩევა. "ტოლედოს" დიზაინი მის დინამიურობაზე მიგვითითებს, რაც პირველ რიგში იმ ერთიანი შტრიხის დამსახურებაა, ავტომობილის სილუეტს თითქმის მთელ სიგრძეზე, წინა და უკანა თვლების თაღებს შორის რომ გაჰყვება.

გარდა ამისა, ახალ "ტოლედოს" გამოარჩევს რადიატორის დიდი ჰაერამღები, "მეტყველი" ფარები, უცნაური ფორმის უკანა კარი და უკან წახრილი უკანა საყრდენი. ავტომობილი კლასისთვის შეუფერებლად დიდი გამოვიდა - მისი გაბარიტებია: სიგრძე 4.46 მეტრი, სიგანე - 1.77, სიმაღლე კი - 1.58. შესაბამისად, ავტომობილს საკმაოდ ფართო სალონი აქვს და დიდი მოცულობის (500 ლიტრი), ორსეგმენტიანი საბარგულითაც გამოირჩევა.

მესამე თაობის "ტოლედოსთვის" გათვალისწინებულია ძრავების ფართო არჩევანი, თუმცა თავიდან მწარმოებელი მყიდველს სულ ოთხი სხვადასხვა ძრავით (ორ-ორ ბენზინისა და დიზელის) დაკომპლექტებულ ავტომობილებს შესთავაზებს. პირველია 1.6-ლიტრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრეა 102 ცხენის ძალა. მეორეა ორლიტრიანი FSI, რომლის სიმძლავრეც 150 ცხენის ძალას აღწევს. 105-ცხენისძალიანია 1.9-ლიტრიანი ტურბოდიზელი (TDi), იმავე სერიის ორლიტრიანი დიზელის სიმძლავრე კი 140 ცხენის ძალას აღწევს.


სეატ ტოლედო

ამ ძრავებიდან ორლიტრიანებს შეუწყვილდება მხოლოდ ექვსსაფეხურიანი მექანიკური (ხელით გადართვის) გადაცემათა კოლოფი. ამასთან, ბენზინისძრავიან ავტომობილებზე შესაძლებელი იქნება მოთხოვნით ექვსსაფეხურიანი ნახევრადავტომატური კოლოფის (ტიპტრონიკ) დაყენება, დიზელზე კი მწარმოებელი მყიდველს ოპციის სახით შესთავაზებს ორქუროიან ტრანსმისიას გადაცემათა ნახევრადავტომატური კოლოფით DSG.

ახალი "ტოლედო" მაღალტექნოლოგიური საბაზო აღჭურვილობითაც გამოირჩევა, რომელშიც შედის საკურსო მდგრადობის, მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემები. მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას ემსახურება რვა პნევმობალიში, უსაფრთხოების სამწერტილოვანი ღვედები, ასევე ექსტრემალური დამუხრუჭების სისტემა, რომელიც მხოლოდ მკვეთრი შენელების დროს ირთვება და თვლებს იმის მიხედვით ტვირთავს (ან ბლოკირებას უკეთებს), თუ რა დატვირთვა მოდის მათზე.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ავტომობილში გამოყენებული კავშირის ტექნოლოგია "ბლიუტუთ", რომელიც მობილურ ტელეფონს ყოველგვარი მავთულების გარეშე აკავშირებს ავტომობილის კომპიუტერთან. ამ ტექნოლოგიის მეშვეობით, საჭის რგოლზე განლაგებული ღილაკებით შესაძლებელია ტელეფონის გამოყენება. რაც მთავარია, ტექნოლოგია ხმოვანი ბრძანებით მართვის საშუალებას იძლევა. მაგალითად, დაასახელებთ იმ პიროვნების სახელს, ვისთან დარეკვასაც აპირებთ და სისტემა უმალ დაგაკავშირებთ მასთან. ეს იმისთვისაა, რომ მოძრაობისას მძღოლს ყურადღება არ გაეფანტოს. ცნობისათვის, "ფოლკსვაგენი" უკვე ნერგავს ანალოგიურ, ხმოვანი ბრძანებების შემსრულებელ სისტემებს, რომლებსაც ტელეფონის გარდა, სხვა დამხმარე საშუალებათა მართვაც შეუძლია.

ავტომობილს, რომლის ფასიც პარიზის ავტოსალონის დღეებში (ფართო აუდიტორიისთვის იგი 25 სექტემბერს გაიხსნება, მანამდე კი, ორი დღე პრესას დაეთმობა) გამოცხადდება, მარტორელას ქარხანა გამოუშვებს და მისი გაყიდვები წლის ბოლომდე დაიწყება.

## ორშაბათი 4.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "განდგომილი" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ფოქს კიდსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მებრძოლი თუ მკვლელი". მთ. რ-ში: ლორენცო ლამასი (18). **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**13.00, 00.30** ქართული მუსიკა **14.00** ინდ. მხ. ფილმი "ოთხი უდარდელი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სერიოზული საქმე" (გ) **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. გ. ცხვიტავა. "სნაიპერი" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "სიამოვნების ქუჩა" (18) (ლეტიცია კასტა)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "გრაფინია დე მონსორო" მე-5ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "პეპელა მხარზე" (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** "მთავარო როლში"-რ. ჩხიკვიშვილი **20.40** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ფორტუნა **22.00** ბასტი-ბუბუ **22.15** მხ. ფილმი "ბერიკაცები" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 14.45, 02.55** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კუკარაჩა" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-3 ს. **22.45** საქმე ტ **23.10** "არჩევანი თქვენ" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.50** "აქტიორი" **01.20** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20** Билли Зэйн в фильме **"БРИЛЛИАНТ ДЖЕРУ"** **11.00** Док. детектив "Узник Пермской обители". Дело 2002 г. **11.30** Дисней-клуб: "Алладин". **12.10** Ефим Копелян в детективе **"ОСОБОЕ МНЕНИЕ"** **13.40** Смехопанорама **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** "Последний герой". Суперигра. **16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 00.30** Время **21.30** Сергей Маковецкий в боевике **"72 МЕТРА". 1**-я серия. **22.40** Спецрасследование. "Выжившие в авиакатастрофах". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Последняя ночь великого князя". **00.40** Петр Марченко в программе "Русский экстрим". **01.10** Кетлин Тернер в боевике **"ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ ВАРШАВСКИ"** **02.30** Кристофер Ллойд в комедии **"ПРИВИДЕНИЕ ЗА РАБОТОЙ". 04.10** Сериал "Специальное подразделение II". **04.50** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Огненные воды Таити".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПОДОЗРЕВАЕМЫЙ".** 1-я с. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "модерн": Джек потрошитель. **10.50** Особо опасен! **11.25** Профессия - репортер. **12.00** Сериал **"АДВОКАТ". 13.35** Сериал **"АДВОКАТ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Совершенно секретно: Миша. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.50** Остросюжетный сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.20** "Школа злословия". Ток-шоу **00.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.45** Джеймс Каан в детективе **"ПУДЛ СПРИНГС"**

## სამშაბათი 5.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მებრძოლი თუ მკვლელი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ფოქს კიდსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **22.45** დოკ. ფილმი (ნ. ქაჯაია) **23.25** მხ. ფილმი "სექსუალური ფანტაზიები". მთ. რ-ში: ხავიერ ბარდემი, ვიქტორია აბრილი (18). **02.15** პატრული

### პირველი არხი

